

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში

(მასალები და გამოკვლევა)



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში

(მასალები და გამოკვლევა)

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

თბილისი

2020

ქართულენადაკარგული დასახლებები ირანში (მასალები და გამოკვლევა)
Georgian-language-lost Settlements in Iran (Materials and Research)

ნიკოლოზ ნახუტრიშვილი
Nikoloz Nakhutsrishvili



შოთა რუსთაველის სახელობის
აქრონომიის საფუძვლიანი ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი N 217438). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.

This Project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (grant N 217438). All the ideas expressed here with are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორი
თეა შურღაია

დამკაბადონებელი
მაკა ცომაია

© ნიკოლოზ ნახუტრიშვილი 2020

გამომცემლობა „მერიდიანი“

ISBN 978-9941-25-784-1

სარჩევი

შესავალი	5
--------------------	---

თავი პირველი

„გორჯ“-ის (ქართველი, ქართული) შემცველი

ტოპონიმები ირანში	8
-----------------------------	---

თავი მეორე

ისპაჰანის ოსთანი	13
----------------------------	----

- ფერეიდნის ქართული დასახლებები „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით 13
- აფუსი – ფერეიდნის ქართული ენობრივი კუნძულის გამონაკლისი 15
- ფერეიდუნშაჰრელი მკვლევრები აფუსის ენობრივი სიტუაციის შესახებ 16
- აფუსელების შეხედულებები ქართული ენის დაკარგვის თაობაზე 19
- აფუსის მკვიდრთა ქართული 28
- სამოყვარულო ფილმი აფუსის შესახებ 30
- დოკუმენტური ფილმი აფუსზე 31
- ქალთა მმართველობის დღე ანუ მოსავლის დღესასწაული აფუსში 48
- „მეკვლეობის“ ტრადიცია აფუსში? 51
- ბადრუდი – ქართველების კიდევ ერთი კერა ისპაჰანის ოსთანში? 52

თავი მესამე

ირანის კასპიისპირეთის ქართული დასახლებები	53
---	----

წყაროები	53
--------------------	----

- ყარამან კიკნაველიძის ცნობები ირანის კასპიისპირეთის ქართული დასახლებების შესახებ 53
- ირანის კასპიისპირეთისა და სხვა რეგიონების ქართული დასახლებები პროფ. მაგალი თოდუას მასალების მიხედვით 65
- ჰასან ჯავანმარდ-გორჯის „საგზაო რუკა“ 71

„ქართული“ მაზანდარანი	74
• მაზანდარანის ოსთანის ქართული დასახლებები	74
• ქართული ენა მაზანდარანში	94
• მაზანდარანელ ქართველთა მუსიკალური კულტურა	98
• აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი – მწერალი და მკვლევარი	104
 გოლესთანის და გილანის ოსთანების ქართული დასახლებები	115
• გოლესთანის ოსთანი.	115
• გილანის ოსთანი	117
• ორი დამატებითი ცნობა კასპიისპირელ ქართველებზე	120
 თავი მეოთხე	
ირანში მიმოფანტული ქართული დასახლებები	121
• ქართველები დასავლეთ ირანში (ლორესტანი, ქურთისტანი, ქერმანშაჰი, ჰამადანი)	121
• ქართველები ხუზისტანში	129
• ხორასნის ქართული დასახლებები	130
• სემნანი	135
• აზერბაიჯანული ოსთანები (არდებილი, აღმოსავლეთი აზერბაიჯანი, დასავლეთი აზერბაიჯანი).	136
• თეირანი, ალბორჯი	139
• ფარსი, იაზდი, ქერმანი	140
 რეზიუმე ინგლისურ ენაზე	143
 გამოყენებული ლიტერატურა	145
 ინტერნეტ-რესურსები	150
 გეოგრაფიული სახელების ინდექსი	153
 ფოტოდანართები	157

შესავალი

ნაშრომი წარმოდგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტის **ქართული ენობრივი კუნძული ტრანსენტიკურ არეალში (GLITEA) – ფერეიდნული დიალექტი ირანში (გრანტის ნომერი 217438)** ნაწილს, რომელიც ეხება ირანში არსებულ იმ ქართულ დასახლებებს, სადაც აღარ მეტყველებენ ქართულად. პროექტში ჩართულმა მკვლევართა ჯგუფმა ძირითადი კომპლექსური კვლევა განახორციელა ისპაჰანის პროვინციის ფერეიდნის რაიონის ქართული დასახლებების ისტორიისა და იქ შენარჩუნებული ფერეიდნული დიალექტის შესახებ, რაც აისახა მ. ბერიძისა და ლ. ბაკურაძის ნაშრომში „ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი“ („მერიდიანი“, 2020).

გამეორებების თავიდან აცილების მიზნით, ამ ნაშრომში არ არის საუბარი ირანში ქართველთა გადასახლების ისტორიის, ქართული საზოგადოებისა და საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ ე.წ. ფერეიდნული საკითხისადმი. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ირანში არსებული ქართულენადაკარგული დასახლებების დღევანდელ მდგომარეობაზე. ამგვარი დასახლებები ერთმანეთისგან ასეული კილომეტრის დაშორებით, ირანის სხვადასხვა პროვინციაში გვხვდება.

ირანში მცხოვრები ქართველი ჩვენი საზოგადოების ცნობიერებაში ტრადიციულად ფერეიდნულ ქართველებთან ასოცირდება, რადგან მხოლოდ მათ შეინარჩუნეს ქართული ენა, კერძოდ კი, ე.წ. ფერეიდნული დიალექტი. მათდამი იყო მიმართული ქართული საზოგადოების, სამეცნიერო წრეებისა და ხელისუფლების ინტერესიც. მცირე გამონაკლისის გარდა, ქართულენადაკარგული დასახლებები უყურადღებოდ რჩებოდა.

თავდაპირველად პროექტით განსაზღვრული იყო ფერეიდანში ქართულენადაკარგული ქალაქ აფუსისა და მაზანდარანის პროვინციის ქართუ-

ლი დასახლებების საკითხის შესწავლა. კვლევის პროცესში მოძიებული იქნა ახალი ცნობები, გამოვლინდა აქამდე უცნობი მასალები ირანის სხვადასხვა მხარეში ქართული კვალის შესახებ. საბოლოოდ ნაშრომმა შეძლებისდაგვარად მოიცვა ირანის პროვინციების დიდი ნაწილი. მოპოვებული მასალები საშუალებას იძლევა, ეტაპობრივად და მიზნობრივად ჩატარდეს სათანადო კვლევები ირანის კონკრეტულ რეგიონსა თუ დასახლებულ პუნქტში, სადაც დღესდღეობით მეტ-ნაკლებად შემორჩენილია ქართველთა ყოფნის კვალი.

უკანასკნელ ათწლეულებში, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის პირდაპირი სახელმწიფოებრივი კავშირი დამყარდა. პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებთან ერთად ორ ქვეყანას შორის ფართოდ განვითარდა კულტურულ-სამეცნიერო თანამშრომლობა. ქართველ და ირანელ მეცნიერებს ორმხრივად საინტერესო პროექტების განხორციელების საშუალება მიეცათ, განსაკუთრებით, ქართულ-ირანული კულტურულ-ისტორიული და ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობების კვლევის თვალსაზრისით. ამ თანამშრომლობის არეალში ორგანულად ჩაჯდა ირანში საუკუნეების მანძილზე მცხოვრები ქართველების ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული თემატიკა.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ხანგრძლივი დიპლომატიური მივლინებით ყოფნის მანძილზე (1994-1999 წწ. და 2005-2013 წწ.), ხოლო შემდგომ უკვე სამეცნიერო პროექტების ფარგლებში ამ ქვეყნის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრში მუშაობისას, ირანელ კოლეგებთან და რიგით ირანელებთან კონტაქტისას, ასევე, სხვადასხვა მიზნით საქართველოში ჩამოსული ირანის მოქალაქეებისგან მიღებული ინფორმაციების წყალობით, გაიზარდა ქართველებთან დაკავშირებულ დასახლებათა სია და მოპოვებული იქნა ახალი ცნობები ამ ტიპის ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე მსოფლიოში საინფორმაციო-საძიებო საშუალებების პროგრესის მეშვეობით, რომელიც ირანსაც შეეხო, სავსელ სამუშაოებისა და პიროვნული კონტაქტების გარეშეც შესაძლებელი გახდა მნიშვნელოვანი მონაცემების მოძიება. პროექტის განხორციელებას ძალიან შეუწყო ხელი საქართველოში თუ

მის ფარგლებს გარეთ ამ თემის შესახებ ჩატარებული ძველი თუ ახალი კვლევების შედეგებმა. ამ მხრივ, აღსანიშნავია უკანასკნელ ათწლეულებში ირანელი ქართველების მიერ დაწერილი წიგნები და სტატიები, სადაც მათი მშობლიური ადგილების ისტორიისა და ამჟამინდელი ვითარების თაობაზე საყურადღებო მონაცემები ქვეყნდება.

თავი პირველი

„გორჯ“-ის („ქართველი / ქართული“) შემცველი ტოპონიმები ირანში

ისპაჰანის ოსთანის¹ ფერეიდნის მხარე ერთადერთია დღევანდელ ირანში, სადაც შენახულია ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი და შემორჩენილია ქართული გვარები, დასახლებების ქართული სახელწოდებები. ამ საკითხებს აქ არ შეეხები. დაინტერესებულმა ქართველმა მკითხველმა შესაბამისი ლიტერატურის ბიბლიოგრაფია შეიძლება მოიძიოს დ. ჩხუბიანიშვილისა და ზ. შარაშენიძის ნაშრომებში (ჩხუბიანიშვილი 2012; შარაშენიძე 1969; შარაშენიძე 1979). ირანში ქართველების დასახლების ისტორიის შესახებ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე გამოქვეყნებული ნაშრომებიდან უნდა გამოიყოს ფერეიდნელი ქართველის საიდ მუღლიანის წიგნი სპარსულ ენაზე „ქართველთა როლი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში“ (მუღლიანი 1379), ჰამედ ქაზემზადეს სტატია *The Latest Status of Linguistic and Geographic Dispersion of Iranian Georgians* (ქაზემზადე 2013:255-261) და კოლექტიური ნაშრომი „მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა“ (ჯაფარიძე...2017), სადაც წარმოდგენილია მდიდარი ბიბლიოგრაფია. აღსანიშნავია, აგრეთვე, ათი წლის წინ მაზანდარანელი ქართველი მწერლის აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის მიერ გამოცემული წიგნი „ირანის ქართველების ისტორია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389), რომელშიც ავტორი ახასიათებს არა მხოლოდ მშობლიური მაზანდარანის, არამედ ირანის სხვა ოსთანების (ისპაჰანი, გოლესთანი, ჰამადანი, სემნანი) ქართულ დასახლებებს და მეტ ყურადღებას უთმობს მათ დღევანდელ მდგომარეობას. ავტორი, ძირითადად, ეყრდნობა მოჰამად სე-

-
1. ნაშრომში შენარჩუნებულია ირანის ადმინისტრაციული ერთეულების აღმნიშვნელი სპარსული ტერმინები: ოსთანი – პროვინცია/Province; შაჰრესთანი – ოლქი/County; ბაზში – რაიონი/District; ლეჰესთანი – სასოფლო თემი/Rural district.

ფიანის წიგნს „ქართველი ირანელები“ (სეფიანი-რ 1358) და უთითებს ფერეიდნის რეგიონის ქართულ დასახლებებს: ფერეიდუნშაპარს, ჯაყ-ჯაყს, შაჰიურდის, ბოინ-მიანდაშოს, დაშქესანს, აფუსს და აღჩეს (პეიდა-რი-გორჯი 1389:338-349).

ისტორიული და ლინგვისტური მონაცემების გარდა, ირანში ქართული დასახლებების არსებობის ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია მრავალი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებასა და ადგილობრივი მოსახლეობის პატრონიმებში სიტყვა „გორჯ“-ის (სპარს. „ქართველი, ქართული“) არსებობა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიტყვა „გორჯ“ ან „გორჯი“ ფაქტობრივად არ გვხვდება ფერეიდნის ტოპონიმებში. ჰოსეინ-ალი რაზმარას ხელმძღვანელობით შედგენილი „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“² მეათე ტომის (1954) მონაცემებით, რომელშიც მოქცეულია ისპაჰანის ოსთანი, დასახლება „გორჯი“ დასტურდება ფერეიდნის ერთადერთ ტოპონიმში – ეს გახლავთ ფერეიდნის შაჰრესთანის ერთ-ერთი დეჰესთან, რომელშიც შედის 25 დიდი თუ პატარა დასახლება, მათ შორის, რამდენიმე ქართული სოფელიც. 1954 წლისათვის ამ სასოფლო თემის მოსახლეობა 24 179 ადამიანია (იგლ 10:168). ირანის ისლამური რესპუბლიკის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით, ტოპონიმი „დეჰესთანე გორჯი“ კვლავ შენარჩუნებულია, ოღონდ მისი სოფლების სხვა შაჰრესთანეებისათვის ეტაობრივად მიკუთვნების შედეგად, 2006 წლის მონაცემებით, ამ თემში შედის მხოლოდ ერთი სოფელი – დაშქესანი 606 მოსახლით.

ზოგადად, ფერეიდნის რომელიმე დასახლება ქართულად რომ ჩაითვალოს, იქ შენარჩუნებული უნდა იყოს შემდეგი სამი ნიშნიდან ერთი მაინც:

1. ქართული ენის ე.წ. ფერეიდნული დიალექტი;
2. ამ დასახლების ქართული სახელწოდება (მაგ.: სოფ.სიბაქი – ვაშლოვანი);
3. ქართული გვარები (იოსელიანი, ხუციანი, მიქელანი, გუგუნანი და ა.შ.).

განსხვავებული ვითარებაა ირანის სხვა ოსთანებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა გელარ ლაპარაკობს ქართულად, მაგრამ თავს ქართვე-

2. შემდგომში – იგლ. ამ აბრევიატურაზე დამატებული ციფრი მიუთითებს შესაბამისი ტომის ნომერს.

ლად თვლის. გარდა ისტორიული მეხსიერებისა, ამის დამამტკიცებელი არგუმენტებია:

1. გეოგრაფიული პუნქტის დასახელებასა და ადგილობრივთა გვარებში სიტყვა „გორჯ“ ან „გორჯი“-ს არსებობა (მაგ. სოფლები: გორჯიმაჰალე, დეჰგორჯი და ა.შ.; გვარები: გორჯი, გორჯიფურ, ჰეიდარი-გორჯი, ნავაზანდე-გორჯი და სხვ.);
2. გეოგრაფიული პუნქტს ირანული სახელი ჰქვია, მაგრამ ადგილობრივ მკვიდრთა გვარები შეიცავენ სიტყვას „გორჯი“. ასეთი სოფლების მაგალითებია მაზანდარანის სოფლები: შურაბი, დარუნქო-ლაიე შარყი და ა.შ.

ირანში გამოცემულ გეოგრაფიულ ენციკლოპედიებსა და ლექსიკონებში შეტანილია „გორჯ“-ის შემცველი ტოპონიმების განსხვავებული რაოდენობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანში ქართველთა ჩასახლების აქტიურ პერიოდში, კერძოდ, სეფიანთა დინასტიის მმართველობისას, „გორჯ“-ის შემცველი გეოგრაფიული სახელების რიცხვი მეტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით ბოლო ას-წლეულის მანძილზე (ფეჰლევიათა დინასტიის მმართველობისა და ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ), ზოგ მათგანს სხვადასხვა მიზეზით შეეცვალა სახელი, ზოგი პატარა სოფელი კი საერთოდ გაქრა ირანის რუკიდან.

დოქტორ მოჰამად-ჰოსეინ ფაფოლი-იაზდის მიერ შედგენილ „ქვეყნის დასახლებული პუნქტებისა და რელიგიური ადგილების ლექსიკონში“ დაფიქსირებულია სიტყვა „გორჯ“-ის შემცველი 24 გეოგრაფიული პუნქტი ირანის სხვადასხვა ოსთანში (ფაფოლი 1367: 264, 393, 481). ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

N	დასახელება	შაჰრესთანი	ოსთანი (დღევანდელი მდგომარეობით)
1	დეჰგორჯი Dehgorji	ნაყადე	დასავლეთი აზერბაიჯანი
2	ყასემაბადე გორჯი Qāsemābād-e Gorji	ქარაჯი	აღბორზი
3	გორჯაი Gorjāi	მალაიერი	ჰამადანი

4	გორჯან Gorjān	არღებილი	არღებილი
5	გორჯან Gorjān	ბირჯანდი	სამხრეთი ზორასანი
6	გორჯანსუ Gorjānsu	რუდსარი	გილანი
7	გორჯექე Gorjeke	ხორამაბადი	ლური სტანი
8	გორჯეფოშთ Gorje Pošt	ლაპიჯანი	გილანი
9	გორჯემაჰალე Gorjemahalle	რუდსარი	გილანი
10	გორჯი Gorji	ალიგუდარზი	ლური სტანი
11	გორჯი Gorji	აჰარი	აღმოსავლეთი აზერბაიჯანი
12	გორჯი Gorji	სანანდავი	ქურთი სტანი
13	გორჯი Gorji	შაჰრუდი	სემნანი
14	გორჯი Gorji	მეშქელი	ხორასანე რაზავი
15	გორჯიბად Gorjiābād	ბაბოლი	მაზანდარანი
16	გორჯიბაიან Gorjibayān	სონყორი	ქერმანშაჰი
17	გორჯიფოლ Gorjipol	სარი	მაზანდარანი
18	გორჯიჩალ Gorjičāl	თონეკაბონი	მაზანდარანი
19	გორჯიხეილ Gorjixeyl	ყაემშაჰრი	მაზანდარანი
20	გორჯისარა Gorjisarā	თონეკაბონი	მაზანდარანი
21	გორჯიქოლა Gorjikolā	სარი	მაზანდარანი
22	გორჯიმაჰალე Gorjimahalle	ბეჰშაჰრი	მაზანდარანი
23	გორჯიმაჰალე Gorjimahalle	გორჯანი	გოლესტანი (გორჯანი)
24	გორჯხან Gorjxān	ირანშაჰრი	სისტან-ბელუჯისტანი

საგულისხმოა, რომ ეს 24 დასახლებული პუნქტი დღევანდელი ირანის 15 ოსტანს (აღბორზი, აღმოსავლეთი აზერბაიჯანი, არღებილი, დასავლეთი აზერბაიჯანი, გილანი, გოლესტანი, ლური სტანი, მაზანდარანი, სემნანი, სისტან-ბელუჯისტანი, ქერმანშაჰი, ქურთისტანი, ხორასანე რაზავი, აღმოსავლეთი ზორასანი) მოიცავს. არც ერთი მათგანი არ მდებარეობს ისპაჰანის ოსტანის ფერეიდნის მხარეში. ამათგან ყველაზე მეტი – 7 დასახლება მაზანდარანის ოსტანს ეკუთვნის.

აბას ჯაფარის ნაშრომში „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედია“ (გითა 1384:1080-1081) სულ 9 დასახლებული პუნქტია შეტანილი, რომელთა სახელწოდებაც შეიცავს სიტყვას „გორჯ“. ისინი დღევანდელი ირანის 7 ოსთანში მდებარეობენ:

N	დასახლება	შაჰრესთანი	ოსთანი
1	დეჰგორჯი Dehgorji	ნაყადე	დასავლეთი აზერბაიჯანი
2	გორჯაი Gorjāi	მალაიერი	ჰამადანი
3	გარჯან (გორჯან)? Garjān/ Gorjān)?	არდებილი	არდებილი
4	გორჯექე Gorjeke	დელფანი	ლურისტანი
5	გორჯი Gorji	შაჰრუდი	სემნანი
6	გორჯი Gorji	სანანდაჯი	ქურთისტანი
7	გორჯი Gorji	ალიგუდარზი	ლურისტანი
8	გორჯიბაიან Gorjibayān	სონყორი	ქერმანშაჰი
9	გორჯილუ Gorjilu	სემნანი	სემნანი

გასაკვირია, რომ ამ ნაშრომში არ თუ ვერ მოხვდნენ მაზანდარანის დასახლებები, რომელთა უმეტესობას დღემდე სახელი არ შესცვლია. მაგალითად, ბეჰშაჰრის გორჯიმაჰალე, რომელიც გაცილებით დიდი სოფელია, ვიდრე ენციკლოპედიაში შეტანილი, ასევე ქართველებით დასახლებული, პატარა მაზანდარანული სოფელი ჩამაზქოთი ბაბოლის შაჰრესთანში. ამ და სხვა დასახლებებს მაზანდარანში მოგვიანებით დავუბრუნდები.

ირანის სხვადასხვა ოსთანში კიდევ უფრო მეტია იმ გეოგრაფიულ სახელთა რიცხვი, რომელთა სახელწოდება არ შეიცავს სიტყვას „გორჯ“, მაგრამ, სხვადასხვა მონაცემით, იქ ბინადრობდნენ ან კვლავაც არიან ქართველები.

თავი მეორე

ისპაჰანის ოსთანო

- ფერეიდნის ქართული დასახლებები „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით

პოსეინ-ალი რაზმარას ხელმძღვანელობით გამოცემული „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მეათე ტომში ფერეიდნის ქართული დასახლებებიც მოხვდა. ეს ათტომიანი ლექსიკონი 1949-1954 წლებში გამოქვეყნდა და, შესაბამისად, გასული საუკუნის შუა წლების მდგომარეობას ასახავს:

1. **ახორე** – ფარიდანის³ შაჰრესთანის ბაზში. შედგება მუგუის და ჩენარუდის დეჰესთანებისაგან. მოსახლეობა – 35379 ადამიანი. მოსახლეობის მშობლიური ენაა ლურული და სპარსული. დაბა ახორეს მცხოვრებთა 3/4 -ის ენა ქართულია. (იგლ 10: 4-5).
2. **ახორე** – ფარიდანის შაჰრესთანის ახორეს ბაზშის ცენტრალური დაბა. 4649 მცხოვრები. მშობლიური ენა – ქართული და სპარსული. მოსახლეობის ნაწილი შიიტია, ნაწილი – ქრისტიანი (იგლ 10:5).
3. **ახორე ფაინ-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბაზშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1969 მცხოვრები. შიიტები. ენა – სპარსული, თურქული, ქართული (იგლ 10:5).
4. **აღრე** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბაზშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1010 მცხოვრები. შიიტები. ენა – თურქული, ქართული, სპარსული (იგლ 10:24).
5. **აფუს-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბაზშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 2369 მცხოვრები. შიიტები. ენა – ქართული (იგლ 10:24).

3. სპარსულად „ფერეიდანი“ გამოითქმის როგორც „ფარიდან“ – Faridan.

6. **ბადეჯან-ახორე** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1117 მცხოვრები. შიიტები. ენა – სპარსული, ქართული (იგლ 10:31).
7. **ბუინ-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1430 მცხოვრები. შიიტები. ენა – ქართული, თურქული, სპარსული (იგლ 10:41).
8. **ჯაყჯაყ-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის ახორეს ბახშის მუგუის დეჰესთანის სოფელი. 1117 მცხოვრები. შიიტები. ენა – ლურული, ქართული, თურქული (იგლ 10:56).
9. **ჩოყიურთ-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის მუგუის დეჰესთანის სოფელი. 885 მცხოვრები. შიიტები. ენა – ქართული, ლურული, თურქული (იგლ 10:63).
10. **დაუგან-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 297 მცხოვრები, შიიტები. ენა – ქართული, ლურული (იგლ 10:84).
11. **დაშქასან-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 540 მცხოვრები. შიიტები. ენა – თურქული, ქართული, სპარსული (იგლ 10:84).
12. **სიბაქ-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1297 მცხოვრები. შიიტები. ენა – ქართული, ლურული (იგლ 10:116).
13. **შაჰიურდი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 906 მცხოვრები. შიიტები. ენა – სპარსული, თურქული (იგლ 10:119).
14. **შეშჯავან-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1008 მცხოვრები, შიიტები. ენა – თურქული, ქართული, სპარსული (იგლ 10:120).
15. **მიანდაშთ-ი** – ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. 1255 მცხოვრები. შიიტები. ენა – სპარსული. (იგლ 10:189).

ამ მონაცემების მიხედვით, ქართული ენა არ გამოიყენება შაჰიურდსა და მიანდაშთში, მაგრამ შემორჩენილია აფუსში, სადაც ლექსიკონი სხვა

ენას არც კი აფიქსირებს. დღევანდელი მონაცემებით კი, როგორც შესავალში აღინიშნა, სწორედ აფუსია აღიარებული ფერეიდნის ქართული ენობრივი კუნძულის გამონაკლისად, როგორც მშობლიურენადაკარგული დასახლება.

პროფ.ზ.შარაშენიძემ სიღრმისეულად გაანალიზა „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ ფერეიდნის ქართული დასახლებების შესახებ არსებული მონაცემები (შარაშენიძე 1979:109-120). ამ ლექსიკონის გამოსვლიდან 60 წელზე მეტი გავიდა. ამდენად, ფერეიდნისა და, საერთოდ, ირანის ქართული დასახლებების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ახალი მონაცემების მოპოვება, ქართული საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისათვის მათი გაცნობა საშურ საქმედ მიმაჩნია.

• აფუსი – ფერეიდნის ქართული ენობრივი კუნძულის გამონაკლისი

იმ ფერეიდნულ დასახლებებში, სადაც შენარჩუნებულია ქართული ენა, მრავლად მოიპოვება მაგალითები, როდესაც ძირითადად ქართულად მოლაპარაკე ოჯახის რომელიმე წევრი აღარ ფლობს ქართულს. ფერეიდნული კილო ასევე დაიკარგა დიდ ქალაქებში (თეირანი, ისპაჰანი და სხვ.). მშობლიურ ენაზე აღარ მეტყველებს სხვა ოსთანებში გადასახლებული და იქ გაზრდილი ქართველობა. შერეული ქორწინებების გახშირების შედეგად, არაქართულ გარემოში დედით არაქართველი ბავშვები ვეღარ ეუფლებიან ქართულს. ასე რომ, ფერეიდნის ენობრივ კუნძულში აფუსის გამონაკლისად მიჩნევა პირობითია, რადგან იქ ჩატარებულმა საველე სამუშაოებმა და შემდგომმა კვლევებმა აჩვენა ქართული ლექსიკის შესამჩნევი კვალი როგორც ადგილობრივთა მეტყველებაში, ასევე ტოპონიმებში⁴.

4. აფუსის ქართველებისა და იქ ქართული ენის მდგომარეობის შესახებ ამ სტრიქონების ავტორს წაითხული აქვს ორი მოსხენება: „ფერეიდნული ისტორიები – სოფელ აფუსის ქართველები“ (თანამომხსენებლები ლ.ბაკურაძე, მ.ბერიძე) – ილიაუნის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოველწლიური კონფერენცია (2017) და „Georgian Linguistic Island in Iran – An exceptional case of Afus“ – ბერლინის საერთაშორისო კონფერენცია „Language Islands and Language Contact in Iran“ (Leibniz-Zentrum Allgemeine Sprachwissenschaft (ZAS), 2018).

ქალაქი აფუსი (Afus)

1996 წელს სოფელმა აფუსმა ქალაქის სტატუსი მიიღო. ამჟამად ის შედის ბოინ-მიანდაშთის შაჰრესთანის ცენტრალურ ბაზშში. ათი წლის წინანდელი მონაცემებით (ირანული მზის კალენდრის 1390 წ.), მისი მოსახლეობა შეადგენს 4 313 ადამიანს (1243 კომლი).

• ფერეიდუნშაჰრელი მკვლევრები აფუსის ენობრივი სიტუაციის შესახებ

ქართულის მცოდნე ფერეიდუნელი მკვლევრები აფუსში ენობრივი სიტუაციის ასეთ სურათს გვიხატავენ:

მოჰამად სეფიანი:

„სოფლის დასახელება: სიტყვა აფუს-ს სპარსული ძირი არ გააჩნია და მისი მნიშვნელობა აფუსის არც ერთმა მკვიდრმა არ იცის. ლექსიკონებიც რომ გადავშალოთ, ასეთ სიტყვას ვერ წააწყდებით. ერთი მხრივ, ამ სიტყვის ფორმა, მისი სტრუქტურა გვაფიქრებინებს, რომ ის ქართულს უფრო ჰგავს, ვიდრე სპარსულს. დიდი ალბათობით უნდა დავუშვათ, რომ აფუსი ქართული სიტყვაა, რომლის მნიშვნელობაც დროთა განმავლობაში და ასეთი საკითხებისადმი ადგილობრივი მოსახლეობის უყურადღებობით⁵ დავიწყებას მიეცა. აფუსის მოსახლეობა 1345 წელს 2669 კაცი – 528 კომლი იყო. ახლა კი მოსახლეობა 3 ათასს აჭარბებს...

...მიუხედავად იმისა, რომ აფუსელები ქართველები არიან, ქართულად არ ლაპარაკობენ და სპარსულ ენაზე საუბრობენ, მათ ქართული ენა მაინც ესმით, თუმცა მეტყველება ნაკლებად შეუძლიათ. ეს ვითარება ანუ აფუსელთა მიერ ენის შეცვლა გამოიწვია ამ მხარეში ყაჯართა დინასტიის მმართველობის გავლენამ. ისინი ზაფხულობით გასართობად და სანადიროდ ამ რაიონში, განსაკუთრებით კი აფუსში ჩამოდიოდნენ, რადგან ის მაღალ მთებთან და სანადირო ადგილებთან უფრო ახლოს იყო.

5. აქ და შემდგომში ზაზასმა ჩემია - ნ.ნ.

სწორედ ამ მისვლა-მოსვლის გამო ნაკლებად მეტყველებდნენ ქართულად. ქართული გვარები, რომლებიც ამჟამად აფუსში სახლობენ და თავიანთი წარმომავლობა (ქართველობა) გარკვეულწილად შეინარჩუნეს, შემდეგია: შიშიანი, გულანი, ასლანი და ქიხაი. მათ გარდა კიდევ არიან: ჰაშემი, ხანჯანი, ხოსრაგი, სოლთანი, ალაჰიარი და ფარაჰბაზი-ი, რომლებიც ასევე ითვლებიან აფუსის მკვიდრ მოსახლეობად. ეს ინფორმაცია მომწოდა აფუსის სოფლის თავმა ბატონმა ჰაშემიმ“ (სეფიანი-რ 1358: 251, 257).

საიდ მულიანი:

„აფუსის მკვიდრი ქართველები არიან, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართული მეტყველება ამ ქალაქში დავიწყებულია. იმ მრავალ აღმართ-დაღმართში, რომლებსაც ირანის ქართველები აწყდებოდნენ, იშვიათად შეხვდებით ისეთ ვითარებას, როგორიცაა აფუსელების ენობრივი ტრანსფორმაცია, **რაც ჩვენ გულს გვწყვეტს**. თუმცა აფუსის მოსახლეობა ამის მიზეზად ხანების მხრიდან ტირანიას, ტანჯვასა და ძალდატანებას ასახელებს, მაგრამ ამ სტრიქონების ავტორის აზრით, ეს არგუმენტი არ ამშვენებს ქართველთა ისტორიულ სახეს (რაც გამოიხატებოდა ნებისმიერ ვითარებაში ქართული კულტურისა და ენის შენარჩუნებაში)“ (მულიანი 1379 :236).

აფუსში ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს მაზანდარანელი ქართველი აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი:

„ქალაქ აფუსის დასახელება „აფუსი“ ქართული სიტყვაა. სპარსული ძირი არ გააჩნია. ლექსიკონებში ეს სიტყვა არ იძებნება. ამ ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა დაახლოებით 4600 ადამიანია. **შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის თითქმის არ მოიძებნება კაცი, რომელმაც ქართულ ენაზე ლაპარაკი არ იცის**. ასევე უნდა ითქვას, რომ მოსახლეობის უმეტესობა განათლებულია. ქართული წარმოშობის ოჯახები შემდეგ გვარებს ატარებენ: შიშიანი, გულანი, ასლანი და ქიხანი. დანარჩენები ადგილობრივები არიან“ (ჰეიდარი-გორჯი 1389: 347).

ციტირებული მონაკვეთიდან ჩანს, რომ მაზანდარანელი ავტორი ან სწორ ინფორმაციას არ ფლობს ან კი „იცის“ ზმნასთან უარყოფის ნაწილაკის („არ“) დასმა კორექტურული შეცდომაა. დიდი ალბათობით, იგი ეყრდნობა „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მონაცემებს, სადაც აფუსი ასეა დახასიათებული: „ფარიდანის შაჰრესთანის დარანის ბახშის გორჯის დეჰესთანის სოფელი. დარანიდან დასავლეთით 30 კმ.-ზე. აზნა-ისპაჰანის გზატკეცილიდან სამხრეთით 10 კმ.-ზე. 2369 მოსახლე. შიიტები. **ენა – ქართული**“ (იგლ 10:24). გაურკვეველია, საიდან და როგორ გაჩნდა ამ ლექსიკონის 1954 წელს გამოცემულ მე-10 ტომში ეს ინფორმაცია. ალბათ, შემთხვევით გამორჩენილია „სპარსული ენა“, რადგან ასეთი მონოლინგუური მდგომარეობა ამავე ტომში აღწერილ არც ერთ ქართულ დასახლებას არ გააჩნია. სპარსულ-ქართული ორენოვნება კი 70-80 წლის წინანდელ აფუსში სავსებით დასაშვებია.

ქართულის ცოდნა-არცოდნა ფერეიდნის ენობრივ კუნძულზე მგრძნობიარე თემაა. ამიტომაც აფუსის ქართველობას ქართული ენის დავიწყების გამო ის ქართველები აკრიტიკებენ, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ „დედას ენა“ (ფერეიდნ. „დედა ენა“).

ფერეიდნული ”ხალხური რიტორიკის“ კარგი ნიმუშია „ქართული დიალექტური კოოპუსიდან“ (ქდკ) ამოღებული ჰოსეინ დარჩიაშვილის მიმართვა აფუსელებსადმი:

„აფუსელნო, დედის ენის გამგუებელნო!
თქვენმა ცხვრებმა არ დაივიწყეს ბლავილი;
თქვენმა თხებმა – კიკინი;
თქვენმა ძროხებმა – ბლავილი;
თქვენმა მამლებმა – ყივილი;
თქვენმა ქათმებმა კრასკრასი;
თქვენმა ჩიტებმა – ჭიკჭიკი;
თქვენმა ბულბულებმა გალობა არ დაივიწყეს!
დედებო, სახლის ბოდებო!

აფუსელნო, დედას ენას გამგუებელნო!

მე ხომ ვიცი, დედის ენაზე საუბარს ნატრობთ. იმიტომ, რომ ქართული ღმერთის მოცემული ენაა. რაც რომ ღმერთის მოცემული იყოს, არ დაიკარგების!“ (ქდკ N 4117).

პოსეინ დარჩიაშვილთან შედარებით, აფუსელების მიმართ ნაკლებად შემტევი ტონი აქვთ ქართული ენის მცოდნე სხვა ფერეიდნელ ქართველებს;⁶

ესქანდარ სეფიაშვილი: „ას ათი წლის წინ, არ ვიცი რისთვის, მათ დაიფიცეს, რომ აღარ ილაპარაკონ ქართულად. ახლა არც ქართულად ლაპარაკობენ სწორად და სპარსულადც სხვანაირად ლაპარაკობენ“ (ქღკ N4078).

ალი პოსეინ რაჰიმი (დავითაშვილი): „ყველას გული შეგვტკივა, რატომ დაიფიცეს მათ ქართული ენა. ახლა უნდათ, რომ ისევ ისწავლონ. ჩვენთან, იაზდანშაჰრში არიან [აფუსელები] და უყვართ, ძალიან უყვართ ქართული ენა. ლაპარაკობენ კიდევ.“ (ქღკ N4078).-

საფეა ასლანი, ვილაშაჰრი, ნაჯაფაბადი: „აფუსში საერთოდ ქართული არ იცინა. ერთ ქართულ სიტყვასაც არ ამბობენ. ერთი მამიდა გვყავდა აფუსში. თვითონ იცოდა ქართული, მაგრამ თავის ქალიშვილებს არ ასწავლა.“ (ქღკ N2429):

მუხტარ დარჩიაშვილი: „აფუსელებმა კი დაიფიცეს ქართული, მაგრამ მაინც თავის ლაპარაკში ქართულ სიტყვას ურევენ.“

მუხტარ დარჩიაშვილი იმოწმებს ერთ საყურადღებო ენობრივ მაგალითს. ერთი აფუსელი, იმის მაგივრად, რომ ქართულად თქვას „დაგორდა“, ამბობს „დაგორ შოდ“, ანუ იყენებს რთულ ზმნას ქართული სახელადი ნაწილითა და სპარსული დამხმარე ზმნით (dagor šod – „დაგორებული გახდა“) (ქღკ N4111).

• აფუსელების შეხედულებები ქართული ენის დაკარგვის თაობაზე

ქართულის მცოდნე თანამოდძეების კრიტიკული პოზიცია აფუსელებისთვის არცთუ სასიამოვნო მოსასმენია. ისინი საკუთარ ქართველობას არ უარყოფენ, მაგრამ სხვადასხვა (ისტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ) არგუმენტს იშველიებენ თავის გასამართლებლად – თუ როგორ

6. „ქართული დიალექტური კორპუსიდან“ ამოკრებილი ეს მოსაზრებები აქ მოცემულია მოკლედ, მკითხველისთვის გასაგები ენით, სრული სახით მათი ხილვა შესაძლებელია www.corpora.co (NN 2429, 4078, 4111, 4117).

დარჩა აფუხი ქართული ენის გარეშე. ამ მხრივ, საყურადღებოა ორი განათლებული აფუსელი ქართველის მონათხრობი ამ დასახლების მოკლე ისტორიისა და ქართული ენის დაკარგვის მიზეზების შესახებ:

ა) **ჰელაიათ ფარაჰბაზში** – აფუსის მკვიდრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. ტექსტი ჩაწერილია 2017 წლის მაისში აფუსში მის სახლში ყოფნისას (თარგმანი ციტირებულია მცირედი შემოკლებით):

„სიტყვა „აფუსი“ ნიშნავს „მიწას მდინარის პირას“. როდესაც საქართველოში ვიყავით და ვიკითხეთ ამ სიტყვის მნიშვნელობა, ამგვარად განგვიმარტეს.

აფუსისა და, საერთოდ, ბოინ-მიანდაშთის თემა ნაკლებადაა შესწავლილი. ორი ათეული წელია, ცვდილობ მასალების მოპოვებას აფუსის ისტორიის საკვლევად. ვაგროვებ როგორც წერილობით, ასევე ზეპირ მასალას. ზოგიერთ დოკუმენტზე ხელი მიმიწვდა, ზოგიც ზეპირი ისტორიებია. იმის შესახებ, თუ როგორი იყო აფუსის დაარსების და განვითარების ისტორია, განსხვავებული ცნობები მოვიპოვე. რაც უფრო წინ წავიწიე ამ კვლევაში, მით მეტად მივაქციე ყურადღება ერთ მნიშვნელოვან მომენტს. კერძოდ, როდესაც ქართველები ამ მხარეში მოვიდნენ, მათ გარკვეული თავისებურებები ახასიათებდათ, მაგრამ ზოგიერთი ფაქტორის გამო აქედან სხვადასხვა აღილას მიმოიფანტნენ და საბოლოოდ აფუსმა, მიზეზთა გამო, დაკარგა ქართული ენა. არ იფიქროთ, რომ ქართული ძალიან დიდი ხნის წინ დაევიწიწეთ. ეს მოხდა 53 წლის წინ. იმოქმედა როგორც შინაგანმა, ასევე გარეგანმა ფაქტორებმა. **ჩემი ბებია და პაპა ქართულად ლაპარაკობდნენ.** სამწუხაროდ, მე აღარ ვლაპარაკობ, თუმცა მეც და ჩემს შვილებსაც ქართულის სწავლა გვინდა.

თუ აფუსის დაარსების ისტორია გაინტერესებთ, შემიძლია გითხრათ, რომ ეს მოხდა ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1671 წელს, როდესაც ის სოფლად ჩამოყალიბდა. სოფლის ქვედა ნაწილს მოედანი წარმოადგენდა, ზედა ნაწილს კი – ორი ციხე-სიმაგრე. სოფლის ზედა ნაწილი, რომელიც მთებთან უფრო ახლოა, გამაგრებული იყო, ხოლო ქვედა ნაწილში, ერთი წყაროს ირგვლივ ხალხმა თანდათან სახლები აიშენა. ციხე-სიმაგრის აშენების მიზეზი ლურების სიახლოვე იყო. თანდათან ზედა და ქვედა ნაწილები ერთმანეთს შეერწყა და ასე ჩამოყალიბდა ქართველების დიდი

დასახლება. გასათვალისწინებელია, რომ ეს მიწები შაჰს ეკუთვნოდა. მას სურდა, ეს ადგილი ათვისებული და დასახლებული ყოფილიყო. ქართველებს აქაურობა ორი მიზეზით მოსწონდათ: პირველი, რომ მათ ძველ ადგილ-სამყოფელს ჰგავდა, ხოლო მეორე – დაუსახლებელი იყო. ამიტომაც გამოთქვეს აქ დამკვიდრების სურვილი. დროთა განმავლობაში, გარკვეული სირთულეების გამო, რაც დიდ ჩაღრმავებას მოითხოვს – მე კი არ მაქვს საამისო დოკუმენტური მასალა – ქართველები აქედან გაიფანტნენ და აფუსი დარჩა იმ სახით, როგორც არის.

სეფიანთა პერიოდში აფუსელებს შენარჩუნებული ჰქონდათ არა მართო ქართული ენა, არამედ სარწმუნოებაც. რვა წლის წინ აფუსში ჯერ კიდევ არსებობდა ეკლესიის ნაშთები. ჩვენ არც კი ვიცოდით მისი არსებობის შესახებ. ახლა ის ადგილი მთლიანად დანგრეულია, იმ შენობისგან აღარაფერი დარჩა. როგორც ამბობენ, ოროთახიანი შენობა იყო, რომელსაც საღეთისმსახურო დანიშნულება ჰქონდა.

აფშარების ზეობის დროს აფუსი მძიმე მდგომარეობაში ვარდება. ეს იყო სისხლიანი დრო. თუმცა, ეს ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა. ნადირ-შაჰის ზოგიერთი სარდალი მოდის აქ, ეპატრონება სახნავ-სათესებს და კრეფს გადასახადებს.

ზენდების მმართველობის ხანაში ქართველები თანდათან ისლამს იღებენ. ამის მიუხედავად, ისინი კვლავ განიცდიან შევიწროებას ზენდი მმართველების მხრიდან. ზენდების დროს აფუსი უფრო მეტად ზარალდება. სხვადასხვა დროს ზენდები თავს ესხმიან აფუსს, მის დიდ ნაწილს ანგრევენ და კლავენ სოფლის ზოგიერთ დიდებულს. ამის მიზეზი გახლდათ ის, რომ ზენდებს ქართველების მიმართ შური ამოძრავებდათ. ეს შური ჯერ კიდევ სეფიანთა პერიოდში გაჩნდა, აფშარების დროს კი გაძლიერდა. მათ შურდათ, რომ ქართველები წარმატებულები იყვნენ პოლიტიკის, სახელმწიფოს მართვის, გადასახადების აკრეფის სფეროში. ქართველები ხომ სხვადასხვა ასპარეზზე ძალიან ძლიერები იყვნენ. ეს თავდასხმა ერთხელ აფუსთან ერთად ფერეიდუნშაჰრმაც განიცადა, ხოლო აფუსზე შეტევები მერეც გრძელდებოდა. ფერეიდუნშაჰრსა და აფუსს მთების მხრიდან ბახტიარები უტევდნენ, აფუსს ქვემოდანაც ესხმოდნენ თავს.

არაქართული ტომების (ლურებისა და სხვ.) თავდასხმები აფუსზე საბოლოოდ ორ პრობლემას ქმნის. პირველი პრობლემა ისაა, რომ ხალხი

ორჭოფობს, დარჩეს აქ თუ აიყაროს. მეორე პრობლემად იქცა ამ სოფლის მკვიდრთა ერთიანობისა და სიმტკიცის რღვევა და დასუსტება. გეოგრაფიულად აფუსსა და ფერეიდუნშაპრს მსგავსებებიც აქვთ და განსხვავებებიც. ასევეა იმ ზეწოლისა და გაჭირვების კუთხითაც, რომელსაც განიცდიდა ორივე დასახლება. თუ ამ საკითხს ყურადღებით და დაკვირვებით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ამ მხარეში განვითარებულ მოვლენებს სწორედ ეს ფაქტორები და მიზეზები განაპირობებენ. ამ მოვლენების საფუძვლები უნდა მოვიძიოთ. ერთი სიტყვით, ზენდების მმართველობისას სირთულეები ჩნდება და აფუსი კარგავს იმ ფსიქოლოგიურ და შინაგან სიმტკიცეს, რომელიც მას გამოარჩევდა, როგორც ქართულენოვან კოლექტივს. ეს სიმტკიცე თანდათან იშლება. ზოგიერთ მკვიდრს უჩნდება ეჭვი, ორჭოფობს, რამდენად ღირს ბრძოლა ამ სიმტკიცისათვის. ეს კი განაპირობებს სხვა მოვლენებს, მათ შორის, მშობლიური ენის დაკარგვას.

ახლა ზენდებს თავი დაეანებოთ და გადავიდეთ ყაჯარების მმართველობის პერიოდზე. ნასერ ედ-დინ შაჰის დროს ერთი ცული რამ ხდება. ის-პაჰანის მმართველი, უფლისწული მასუდ მირზა (ზელ ოს-სოლთანი) აქ ჩამოდის, ისაკუთრებს აქაურობას და თავის სანადირო ადგილად აქცევს. გარდა ამისა, ცოლად მიჰყავს ადგილობრივი ქალი. ამის გამო, ხშირად უწევს აქ ჩამოსვლა. ხანდახან თვეში ორჯერ-სამჯერ მოდის, ხან დიდი ხნით რჩება და ხალხს მძიმე წნეხის ქვეშ ამყოფებს. არსებობს საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ ერთხელ, ერთი წლის განმავლობაში აქედან 13-ჯერ აკრიფა გადასახადი. ჩვეულებრივ, ერთ გადასახადს იღებდნენ. ის კი ახდევინებდა „ვიზიტის გადასახადს“, „ლაშქრის გადასახადს“, „ნადირობის გადასახადს“ და სხვ. მოსახლეობა ძალიან დაძაბუნებული და შეჭირვებული იყო. თუ ამ სოფლის ისტორიას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ რამდენიმე პრობლემა მის მკვიდრებს, ფაქტობრივად, ანადგურებს. განადგურებაში არ ვგულისხმობ, რომ, პრობლემების წინაშე აღმოჩენილას ყველაფერს კარგავენ. პირველ რიგში, იკარგება ის ერთიანობა და სიმტკიცე, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებდა. ზემოხსენებული ზეწოლა და თავდასხმები ეტაპობრივად ხდებოდა აფშარებისა და ზენდების მმართველობის დროს, დაახლოებით 70 წლის განმავლობაში. დაბოლოს, ყაჯარების ზეობისას, ნასერ ედ-დინ შაჰის ეპოქაში, როდესაც აქ დაახლოებით 33 წელი ზელ ოს-სოლთანი ბატონობდა, აფუსი განსაკუთრებულ გა-

ჭირვებას და წნეხს განიცდის. ამას ხელისუფლების წარმომადგენლები სჩადიან. ისინი მოსახლეობას ქართულ ენაზე ლაპარაკს უკრძალავენ. არსებობს დოკუმენტი, სადაც მეფისწული ბრძანებს, ეს ხალხი იმ ენაზე ნუ საუბრობს, რომელიც მე არ მესმისო. ეს საბუთი ჩემს მეგობარს აქვს ხომეინშაჰში. თუ ყაჯარებამდე აფუხსში ყველა საუბრობდა ქართულად, ზემოხსენებულ დროს უკვე ქართულად მეტყველთა რაოდენობა ნახევრდება. გარეთ შიშით ვეღარ ლაპარაკობდნენ, ძირითადად, მხოლოდ სახლში ბედავდნენ ქართულად საუბარს. უფლისწული სანადიროდ რომ მიდიოდა, აფუხის მთელი მოსახლეობა გარეთ უნდა მდგარიყო მორჩილ პოზაში (მკერდზე ხელდადებული). ზელ ოს-სოლთანი რომ გაივლიდა, მას ყველა სპარსულად უნდა მისალმებოდა. ეს ზელ ოს-სოლთანი უკიდურესად მტარვალი კაცი იყო. მან აქ თავისი მოხელეები დააყენა და უბრძანა, აკონტროლეთ, აკრძალეთ შეძლებისდაგვარად, რომ სპარსული ენის გარდა ვინმემ აქ ქართულ ან სხვა არასპარსულ ენაზე ილაპარაკოსო. თანაც ბრძანება გასცა, რომ მხოლოდ სპარსულ ენაზე დაწერილიყო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები. ადრე, ყაჯარებამდე ქართულად იწერებოდა. მართალია, ამის საბუთი ხელთ არ გვაქვს, მაგრამ ჩვენი უფროსებისგან გაგვივია. ასევე გვსმენია, რომ ქორწინებასა და საკუთრებასთან დაკავშირებული საბუთებიც ქართულად იყო.

ირანის კონსტიტუციური რევოლუციის პერიოდში კვლავ ცუდი ამბები ხდება. კერძოდ, აქ ბატონდებიან ლურისტანელი ხანები ჰაფთლანგიდან და ჩარლანგიდან, განსაკუთრებით ჩარლანგის ხანები. ისინი აიძულებენ მოსახლეობას, ილაპარაკონ მხოლოდ სპარსულად. თუ სპარსულად არ ილაპარაკებენ, მათ მიწებს არ აძლევენ. ეს მიწები ხომ ზელ ოს-სოლთანის საკუთრება იყო. მისი შვილები, შვილიშვილები, მათი ქვეშევრდომები აქ ძალმომრეობდნენ. ისინი ხალხს ეუბნებოდნენ, თქვენ სპარსულად უნდა ილაპარაკოთ, ჩვენთან ითანამშრომლოთ, მხარში დაგვიდგეთ, თუ გინდათ, რომ მიწა მოგცეთო. ჰაფთლანგის და, განსაკუთრებით, ჩარლანგის ლური ხანების უმეტესობა აფუხსში სახლობდნენ. რატომ ხდებოდა ასე? დააკვირდით აფუხის მდებარეობას. ის ზაგროსის მთიანეთის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ადგილზეა. აქედან კარგად ხედავ როგორც ლურისტანისკენ ანუ სამხრეთ-დასავლეთისკენ, ასევე ისპაჰანისკენ მიმავალ გზებს. თუ აფუხსს აკონტროლებდი, მთელ ამ მხარეზე ბატონობდი. ამას

გარდა, კარგი სანადირო ადგილები იყო. ამ მთებიდან იღებენ სათავეს და სამი მიმართულებით მიედინებიან მდინარეები... კარგად დააკვირდით, ეს როგორი სტრატეგიული ადგილია, შეგიძლია აკონტროლო სამივე მიმართულება. მოკლედ მათ (ლურმა ხანებმა – ნ.ნ.) ეს ადგილი აირჩიეს, დიდი ფული ჩაყარეს აქ, რომ ხალხი მიემხროთ. თუ რაიმე წინააღმდეგობას აწყდებოდნენ, პრობლემას ძალის გამოყენებით წყვეტდნენ. ისტორიიდან ვიცით, რომ უამრავი ადამიანი, რომელთაც წინააღმდეგობა გასწიეს და არ დამორჩილდნენ, უსასტიკესად გაანადგურეს და მოსპეს. აი, ასეთი ამბები იყო.

კონსტიტუციური მოძრაობის პერიოდში ასეთი მოვლენები ვითარდება: აფუსში იხსნება სკოლები, ოფიციალური სკოლები კი არა, ხანები თავიანთი ბავშვებისთვის ხსნიან ახლებურ სკოლებს, ტრადიციული „მაქთაბხანესგან“ განსხვავებულს. მოგეხსენებათ, კონსტიტუციური მოძრაობის პერიოდში ირანში გარკვეული სიახლეები შემოდის. ეს ინოვაციები აფუსზეც ახდენს გავლენას... ეს ახლებური მაქთაბხანეები განსხვავდება. ხანებს მეტი შემოსავალი და ფული ჰქონდათ, უნდოდათ საკუთარი ბავშვებისთვის უფრო მეტი რამ გაეკეთებინათ და აქ ეს სკოლები გახსნეს. კონსტიტუციური მოძრაობის დროს აფუსში სამი მედრესე გააქვს. ამ მედრესეებში მხოლოდ ამ ხანების შვილები და ოჯახობა სწავლობდა. მოსახლეობამ რომ შეხედა ამ ვითარებას, ზოგიერთმა თქვა, ჩვენც გვინდა ჩვენი ბავშვებისთვის განათლების მიცემაო. კი ბატონო, ოღონდ ფულია გადასახდელიო. ფულს იხდიდნენ და ამ ბავშვებსაც ატარებდნენ სკოლაში. ამიტომ, თუ აქამდე ნახევარ აფუსს უკვე დავიწყებული ჰქონდა ქართული, ახლა ის ნახევარიც განახევრდა, გაერთმესამედდა. ამ რეგიონში პირველი ახლებური სკოლა 1901 წელს გაიხსნა ზარნეში – სომხური დასახლება რომაა ჩვენს მახლობლად. აფუსში პირველი სკოლა 1908 წელს დაარსდა.

ჩემი ვარაუდით, იმ დროს ფერეიდუნშაჰრში ტრადიციული მაქთაბხანე იყო. აფუსის სასწავლებლების მუშაობის წესს თავად ადგილობრივი მმართველები ადგენდნენ ისე, როგორც მოესურვებოდათ. თვითონ ირჩევდნენ მასწავლებლებს. მასწავლებლები კი ბავშვებს ეუბნებოდნენ, თქვენ სპარსულად უნდა ილაპარაკოთო. თქვენ აუცილებლად უნდა წაიკითხოთ საადის „გოლესთან“, აუცილებლად უნდა იცოდეთ „ქალილა და დიმნაო“ და ასე შემდეგ. კიდევ ერთი სიახლე იყო – ასეთი რამ მე სხვაგან

არ გამიგია – ხანები სპეციალურ შეკრებებს აწყობდნენ, სადაც ბავშვებს სპარსულად ზეპირად აყოლებდნენ ნასწავლს. ვინც თავს გამოიჩენდა, იმათ ასაჩუქრებდნენ. ყურადღება მიაქციეთ ამ გავლენებს და ზეწოლას, ეტაპობრივად რომ ხორციელდება. ეს ენება პოლიტიკის, კულტურისა თუ სოციალურ სფეროებს. აი, საბოლოოდ აფუს ეს ემართება. ფეკლვეკიანთა მმართველობისას ვითარება კიდევ უფრო უარესდება. ყველგან შემოდის სპარსული ენა.

ერთი რამ დამავიწყდა ყაჯართა პერიოდიდან. ესაა ბაჰაიზმის შემოსვლა აფუსში. ბაჰაიზმი ხომ იცით, რაა? – ნეომასონები. ისპაჰანის ოსთანის დასავლეთში ბაჰაიტები მხოლოდ აქ იყვნენ. ბაჰაიტებს ერთი თავისებურება ახასიათებთ. ისინი ისეთი ფორმით ახორციელებენ კულტურულ ცვლილებებს, გარდაქმნებს, კულტურულ ურთიერთობებს, როგორც მათ გულის მოესურვება. აფუსის მოსახლეობის 1/9 თუ 1/10 ბაჰაიზმის მიმდევარი იყო. ისინი ყაჯარების პერიოდში მოვიდნენ, მაგრამ ფეკლვეკიანთა ხელისუფლებასთან კავშირები ჰქონდათ. მათ ფეკლვეკიანთა პერიოდში მოიპოვეს ძალაუფლება და აფუსი წნეხის ქვეშ მოაქციეს. ისეთი ზეწოლა მოახდინეს, რომ ქართული ენა კიდევ უფრო დაკნინებულიყო. ის [ბაჰაიტური] კულტურა ქართულად საუბარს კრძალავდა.

1353 წელს (1974 წ.) კიდევ ერთი რამ მოხდა, რამაც ამას შეუწყო ხელი. გაგეგონებათ დღესასწაული „შაჰზანანე“ (ქალთა მმართველობის დღესასწაული. ამის შესახებ – ქვემოთ – ნ.ნ.) ანუ „მოსავლის დღესასწაული“. აუცილებელი გახდა ამ დღესასწაულის სპარსულ ენაზე გამართვა, ძველი ირანული წესის მიხედვით... აფუსი ერთადერთი ქართული დასახლებაა, სადაც ერთ დღეს ქალები ხდებოდნენ მთელი ქალაქის მმართველები. იმ დღეს კაცებს არ ჰქონდათ ქალაქში დარჩენის უფლება. იმ დღეს აფუსის ქალები მთელი რაიონის ქალებს ეპატიუებოდნენ თავისთან, ასევე აფუსელი კაცები, რომლებიც მთაში ადიოდნენ წყლის სათავეებთან, იქ იწვევდნენ მეზობელი სოფლების მამაკაცებს. ეს ხდებოდა დაახლოებით ამ პერიოდში (ჩაწერა ხდება მაისის თვის დასაწყისში – ნ.ნ.), ვთქვათ ათი დღის შემდეგ. იმ დროისათვის უკვე დასრულებული იყო ხვნა-თესვის სამუშაოები ანუ ყველა ეს საქმე მოთავებული იყო. „მოსავლის ზეიმი“ საიდან მოვიდა, შესწავლას საჭიროებს...

საბოლოოდ 1353 წლისათვის (1974 წ.) მივიღეთ ის, რომ ქართული

ენა აფუსში გაქრა. უკანასკნელი ქართულად მოლაპარაკე ჩემი ბებია და პაპა იყვნენ. სამწუხაროდ, პაპაჩემს განათლება არ ჰქონდა, წერა-კითხვა არ იცოდა. ერთმანეთში ისინი ქართულად ლაპარაკობდნენ. მაშინ ბავშვები ვიყავით, ვერ ვხვდებოდით, რა კულტურა და რა კაპიტალი იკარგებოდა. საბოლოოდ ამ შედეგამდე მივყავით. სხვა მიზეზებიც იყო, მე ეს ერთ სტატიაში მიწერია.

შეიძლება ითქვას, აფუსში პერიოდულად ვითარდებოდა პროცესები, რომლებსაც ისტორიის მანძილზე სამი სირთულე ხვდებოდა წინ. პირველი – მმართველების მიერ მოსახლეობის ჩაგვრა, მეორე – კულტურული და სოციალური საკითხები, რომლებიც ამ სოფელს გარედან, სხვადასხვა ადგილებიდან თავს მოეხვია, მესამე – თავად აფუსის მოსახლეობის სულიერი და კულტურული თავისებურებანი. აფუსელების თაობაზე უნდა გითხრათ, რომ ძალიან კულტურულები და განათლებულები გახლავან. ჩვენი ქალაქის ახლანდელ მოსახლეობას თუ ნახავთ,... განათლების ყველაზე დაბალი დონე – ბაკალავრია. სწავლობენ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე. ბევრი ადამიანი უნივერსიტეტის ლექტორია, ბევრი ექიმი გვყავს. აქაური ქალების უმეტესობას მინიმუმ ატესტატი აქვს. ეს მეცნიერებისა და კულტურისადმი აფუსელთა მიდრეკილების მაჩვენებელია.

ერთი რამ უნდა მოგახსენოთ დამსწრეთ. აფუსის პრობლემებში გასარკვევად აქ ბევრი ჩამოვიდა საქართველოდანაც და ირანის სხვადასხვა კვლევითი ცენტრიდანაც. ყველა მათგანმა ერთი და იგივე შეცდომა დაუშვა. იმის მაგიერ, რომ ჩასწვდომოდნენ აფუსელთა მიერ მშობლიური ენის დაკარგვის საფუძვლებს და არსს, აფუსელთა გაკიცხვას შეუდგნენ, ასე რატომ მოიქცეითო. ფსიქოლოგიურად, თუკი ადამიანს რაიმე საკითხში გაკიცხავ, დარწმუნებული იყავი, დადებითი ნაცვლად, მისგან უარყოფით რეაქციას მიიღებ. თან ეს სისტემატურად ხდება: ასე რატომ მოიქცეით? ასე რატომ მოხდა? მე არ ვამბობ, რომ აფუსელებს შეცდომა არ დაუშვიათ. ღიახაც, დაუშვეს ადამიანური, კულტურული, სოციალური შეცდომები. ჩვენმა სწავლულებმა ზოგან ხელი დააკლეს. მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი შეცდომებიც არ იყო, რომ მუდმივად გაკიცხვას ისმენდე, ეს ცუდი ამბები წიგნებში იწერებოდეს და პირდაპირ სახეზე გაფარებდნენ, თითქოს აფუსელები დაბადებით ცუდები არიან. ეს ერთი მომენტი.

ამის გარდა, საქმე უნდა გაკეთდეს, ამ თემაზე კვლევები ჩატარდეს; პირობები შეიქმნას იმისათვის, რომ აფუსის მოსახლეობას გაუჩნდეს ინტერესი ქართული ენისა და კულტურისადმი. ეს სურვილი კიდევაც არსებობს. მაგრამ ამისათვის არაფერი კეთდება. ისე ხდება, ბავშვი შეცდომას რომ დაუშვებს და მხოლოდ კიცხავ, შეცდომის გამოსწორების გზებს კი არ აჩვენებ. ასეთია ვითარება. მაპატიეთ ბევრი ლაპარაკისთვის. **აფუსელები არ აპროტესტებენ იმას, რომ საქართველო უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ირანში ქართულად მოლაპარაკე დასახლებებს, ვიდრე აფუსს. ყოველ შემთხვევაში, განათლებული აფუსელები ასე არ ფიქრობენ.**“

ბ) მოჯთაბა აჰმადი – აფუსის მკვიდრი, ბოინ-მიანდაშთის თემის ინგლისურის მასწავლებელი (ფერეიდნელი აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთის მიერ მოწოდებული ვიდეომასალიდან):

„ღვთის სახელით, მე მოჯთაბა აჰმადი ვარ, ბოინ-მიანდაშთის თემის ინგლისური ენის მასწავლებელი, ვცხოვრობ აფუსში. ქართველი ვარ და ქართულიც ვიცი. მამაჩემი აქედან იყო, ქართველი, ღელაჩემი კი ჩუღურთიდან. ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა ვთქვა აფუსის შესახებ. ეს ის ადგილია, სადაც სეფიანთა პერიოდში პირველად დასახლდნენ ქართველები. იქიდან მოყოლებული დღემდე, ამ დასახლებამ განიცადა ბევრი ცვლილება როგორც ენის, ისე მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის თვალსაზრისით. ერთი ამ ცვლილებათაგანი, სამწუხაროდ, ღელა ენის ანუ ქართულის დავიწყებაა.

ამ პირველი დასახლებიდან შემდგომ ქართველების ნაწილი წავიდა და დააარსეს სოფლები ფერეიდუნშაჰრი, ბოინ-მიანდაშთი, აღჩე და სხვები. აფუსში თავდაპირველად ქართულად ლაპარაკობდნენ. **სოფლის მოხუცებს ჯერ კიდევ ახსოვთ სიტყვები მშობლიური ქართული ენიდან.** ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ამ ქართული დასახლების ირგვლივ მდებარე ადგილები, მთები, წყაროები, მიწები ახლაც ინარჩუნებენ ქართულ სახელწოდებებს და ამით ადასტურებენ აფუსის თავდაპირველ ქართულობას. ეს სახელებია „სათაფლე“, „ქვეითრუი“, „ზეითრუი“, „მესამეყრა“, „საჩოგნია“ და სხვა.

აფუსში ქართული ენის დავიწყების ანუ დაკარგვის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ზოგი ამის მიზეზად ძალმომრეობასა და ზეწო-

ლას ასახელებს. ზოგი თვლის, რომ ეს გამოიწვია მოსახლეობის დაუინტერესებლობამ, მონდომების დეფიციტმა და დაუდევრობამ. ზოგი კი დევ სხვა მიზეზებს ასახელებს. ჯერჯერობით არაფერი დადასტურებულა დანამდევილებით. საჭიროა ენათმეცნიერული, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური კვლევა, რათა გაირკვეს, რა იყო ამის მთავარი მიზეზი. სახელდება ადგილობრივი ხანების და მმართველების ძალადობა მოსახლეობაზე, რომლებიც მათ საზოგადოებაში ქართულად ლაპარაკს უკრძალავდნენ. ზოგი ამბობს, რომ ამის მიზეზი ერთი სასამართლო პროცესი გახდა, სადაც ქართული „არა“-ს მსგავსებამ სპარსულ „არე“-სთან (სპარს. „დიახ“ – ნ.ნ.) გამოიწვია ქართველების კუთვნილი მიწების დიდი ნაწილის დაკარგვა (ანუ სასამართლოზე ნათქვამი მათი უარი თანხმობად იქნა გაგებული). ამიტომაც ქართველებმა თავად გადაწყვიტეს ქართული ენის „გვერდზე გადადება“ და ცხოვრების გასაიოლებლად სპარსულზე გადაერთნენ. ზოგი თვლის, რომ ამ ადგილას სხვა ტომების მოსახლეობის დამკვიდრებასთან ერთად, ქართველებმა ნებაყოფილობით აირჩიეს სპარსული, როგორც ამ რეგიონში ყველაზე მეტად გავრცელებული და გამოყენებული ენა. ამით გამოუხატეს სიყვარული და მეგობრობა სხვა მოდემის ხალხებს.“

● აფუსის მკვიდრთა ქართული

2017 წლის მაისში ისპაჰანის ოსთანის ფერეიდნის მხარეში, ქალაქ აფუსში ყოფნისას მოვიპოვეთ მდიდარი აუდიო-ვიდეო მასალა ამ დასახლების ისტორიის, მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების, ადამ-წესებისა და ენობრივი სიტუაციის შესახებ. აფუსი სხვა ქართული ქალაქებისა და სოფლებისგან იმით გამოირჩევა, რომ მისი მცხოვრებლების დიდი უმეტესობის, სულ ცოტა, სამი თაობა აღარ ლაპარაკობს ქართულად. მოპოვებული მასალის შესწავლით გამოვლინდა პოლიტიკური, ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორები და მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია ამ დასახლებაში ქართული ენის დავიწყება. ამ ფაქტს დღევანდელი აფუსელები მტკივნეულად განიცდიან, განსაკუთრებით იმის გამო, რომ მათ „მშობლიური ენისადმი უგულისყურო მოპყრობასა და უპატივცემულობაში“ ხშირად აკრიტიკებენ მეზობელი ქართული დასახლებების წარმომადგენლები.

მასალის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ აფუსში ქართული ენა ძირ-ფესვიანად არ ამოძირკვეულა. დღესაც აფუსის მკვიდრნი იყენებენ ქართულ ტოპონიმებს, ფიტონიმებსა და ზოონიმებს. ზოგიერთი მათგანი კი, სხვა სოფლიდან მოყვანილი ქართულენოვანი დედის წყალობით, საკმაოდ კარგად საუბრობს ე.წ. ფერეიდნულ კილოზე, მაგალითად, ზემოხსენებული მოჯთაბა აჰმადი, ბოინ-მიანდაშთის თემის ინგლისურის მასწავლებელი, აფუსის მკვიდრი, მამით – აფუსელი, დედით – ჩულრუთელი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემული ლექსიკა, რომელიც აშკარად ქართულია, ამოღებულია „ქართული დიალექტური კორპუსიდან“, 2017 წელს აფუსში ჩატარებული საველე სამუშაოებისას მოპოვებული მასალიდან და აფუსის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმიდან:

№	ლექსიკური ერთეული	ქართული შესატყვისი/ განმარტება
1	ახალრევი	ადგილის სახელი
2	ბებელა	პეპელა
3	გარდახთემა	გადახტომა
4	გელის მაზრა	ადგილის სახელი
5	გოგონე	გოგონა
6	გორგის მაზრა	ადგილის სახელი
7	ზეითრევი	ადგილის სახელი
8	ზიანა	რძიანა
9	ნაგული	ნაკუწი
10	ნათალი	ნათალი
11	სავერცხელი	სავარცხელი
12	სათავლე/სათაფლო	ადგილის სახელი
13	სარქელი	თიხის სარქველი
14	საჭმელა	შეჭამანდის ბალახი

16	სომეხ	სომეხი
17	ქოვოთრუკი	ადგილის სახელი
18	ყურზა/ყურზანი	ყურძენი
19	ძუნძულგელი/ ჭუნჭურკელი	კალია, ჭრიჭინა
20	წოლვინი	მწვანელი, გამწვანებული
21	ხალინგი	ხვლიკი
22	ხახუნაი	ერთგვარი მცენარე, კელური ხახვი

ნაშრომში „ირანის ქართველების მშობლიური მხარე“ ახალგაზრდა ფერეიდნელი მკვლევარი რუჰოლა სეფიანი (ლადო სეფიაშვილი) ასევე უთითებს ცხრილში ნახსენებ N1 და N17 ტოპონიმებს (სეფიანი-რ 1396: 203).

უკანასკნელ ხანებში მრავალ ფერეიდნელ ქართველთან ერთად აფუსელებიც გამოემართნენ საქართველოსკენ და ცდილობენ ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრებას. ახალგაზრდა აფუსელთა ერთმა ნაწილმა ხელახლა შეისწავლა მამა-პაპების მიერ დაკარგული ქართული და ახლა ისეთი ქართულით მეტყველებენ, რომელსაც ფერეიდნული კილოს არანაირი კვალი არ სცხია. ამის ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ერთი აფუსელი ქალბატონი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, საქართველოში ტურისტულ ბიზნესს ეწევა. მისი მტკიცებით, მათი ისტორიული გვარი იყო „მარტიანნი“ ანუ „მარტიაშვილი“. ასეთივე წარმატებით ეუფლებიან თანამედროვე ქართულს საქართველოში დაფუძნებული მაზანდარანელი ქართველებიც.

● სამოყვარულო ფილმი აფუსის შესახებ

ბოინ-მიანდაშთელმა ქართველმა აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთიმ მოგვანოლა მოგვთაბა აჰმადისთან თანამშრომლობით მომზადებული ვიდეომასალა აფუსის შესახებ, რომელშიც მხოლოდ ეს უკანასკნელი ახერხებს ორიოდე გაბმული წინადადების თქმას ქართულად. რამდენიმე ასაკოვანი აფუსელი კი გაჭირვებით გამოთქვამს ცალკეულ სიტყვებს:

ბ-ნი ყოლამრეზა ბაყერი: „მაყარი (ქორწილში); გვარი „ნამაზი“ მოდის ქართული „ლამაზი“-დან; „გადა“, „გაგა“ – ძმა.“

ბ-ნი მოჰამად-აყა გულანი ითვლის ქართულად 1-დან 10-მდე შემდეგი თანმიმდევრობით: „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, (შვიდს ვერ ამბობს- ნ.ნ.) ცხრა, რვა, ათი.“

ქ-ნი ფარაჰბაზში: „მთვარის ნათებას, მთვარეს ქართულად ეწოდება „თათელი“ (ნათელი?- ნ.ნ.). სოფლის მეურნეობის სახელები ქართულია, სასოფლო-სამეურნეო საშუალებანი ქართულია, ადამ-წესების სახელები ქართულია. „კარი დაკეტე“ ქართულად არის „გარ (კარი?) მიში“(?). „გოგონას“ ეწოდება „ყორი“, ბიჭს – „ბიჭი“. როცა ქართულად ლაპარაკობენ, მესმის.“

შესწავლილ ვიდეომასალაში ზემოხსენებული პირები ძირითად სათქმელს, სხვადასხვა ამბავს სპარსულად (სტანდარტულ სპარსულზე ან სპარსულის ისპაჰანურ დიალექტზე) ჰყვებიან.

• დოკუმენტური ფილმი აფუსზე

2018 წლის 9 აპრილს ირანის ისლამური რესპუბლიკის სახელმწიფო ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების არხზე გავიდა ჰადი აფარიდეს (იდეის ავტორი და რეჟისორი) და ფარჰად ვარაჰრამის მიერ შექმნილი დოკუმენტური ფილმი „აფუსი“, რომელიც წარმოადგენს სერიალის („სოფლური მოგონებანი“) პირველ ნაწილს. დაახლოებით 50-წუთიანი ფილმის ნახვა შესაძლებელია ინტერნეტში მისამართებზე.: https://www.aparat.com/v/f8U1o/%D9%85%D8%B3%D8%AA%D9%86%D8%AF_%D8%A7%D9%81%D9%88%D8%B3 – ხანგრძლივობა: 49.55;

<https://www.youtube.com/watch?v=uxidVveHR7I> – ხანგრძლივობა: 49.38.⁷

ამ ფილმმა მაყურებელთა და სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა სხვადასხვა მიზეზით კრიტიკაც ბევრი შეხვდა, განსაკუთრე-

7. ფილმის ამ ვარიანტში 27-ე წუთის შემდეგ ამოჭრილია 17-წამიანი მონაკვეთი, სადაც მოხუცი კაცი ქართულად ივინება. ცოლი უბრაზდება, ის კი პასუხობს, ხომ გინდოდა, ქართულად მეთქვა რამეო.

ბით, ფერეიდნელთა მხრიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბ-ნ ჰადი აფარიდესთვის უნდა ეჩვილათ კიდეც. ჩვენთვის საყურადღებოა ქართული ენობრივი მასალა, რომელიც აფუსელების მეტყველებაშია შემორჩენილი და ასახულია ამ ფილმში. ფილმი სპარსულ ენაზეა. აფუსელთა ქართულ მეტყველებას კი სპარსული სუბტიტრები ახლავს. სამწუხაროდ, ფილმში მოსაუბრეთა სახელები და გვარები შესაბამის ეპიზოდში კი არ არის მითითებული, არამედ ერთიანი სიით მოტანილია ფილმის ბოლოს (ქალბატონები: ფათემე მოჰამად-ყასემი, ზარი მორთეზაი, მარიამ შეიხ-მოჰამადი, მარზიე ღუსთ-მოჰამადი, აქრამ თავაქოლი, ჰაჯიე ბიბი თაჰმასბი, მასუმე ესლამიანი; ბატონები: ჯანი ნაზარიანი, მაჰმუდ ქიხაი, ჯაჰან ჰაშემი, ჰაშემ ნასირი). ბოინ-მიანდაშთში მცხოვრები აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთის დახმარებით შესაძლებელი გახდა ზოგიერთი მათგანის იდენტიფიცირება.

ცხადია, ამ 50-წუთიანი დოკუმენტური ფილმის მომზადებას გაცილებით მეტი მასალა უდევს საფუძვლად, რომელიც, დიდი ალბათობით, აფუსელთა მეტყველების სხვა მონაცემებსაც შეიცავს. ჩემს მცდელობას, დავკავშირებოდი ბ-ნ ჰადი აფარიდეს და მომეპოვებინა კადრს მიღმა დარჩენილი უცნობი „ნედლი“ მასალა, ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია.

ფილმში გამოყენებულია როგორც ჯანი ნაზარიანის მიერ გადაღებული, ასევე რუსეთის კინოარქივის მასალა (1944). არ არის გამორიცხული, ეს უკანასკნელი ფერეიდანში ირაკლი კანდელაკის ყოფნის დროს გადაღებული დოკუმენტური კადრები იყოს.

ტიტრებში აღნიშნულია, რომ მუსიკალური გაფორმებისათვის ნაწილობრივ გამოყენებულია ადგილობრივი ქართველი მუსიკოსების შესრულება, თუმცა რომელია ქართული, ამის გარჩევა ძნელია.

ფილმში მოვლენები შემდეგი თანმიმდევრობით ვითარდება:

- ფილმის ხსნის შუახნის მამაკაცი, ჯანი ნაზარიანი, წარმოშობით სომეხი, აზნადან⁸. იგი შემდგომაც აკეთებს კომენტარებს სხვადასხვა საკითხზე. ნაზარიანი ამბობს, რომ დიდი ხანია, თავადაც იღებს და აგ-

8. სავარაუდოდ, ჯ. ნაზარიანის სამშობლო უნდა იყოს ლურიჭთანის ოსთანის აზნას შაჰრესთანის სოფელი ზარნან-ი, რომელიც სომხების მიერაა დაარსებული.

როგებს ვიდეომასალას ამ რეგიონის მოსახლეობისა და ისტორიის შესახებ.

- ფილმის დასაწყისში სპარსულად მოლაპარაკე აფუსელი მოხუცი მაჰმუდ ქიზაი აღნიშნავს, რომ „ამ ადგილს უწოდებენ ფერეიდანის აფუსს. ის სოფლები, რაც შოურავიში (სპარს. „საბჭოთა კავშირი“- ნ.ნ.) არის, აქაც არის“. ჩანს, ბ-ნი ქიზაი „შოურავიში“ გულისხმობს არა საბჭოთა კავშირს, არამედ საქართველოს სსრ-ს – ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილს; ორივეგან სოფლების მსგავსება კი უნდა გავიგოთ, როგორც ერთი და იმავე დასახელების სოფლების არსებობა ფერეიდანსა და საქართველოში.
- დიქტორი აცხადებს, რომ ამ მხარეში სულ 24 სოფელია.
- მაჰმუდ ქიზაი რამდენიმე წუთის შემდეგ კვლავ იმეორებს, რომ შაჰ აბასის მიერ აქ დასახლებულებმა საკუთარი ქვეყნიდან სოფლების სახელები გადმოიტანეს. მისი თქმით, წამოსხმულ ტყვეთა შორის ოფიცრებიც (აქსარან) და საბჭოეთის ღილებულებიც („ბოზორგანე შოურავი“) იყვნენ.
- ერთ-ერთი მოხუცი ქალის თქმით, „აფუსს უწოდებდნენ „ღარ-ოლ-მო'მენინს“⁹ და ყველა მისი მცხოვრები ქართველი იყო“.
- ირანული კალენდრით 1350 წელს (1972 წ.) სამეცნიერო ჟურნალის „ჰონარ ვა მარდომ“ („ხელოვნება და ხალხი“) 112-113-ე ნომერში დაიბეჭდა მოჰამად-ჰასან სარმადის სტატია „სოფელი აფუსი“, რომელშიც პირველად არის შესწავლილი აფუსის ისტორია, მის მკვიდრთა ყოფა-ცხოვრება და ადამ-წესები¹⁰. დოკუმენტური ფილმის ავტორთა თქმით, „აფუსი“ მომდინარეობს ქართული სიტყვიდან „აფუსლია“, თუმცა მის მნიშვნელობას არ განმარტავენ. მეორე ვერსიით, თავად აფუსელები თვლიან, რომ სახელწოდება „აფუს“ მოდის სპარსული

9. ღარ-ოლ-მო'მენინ – (არაბ.) ღვთისმოსავთა, მართლმორწმუნეთა სახლი

10. http://www.ichodoc.ir/p-a/CHANGED/112/html/112_38.HTM (სარმადი 1350: 38-43)

სიტყვიდან „აქსუს“, რაც მიუთითებს აფუსელთა წინაპრების მძიმე და სამწუხარო ყოფაზე.

- მოხუცი ქალი ჰაჯიე ბიბი თაჰმასიბი სპარსულად ამბობს, რომ იცის მხოლოდ საკუთარი დედ-მამის ქართველობის შესახებ, მაგრამ მისთვის უცნობია, როდის და როგორ მოხვდნენ აქ მისი წინაპრები. იქვე ნაცრისფერთავსაფრიანი მეორე მოხუცი ჰყვება, რომ, ჯერ კიდევ არ იყო გათხოვილი, როცა საქართველოდან ვიღაცები ჩამოვიდნენ: „არ ვიცი, აქ რისთვის მოვიდნენ. სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად? კარგა ხანს იყვნენ აქ“. სავარაუდოდ, ქალბატონი მიაჩნებოდა კინოლოკუმენტალისტ გურამ პატარაიასა და მისი გადამღები ჯგუფის ფერეიდანში ჩასვლაზე, რომლებიც მუშაობდნენ ცნობილ დოკუმენტურ ფილმზე „შორია გურჯისტანამდე“ (1970).
- ერთ-ერთი მოხუცი ქალბატონი სპარსულად მოგვითხრობს: „აქ ქართველები რომ მოიყვანეს, სომხებიც მოიყვანეს. ერთი ადგილია, „დნ-ჩიგუნ“ (სოფელი დაჟგან – ნ.ნ.), იქ ბევრი წყაროა. იქ დასახლდნენ“. საყურადღებოა, რომ ეს ქალბატონი „სომხების ჩამოყვანას“ ორგვარად ამბობს: „არამანე ავორდანდ // სომეხ ავორდანდ“ ანუ სპარსულ „სომეხს“ იქვე ქართული „სომხით“ ანაცვლებს. იგი თხრობას ასე განაგრძობს: „აქ სახლდებიან. მერე ერთმანეთში ბჭობენ, რა გააკეთოთ. მერე ფიცს დებენ. ნახევარი მიდის ახორეში, ნახევარიც აქ რჩება. აფუსში რომ იტყვიან ხოლმე „დომ რუსთაი“ (სოფლის ბოლო, სოფლის კუდი – ნ.ნ.), აი, იქ სახლდებიან“.
- შემდეგი ქალბატონი ამბობს: „შაჰ აბასმა აქ მოგვიყვანა ქართველები, გადმოგვასახლა (სპარს. თაბ'იდ ქარდ).“
- ჯანი ნაზარიანი საუბრობს შაჰ აბასის მიერ ქართველების და სომხების გადმოსახლების მიზეზებზე. მისი თქმით, შაჰ აბასმა ქართველები ლაშქრობის ტყვეებად კი არ წამოასხა, არამედ როგორც სანიმუშო ხელოსნები და მიწათმოქმედები წამოიყვანა.
- შემდგომ დიქტორი მოგვითხრობს ირანისა და ოსმალეთის ქიშპობაზე, რომელიც უშუალოდ ეხებოდა საქართველოს; ასევე გვიამბობს

სეფიანების, აფშარებისა და ყაჯარების ლაშქრობების თაობაზე საქართველოში, რასაც უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა, ბევრს კი იძულებითი გადასახლება ხვდა წილად. აღსანიშნავია, რომ თხრობას ფონად გასდევს სევდიანი ჰანგები და სომხურწარწერიანი საფლაკების კადრები.

- დიქტორის ხმა გვამცნობს, რომ თავდაპირველად ქართველები მაზანდარანში ჩაასახლეს, მაგრამ უმეტესობას იქაური ჰავა არ მოეწონა და ცენტრალური ირანის ზეგანს მიაშურეს. შაჰ აბასის ბრძანებით, საბრძოლო სულისკვეთების ქართველი ტყვეები ფერეიდანში დაამკვიდრეს, რათა წინ აღდგომოდნენ იქაური მომთაბარე ტომების თავდასხმებსა და თარეშს.
- დიქტორი და ჯანი ნაზარიანი მაყურებელს მოუთხრობენ ქართველები-სა და, ნაწილობრივ, სომხების გამუსლიმების ისტორიას. სომხებზეც იყო ზეწოლა, რომ მიეღოთ ისლამი. ზოგი მათგანი წინააღმდეგობის გამო მოკლეს კიდეც. საბოლოოდ ქართველების უმეტესობამ აღიარა ისლამი. მათ იმდენად დაიმსახურეს სეფიანი მმართველების ყურადღება, რომ მაღალი თანამდებობებიც კი დაიკავეს სამეფო კარზე. ხოლო სომხობა საკუთარ რწმენაში ჩაკეტილობის გამო ხელისუფლებას ნაკლებად აინტერესებდა.
- მაჰმუდ ქიზაი, რომლის მოხუცი მეუღლეც მას უმეტესად უსიტყვოდ უმშვენებს გვერდს, თხრობას განაგრძობს: „იმ ტყვეთა შორის სამი დიდებული ქართველი იყო. სამი ძმა იყო... ძმები ეკითხებიან მას (როგორც ჩანს, ძმებს ვიღაც გამოეცხადათ. თხრობაში ეს არ ჩანს – ნ. ნ.), შეგიძლია ისლამზე მოგვაქციო? ის პასუხობს, რატომაც არა, შემიძლიაო. როგორო, ჰკითხეს. როგორ და ეს ლოცვა წარმოთქვითო (ლოცვა ყურანიდან, არაბულ ენაზე – ნ.ნ.). მათაც წარმოთქვეს. ერთ-ერთმა, სახელად ასლანმა, გამოითანა კერპები და დაამსხვრია. აქედან მას ეწოდა ასლან ბოთშექანი¹¹. შემდეგ ასლანმა მოიხმო თა-

11. ბოთშექან – (სპარს.) კერპთა მსხვერველი. აღსანიშნავია, რომ ბევრი ირანელი ქართველი საკუთარი წარმოშობის დამადასტურებელი გენეალოგიური ხის თავში სწორედ ამ ასლან ბოთშექანს აყენებს.

ვისი ლაშქარი და განუცხადა: „ჩვენ ისლამი მივიღეთ. ვისაც გსურთ გამუსლიმება, გამუსლიმდით, ვისაც არა და თქვენ თქვენს გზაზე წადითო. ჰოდა, სომხები ერთ მხარეს წავიდნენ, ასევე თურქები, ასევე სპარსები. ქართველები ასლანთან დარჩნენ. სწორედ ასლან ბოთშექანმა დააარსა აფუხი“. ეს მოხუცი ასევე მოგვითხრობს, რომ სოფლის წყალი მთის წყაროებიდან მოდის და ამ წყაროებს ეწოდება „ჩეშმეფე ბოზორგან“¹². თუკი ნამდვილი მორწმუნე ავიდოდა იმ წყაროსთან სალოცავად, წყლიდან ამოდიოდა ერთი ყვითელი ჯამი, რომელშიც იყო სალოცავი ხალიჩა, სალოცავი ქვა და კრიალოსანი. ეს მორწმუნე იღებდა წყლიდან ამ ჯამს, კითხულობდა ნამაზს, მადლობას უთვლიდა წმინდანებს, ხოლო ლოცვის დასრულების შემდეგ ამ ყველაფერს ისევ წყალში აბრუნებდა.

- შემდგომი კადრები ისლამისა და მისი წმინდანების მიმართ ქართველთა სიყვარულის დემონსტრაციაა. კერძოდ, ალაპარაკებენ მოხუცს, სახელად ჰაშემ ნასირის (რომელიც ფილმის სხვა ეპიზოდში ქართულად იგინება). იგი წარმოთქვამს გრძელ ტირადას აშურას სამგლოვიარო რიტუალიდან.
- ერთი მოხუცი ქალბატონი მოგვითხრობს, თუ როგორ ერთგულად ემსახურებიან და ეთაყვანებიან ქართველები იმამ ჰუსეინს. მისი თქმით, 7 წლის ასაკისა იყო, როცა აშურას დღეს წყაროდან დოქით მიჰქონდა წყალი სამგლოვიარო მსვლელობაში მონაწილეთათვის.
- ქალბატონი ჰაჯიე ბიბი თაჰმასბი შენიშნავს, რომ არასდროს გასჩენია საქართველოს მონახულების სურვილი, მაგრამ ახლომახლოს სალოცავად ბევრგან ყოფილა. „არ მაკლდა მოსალოცი ადგილების მონახულება, ჩემს გულში დაიბუდა „ზიარათის“¹³ სურვილმა. ოღონდ მექაში არ ვყოფილვარ. არ მქონდა ამის სახსარი. დედაჩემი კი ნამყოფი იყო მექაში“.
- დიქტორი საუბრობს აფუხის მთებში არსებულ წყაროებზე. ამბობს, რომ ადგილობრივებისთვის ეს წმინდა ადგილია, სადაც უმეტესად იმართე-

12. „ჩეშმეფე ბოზორგან“ – (სპარს.) დიდებულია წყარო

13. ზიარათ – (არაბ. – სპარს.) პილიგრიმობა, წმინდა ადგილების მოლოცვა

ბა მათი ტრადიციული და რელიგიური რიტუალები. ამ დროს კადრში ჩანს კლდეზე წარწერა: ზემოდან ქვემოთ – ინგლისურად „Georgia“, ქართულად „საქართველო“, „აღჩე“, საქართველოს ჯვრებიანი დროშა და სულ ძირში ქართულად „ლიონ“. გვერდზე წარწერაა სპარსულად: „ზენდე ბად გორჯესთან“¹⁴ 2016“.

- დიქტორის ტექსტი გრძელდება აფუსის ტრადიციული სახალხო დღესასწაულის შესახებ თხრობით, რომელსაც „ქალთა მმართველობის დღე“ ეწოდება. ერთ საგანგებო დღეს ყველა მამაკაცი ტოვებდა სოფელს და ადიოდა მთაში წყაროებთან, სოფელში კი მხოლოდ ქალები რჩებოდნენ. ქალებსაც და მამაკაცებსაც ამ დღეს საკუთარი რიტუალები დააღწიეს ღმერთების ჰქონდათ.
- ფილმის რამდენიმე წუთიანი მონაკვეთი ასახავს აფუსელ ქალთა თავყრილობას, რომელსაც ახალგაზრდა ქალბატონი უძღვება. აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთის განმარტებით, იგი არ გახლავთ ქართველი. წარმოშობით ხანსარიდან არის, ბოინში მცხოვრები ჰაჯ აჰმად ჯავაჰერის ცოლია. ქალები ხელსაქმით არიან დაკავებული. ეს ქალბატონი აჩვენებს ასაკოვნებს, როგორ ამოქარგონ „ქართული მზე“ (სპარს. „ხორშილე გორჯი“), რომელიც აშკარად ბორჯღალოს ფორმისაა. სავარაუდოდ, ეს აფუსში შემორჩენილი ძველი ტრადიცია კი არა, ქართული იდენტობის ძიების ერთ-ერთი გამოხატულებაა. ეს ახალგაზრდა ქალბატონი დანარჩენებს უხსნის, რომ ქართული სიმბოლო მრავალნაირია (მზე, ირემი და ა.შ.). შემდეგ განუმარტავს, რომ, მისი დაკვირვებით, ქართველებისაგან განსხვავებით, სომხები უფრო მეტად იყენებენ მხიარულ ფერებს. ეს ქალბატონი, როგორც ჩანს, აფუსელ ქართველებში ტრადიციული ქართული სიმბოლიკის დანერგვას ცდილობს და აღნიშნავს: „ჭეშმარიტი აღორძინების მნიშვნელობა იმაშია, რომ ის შემდგომად გაგრძელდეს“. იგი იქვე დასძენს: „აღორძინებაში არ ვგულისხმობ, რომ ეს [პროლექცია] სხვაგან არ გაიყიდოს და მხოლოდ აქ დარჩეს. ჭეშმარიტი აღორძინება იქნება, თუკი ამის ქსოვა მომავალშიც გაგრძელდება“.

14. „გაუმარჯოს საქართველოს“

- შემდეგ მოდის მატყლის დამუშავებისა და წინდების ქსოვის კადრები. იგივე ახალგაზრდა ქალბატონი ამბობს, რომ, აქაური ცივი კლიმატის გამო, თბილი წინდების ქსოვა ადგილობრივი ტრადიციაა. ქართველები წინდებისთვის თეთრ მატყლს იყენებენ, სომხები კი მეტწილად ფერად წინდებს ქსოვენ.
- ფილმის შემდეგი კადრები ტრადიციულ ქართულ თოჯინას ეხება. ერთი ქალბატონი განმარტავს, რომ აფუსში გაკეთებულ თოჯინებს წელზე დოინჯი აქვთ შემორტყმული. მათ „გოგონე“ ეწოდებათ, რაც სპარსულად „თოჯინას“ ნიშნავს. აფუსში მან ნახა თოჯინების 2 ტიპი, ორივე მღვდრობითია. იგი სთხოვს ერთ „ძალიან ასაკოვან“ ქალბატონს, აჩვენოს ტრადიციული ქართული თოჯინის კეთების პროცესი, როგორც ეს ძველად ხდებოდა. „ძალიან მოხუცი ქალბატონი“, რომელიც გარეგნულად 50-60 წლისა თუ იქნება, სპარსულად განმარტავს: „ესაა „გოგონე“. „გოგონე“ ჩვენს ქართულ კილოზე ნიშნავს „გოგონას“ (სპარს. „დოხთარ“). ძველად, როდესაც ცეკვავენ, ხელებს წელზე იდებდნენ და მოძრაობისას აქეთ-იქით იხრებოდნენ. დროდადრო ერთ ხელს მაღლა ასწევდნენ ხოლმე და ისე ცეკვავენ (ხელით აჩვენებს საცეკვაო მოძრაობებს -ნ.ნ.). ეს ჯვარია. ჯერ მას ვადგამთ თავს ძველი ქსოვილებისგან. მერე ვუკერავთ „ჯუყას“ (ჩოხა?) და ვაცემეთ. თავზე ქუდს ვახურავთ და რას ვიღებთ? – ერთ სრულფასოვან მამაკაცს.
- გოგონებს ზევიდან პერანგი ეცვათ და ქვევით – ქვედაბოლო. ფეხები შიშველი ჰქონდათ. ანლა ჩვენ დავუმატეთ შარვალიც, რომ ჩვენი თოჯინა ჰიჯაბის (ისლამური ჩაცმულობის წესი – ნ.ნ.) მოთხოვნებს შეესაბამებოდეს“. ეს ქალბატონი ერთ ასეთ თოჯინას ზემოდან კიდევ ერთიან მოსასხამსაც (სპარს. „ჩადორ“) ახურავს, რითაც სრულ ჰიჯაბს იღებს. შემდეგ იგი ათამაშებს თოჯინებს, რომლებიც ამ თამაშში ერთმანეთის ნათესავები არიან. თამაშის დასრულების შემდეგ ყველა თოჯინას აწვენს დაწულ უსახელო განიერ კალათში. მისი განმარტებით, ამ თოჯინების შეხების უფლება არავის გააჩნდა. კალათს ინახავდნენ ძველ ზანდუკში. „ძველ ზანდუკს ვეძახით კილობანს, ანუ ვაწყობდით კილობანში“ (სპარს. „სანდუკ-ე ყადიმ – ძა’ნი კილობანი).

მიზნშითიმ ზირ-ე კიდობანი). არავის ჰქონდა უფლება, ამათვის შეეხედა. მეორე დღეს ჯერ ჩვენს საქმეს მოვრჩეობით და მერე ისევ ვიწყებდით თამაშს. შუადღის მერე რას ვაკეთებდით? – ისევ ჩვენი „გოგონები“ გამოვკქონდა (სპარს. „გოგონე-ემუნ რა მიოვორდიმ“). თუ მეგობრები მოდიოდნენ, თან მოჰქონდათ საკუთარი თოჯინები. ასე ვთამაშობდით“.

- დიქტორის ხმა: „ძველ დროს, ზამთარში, როდესაც ბაღებსა და ნათესებში სამუშაო აღარ იყო და თავისუფალი დრო მეტი ჰქონდათ, ქალები ხელსაქმეს მისდევდნენ, რათა შექმნილი ნაწარმით ნაწილობრივ მაინც უზრუნველყყოთ ოჯახის სარჩო. აფუსის მხარეში ქართველების, სომხების, თურქების, ლურებისა და არაბების თანაცხოვრებამ ხალხური რეწვის მრავალფეროვნება და მათი კულტურული დაახლოება გამოიწვია. ამ მხარეში მცხოვრები ტომების საერთო ენა სპარსულია, ადგილობრივი მკვიდრები თავის მშობლიურ ენაზე მხოლოდ თანატომელებთან საუბრობენ. აფუსელ ქართველთა შორის ქართული ენის გამოყენება თანდათანობით მინავლდა და შეწყდა ოჯახებში შვილებისთვის ქართულის სწავლება“.
- ბ-ნი მაჰმუდ ქიზაი ქალების ჩაცმულობის შესახებ გვიაშობს: „როდესაც ტანისამოსს იცვამდნენ, დღევანდელი თურქებივით მხოლოდ თვალები უჩანდათ. სომხები თავიდან ფეხებამდე ერთიან სამოსელს იცვამდნენ. ქართველებიც ასევე იყვნენ, გრძელ შარვლებს იცვამდნენ“... „ერთი სახის ქსოვილი იყო, სახელად „ასთარი“. იმისგან იკერებოდა შარვალი, რომელიც წვიკებს უფარავდა, მიწასაც სწვდებოდა. ეს ეცვათ ტანზე ჩადრთან ერთად, არახჩინთან ერთად. მერე ესენი გადავარდა და სხვა [სამოსელი] გავრცელდა, მერე ისიც შეიცვალა, ასე ერთი მეორის მიყოლებით. ახლა კიდევ რა ხდება? ჩადრი ახურავთ და ხელთათმანები წამოუცვამთ ხელებზე. არისტოკრატები გახდნენ რალა! რა უნდა უთხრა?“ (იცინის).
- ფილმის მომდევნო ნაწილი ადგილობრივ ჩაცმულობას ეხება და არ შეიცავს რაიმე საყურადღებო ენობრივ მასალას. მოხუცი ქალი მოგვითხრობს: „პერანგის შესაკერად იყენებდნენ ხანსარულ ჩითს (ხანსარი ფერეიდნის მეზობელი ქალაქია, სადაც ახლაც ცხოვრობენ

ქართველები – ნ.ნ.), შარვალი მიტკლისა იყო. ახლა ისეთი ყვავი-
ლებიანი მიტკალი აღარ არის... კერავდნენ და იცვამდნენ. მაშინ არც
საცვალი იყო, ასე შიშველზე იცვამდნენ. თავსაფარი და ჩადრიც ასე-
ვე იკერებოდა...”

- სამოსლის შესახებ პასაჟს ენაცვლება დოკუმენტური ფილმის პერ-
სონაჟების საუბარი ენის თაობაზე. ჰაჯე ბიბი თაჰმასბი სპარსულად
ამბობს: „ბავშვობაში კითხვა ვიცოდი. ახლა უკვე დავბერდი. რაღა
დროს ჩემი კითხვაა? მრცხვენია“.
- აფუსელი მოხუცი ჰაშემ ნასირი და მისი ცოლი, მასუმე ესლამია-
ნი ერთად ხშირად ჩნდებიან კადრში, ხშირად ერთმანეთს ეკამათებიან.
მეტად აქტიურობს ცოლი, რომელიც ფილმის სხვა მონაწილეებთან
შედარებით, ყველაზე მეტს ლაპარაკობს ქართულად. მასუმე ესლამია-
ნი აწყვეტინებს საუბარს მეუღლეს ამ სიტყვებით: „აღწ მიხად, ძა-
რსი ბეგუ. ფესარეშ ფანჯთა ფესარ დაშთ. დეჟი აზ ფესარჰაშ ჩელომ
ბუდ დირუზ.“¹⁵ ამ ფრაზის შემდეგ მაშინვე გადადის ქართულზე და
იმავეს ამბობს: „ჩემ ბიჭსა ხუთი ბიჭი ყვანდა. ერთი გუშინ თავის
ჩელომი იყო. ვერ წავედი. ეხლა ოთხილა ჰყავ. ეხლა, ჩემ თავის დიდ
ბიჭის, თავის ყორიც გამითხოვბია.“¹⁶
- მქსოველი ქალიც სპარსულ-ქართულად მეტყველებს: „გორჯი ჰარძ
ბეზანამ?“¹⁷ ინჯა ხუნე (სპარს. „აქ სახლია“) ჩემ ბიჭის სახლია. ეს ჩემ
ბიჭის სახლია. ეს კი? ევ შალიავით. ეს კი? ევ ტარი ჩავასო, ტარი ჩა-
ვასო ქე წინდა შევკრა.“¹⁸
- მასუმე ესლამიან (ჰაშემ ნასირის მეუღლე): „მე ხუთი ბიჭი მყავ. ხუ-
თი ბიჭი მყავ და ხუთიც ყორი. ხო? ხუთი ყორი გამითხოვბია, ხუთი

15. „ახლა სპარსულად თქვი. მის ბიჭს ხუთი ვაჟი ჰყავდა, მისი ერთი ვაჟის ანუ მათი
შვილიშვილის ორმოცი იყო გუშინ“.

16. „ახლა ჩემი უფროსი ვაჟის ქალიშვილიც გავათხოვეთ“.

17. „ქართულად ვილაპარაკო?“

18. „ეს კიდეც შალია. თითისტარი უნდა გავუყარო, რომ წინდა შევკერო“.

ბიჭი ღამიქორწინებია ალან ჩემ ნავეებსა, ჩემ ნავეებსა ვათხოვებ ყე, ღავაქორწილებ ყე.“¹⁹

- ჰაშემ ნასირი: „მან ქე მიხამ ნანაშ რა ჟოჰშ ბეღამ, ვინ ღეღა მოტყან.“²⁰
- ცოლი (თავში ურტყამს): „ინჯური ნაგუ, ინჯური ნაგუ, .. ხაქ თუ სარეთ.“²¹
- ქმარი: „გორჯიე ღიგე.“²²
- ცოლი: „მიხამ ნაგი, ინა ბაღე“²³
- ჰაჯიე ბიბი თაჰმასბიც კოღების გადართვით მეტყველებს: „ნამიდუნამ (= არ ვიცე). წაიდლოთ გომზე. ჩაის გაგაკეთებლით. ჩამოიდლოთ, ღალანში ღავჯღებოღით, შეჭამანდს გაგაკეთებლით, შავჭამდით. გონ-ღი?“²⁴“.

აქ კადრი წყდება.

- მაჰმუდ ქიხაი და მისი ცოლი ჩამოთვლიან ადგილობრივი თამაშობების სახელებს: ქიხაი: მა მიგოქთიმ (= ჩვენ ვიცყოღით) შოღა, ქოღაზარ-ღარი, ნამიდუნამ (= არ ვიცე) გარღანთ-ე-მან, ღიგე ბე შომან ქე (= კი-ღეე მოგახსენებთ, რომ) აზმანღარი, ქუხქორაბა (იცინის). ცოლი (კარ-ნახობს): რიქი ფაინი. ქიხაი: ბაღე, რიქი ფაინი (= ღიახ, რიკფაინი).

„გარღანთ-ე-მა“ ძალიან საყურადღებო შემთხვევაა. ამ ტრადიციული თამაშის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ქართული სიტყვიდან „გარ-ღანტომა“, რომელსაც ბ-ნი ქიხაი სპარსულ ყაიდაზე წარმოთქვამს. იგი

19. „ახლა ჩემს შვილიშვილებს ვათხოვებ და ვაქორწილებ“.

20. „როცა მინდა, ღედის შეგინება, ვამბობ...“

21. «ასე ნუ ამბობ, ასე ნუ ამბობ!.. მიწა ღაგაყარე თავზე!“

22. «ქართულია, რაღა გინდა?“

23. „არ მინდა, რომ თქვა, ესენი ცუდია“.

24. სუბტიტრებში ეს სიტყვა სპარსულად თარგმნილია როგორც „ხოშ ბუღიმ“ – „კარგად ვიყავით“.

ბოლო მარცვალს („მა“) პირველი პირის მრავლობითი რიცხვის სპარსულ ნაცვალსახელად აღიქვამს. ასეთი წაკითხვით შინაარსობრივად გამოდის გაუგებარი „ჩვენი გარდახთ-ი“. საინტერესოა, რომ ამ თამაშის არსებობას აფუსში ადასტურებს მოჰამად-ჰასან სარმადი, ოღონდ მასთან ეს სახელწოდება მოცემულია ფორმით qārdāxtemā (قا، دا، خت، ما). იგი განმარტავს, რომ „ამ თამაშში ერთი მეორეს ახტება“ (სარმადი 1350: 38-43). იგივე თამაშობა სახელწოდებით moxra, gadaxtuma (مخر، آ، گد، خت، ما) შეტანილია „ირანული თამაშების გზამკვლევში“, როგორც ქართულ სოფელ ჩულრუთში გავრცელებული ტრადიციული გასართობი (ყეზელ-აიაყ 1379: 58-59). მას ვხვდებით ფერეიდნის სხვა ქართულ სოფლებშიც.

- ბ-ნი ქიხაი აღწერს ერთ-ერთ თამაშს – „ხაზ – ხაზბუქ“,“²⁵ როგორც ჩანს, კოჭაობის ნაირსახეობას: „მასალან დე ხათი მიქეშიდიმ-ო ინა რა მიზაშთიმ ვა აგარ ბა თონგოლაქი ყაფ რა მიხადიმ ბე ინა ქე ფერთ ბე-შოდ, მიგოქთიმ ხაზბუქ. ამმა ნა აგარ ქე ბა ინ გორუხი მიანდნთიმ, ინო მიგოქთიმ ხაზ, მიგოქთიმ ხაზ. ინო მიგოქთიმ ხაზბუქ“: „აი, მა-გალითად, ერთ ხაზს ვავლებდით და ამათ ზედ ვაწყობდით. თუ კოჭს წკიპურტს ვკრავდით, რომ ესენი გატყორცნილიყო, ამას ვეძახდით „ხაზბუქ“-ს. მაგრამ თუ გოროხს ვესროდით, ამას „ხაზ“-ს ვეტყოდით. ერთზე ვიტყოდით „ხაზ“, ამაზე ვიტყოდით „ხაზბუქ“. ინფორმანტის საუბრის წინა ნაწილიდან არ ჩანს, რას ალაგებენ ხაზზე და, ამდენად, ძნელია დაზუსტებით თქმა, რომელ თამაშთან გვაქვს საქმე. ეს საკითხი დამატებით კვლევასა და მეტი ინფორმაციის ფლობას მოითხოვს.
- სათამაშოების ოსტატი ქალი: „ვთამაშობდით ღოქების (სავარაუდოდ, გატეხილი ღოქების – ნ.ნ.) სახელურებით. ოთხსახელურიანი ღოქები იყო. იმ ღოქების სახელურებს ვაგროვებდით. იმათ ასე ვაწვევდით მიწაში. ვამბობდით, ეს ჩვენი ძროხაა, ეს მისი ხბოა. ეს ჩვენი ცხვარია, ეს კიდევ ისაა, ასე ვამბობდით...“
- იგივე ქალი მოგვითხრობს, თუ როგორ ჰკიდებდნენ შემოდგომაზე ჭერში მიჭედებულ ლურსმნებზე ყურძნის მტევნებს (სპარს. „ბე ყოუ-

25. სპარს. „ბუქ“ – კოჭებით თამაშში განიერ, ამოხნევილ კოჭს ეწოდება, ხოლო „ხაზ“ პეშა უნდა იყოს.

ლე მან, ანგურ რან ბან მიქარდიმ“); მერე როგორ იკრიბებოდნენ „ქორსის“²⁶ ირგვლივ. ქორსიზე დიდი სინი იდო და ერთად მიირთმევდნენ.“

- ერთ-ერთი მოხუცი ქალი მოგვითხრობს, თუ როგორ მიირთმევდნენ ყურძნის ბადაგს („შირეფე ანგურ“) და თონეში გამოცხვარ (თუ გაცხელებულ) ქერის პურს („ნუნ-ე ჯოუ“) ერთგვარი ჭურჭლიდან („ქემ-მალი“): „გინახავთ ქემშალი? იქიდან ვჭამდით საჭმელს. ხის კოვზით ვჭამდით, მაშინ სპილენძის (ლითონის) კოვზი არ იყო“.
- ამას მოსდევს ეთნოგრაფიული კადრები. აჩვენებენ სათავსოს სხვადასხვა ჭურჭლითა და სამეურნეო იარაღით. ამას მოსდევს სხვადასხვა პერიოდის დოკუმენტური კადრები: როგორ დღეებენ კარაქს, ამოჰყავთ ყველი, წველიან თხას და ძროხას, ცრიან ფქვილს, ახურებენ თონეს და აკრავენ თხელ ლავაშს. სავარაუდოდ, ეს ჯანი ნაზარიანის მიერ მოძიებული ან გადაღებული კადრებია და, შესაძლებელია, სულაც არ იყოს დაკავშირებული აფუსთან ან საერთოდ ქართულ ფერეიდანთან.
- თავად ჯანი ნაზარიანი საუბრობს იმაზე, რომ „ჩვენ და თქვენ (ქართველებს თუ ირანელებს? – ნ.ნ.) გვაქვს ბევრი მსგავსი ადამიანი, მაგალითად, ხელის თხოვნისა და დანიშვნის რიტუალი“.
- კადრის ფოკუსში ექცევა აფუსელი მოხუცი ქალი, რომელიც გვიამბობს: „ერთ დროულ კაცს [ოჯახიდან] აგზავნიდნენ ქალის ოჯახში ხელის სათხოვნელად. იმ დროს ქალიშვილს წინასწარ არ იცნობდნენ, ღელ-მამას იცნობდნენ“.
- ბ-ნი ქიხია: „ბიჭის (სასიძოს) მამა და ქალიშვილის (საპატარძლოს) მამა სხდებოდნენ და ლაპარაკობდნენ. ეკითხებოდა: მისცემ შენს გოგოს ჩემს ბიჭს? ისიც პასუხობდა: დიახ“.
- მასუმე ესლამიან (სპარსულად საუბრობს): „ერთი კვირა, ერთი კვირა იყვნენ შეკერებილები ნათესავები, ცეკვავდნენ. მეზობლები მო-

26. ქორსი – (სპარს.) ხის ოთხფეხა კონსტრუქცია, რომლის ქვეშაც ზამთარში მაყალს ათავსებდნენ ან ორმოს თხრიდნენ, რომელშიც ნაკვერჩხალს ღებდნენ, ზედ კი დიდ საბანს აფარებდნენ და თბებოდნენ.

დიოდნენ, იკრიბებოდნენ. დროს ატარებდნენ. ამბობდნენ „ბიშური“ („მიგოქთანდ ბიშური“. ბიშურის მნიშვნელობა უცნობია – ნ.ნ.). ამბობდნენ, დღეს სტუმრიანობა გვაქვს, ქორწილი გვაქვს. მოდიოდნენ, უკრავდნენ საკრავებზე, ცეკვავდნენ, არა ისე, როგორც ახლა“.

- ჰაჯიე ბიბი თაჰმასხი და მასუმე ესლამიანი მორიგეობით ჰყვებიან სხვადასხვა საქორწილო ტრადიციის შესახებ („ჰანაბანდუნ“ – ინით შეღებვის რიტუალი, პატარძლის აბანოში წაყვანა და მერე იქიდან გამოყვანა და ა.შ.). ჰაჯიეს თქმით, „ჰანაბანდუნის“ ღამეს ქალებს ათასნაირი გართობა ჰქონდათ, მაგალითად, იცვამდნენ მამაკაცის (მამის, ძმის) ტანისამოსს, პერანგებს, კოსტიუმს. „ვერთობოდით, კარგ დროს ვატარებდით დილაშდღე, ვსაუბრობდით, ვიცინოდით“.
- სათამაშოების ოსტატი ქალი: „პატარძალს სვამდნენ იმ კუთხეში. ფარდას დაჰკიდებდნენ. ფარდის უკან პატარძალს ტანისამოსს უცვლიდნენ. პატარძალს სრული ჩადრი ჰქონდა. არავის შეეძლო მისი სახის ღანახვა“... „შვიდი დღე სიძე-პატარძალი სახლიდან გარეთ არ გამოდიოდნენ... საპირფარეშოში გასვლა თუ მოუწოდებოდათ, აქეთ-იქით იყურებოდნენ, რომ გარეთ არავინ ყოფილიყო და ისე გამოდიოდნენ. თანაც საპირფარეშო ეზოს ბოლოში იყო. ისე არ იყო, როგორც ახლა არის“.
- ქ-ნი ესლამიანი სპარსულად იხსენებს საკუთარ ახალგაზრდობას: „მეც ვიყავი ერთ დროს პატარძალი. ღამაში ვიყავი, უმწიკვლო ვიყავი“. მერე ქმარზე უთითებს: „ესეც არ იყო ასეთი ჯაჯღანა. ცოტა განებივრებული იყო. ახლაც ნებიერაა“ (სპარს. „ინ ჰამ დეჰიბედუ, დეჰიბედუ ნაბუდ. დეხორდე ნუნურ ბუდ, აღან ჰამ ნუნურე“).
- თხრობას აგრძელებს ჯანი ნაზარიანი. იგი სომხურ ქორწილს აღწერს. კადრებიც შესაბამისად სომხური (ქრისტიანული) ქორწილისაა. სიძე ჰასლტუხითაა. თეთრკაბიანი პატარძლის სახეც გარკვევით ჩანს, მხოლოდ მსუბუქი ფატა ახურავს. მღვდელი ჯვრისწერას სომხურ ენაზე ატარებს.
- აფუსის ხელების ფონზე დიქტორი საუბრობს აფუსის წყაროებზე, მათ წყალუხეობაზე, რამაც ხელი შეუწყო იქ სოფლის მეურნეობის განვითარებას. აფუსის მიწებზე მრავალნაირი მოსავალი მოდის. მაგრამ სასოფ-

ლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი არ შეესაბამება მოსახლეობის რაოდენობას. სადღეისოდ აფუესელმა მიწათმოქმედებმა ახალი ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებით მიაღწიეს მოსავლიანობის გაზრდას.

- ქ-ნი ესლამიანი (მიუთითებს გვერდით მჯდომ ქმარზე): მიყვარს. განა არ მიყვარს. როგორც იყო, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მაწვალა, ვიცხოვრეთ. ათი შვილი გავუზარდე. კარგად გავუზარდე. ჩემი ერთი გოგო, მანსურმა იცის. პატიოსანი გოგო გავზარდე („დოხთარე ჰეიდარ“ – სიმღერებშიც არის: „ეი, დოხთარე ჰეიდარ“. ჰეიდარ – იმამ ალის ეპითეტი – ნ.ნ.). ღმერთმა იცის, როგორი პატიოსანი გავზარდე.“
- ქმარი: „ფულს გაძლევდი, რომ გაგეზარდა, აბა ისე უსახსროდ ზრდიდი? ფულს გაძლევდი.“
- ცოლი (სპარსულად): ტყუის. იმ დროს ფული არ იყო. (გადადის ქართულზე) „ფული არ იყო. დორულ მიგად (= „ტყუილს ამბობს“). ფული ყერუნიც²⁷ არ იყო. ფული არ იყო. ჭაყათ (= „მხოლოდ“) ქერი იყო, ხორბალი იყო, ოსპი იყო, ნუხულო იყო... (კვლავ გადადის სპარსულზე) „ფული არ იყო, ფული არ იყო, ტყუილს ამბობს. მაგალითად, ხორბალი იყო, ქერი იყო, ფქვილი იყო. მიგეკონდა ღუქანში, რომ..., ოსპი იყო, მუხულო იყო. სახლი საესე იყო. მიმქონდა..., მომქონდა...,“²⁸ ბავშვებს ვაჩუმებდი²⁹, და მივდიოდი ველზე ქმართან ერთად. მაგრამ ფული არ იყო, ფული არ იყო“.
- ქმარი (ირონიით): „ეს ყველაფერი სწორედაც რომ ფული იყო“. (ცოლი თავს გაიქნევს – მაინც არ ეთანხმება).
- სათამაშოების ოსტატი ქალი: „ქართველი ქალები ძალიან მშრომელები იყვნენ“.

27. ყერუნ (<ყერან) – ფულის ერთეული ირანში ძველად. გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით მცირე თანხის აღსანიშნავად (შდრ. გროში).

28. იგულისხმება, რომ ამ პროდუქტებს ღუქანში ცვლიდა.

29. სწკეტ მიქარდამ (სპარს.) – ვაჩუმებდი, ვაწყნარებდი – ანუ დააპურებდა, რომ ვაჩუმებულიყვნენ და არ ეტირაო.

- ბ-ნი ქიხაი: „ძალიან ბევრს შრომობდნენ. ჯერ კიდევ ცაში ვარსკვლავები ჩანდა, როცა ისინი მიდიოდნენ ყანაში სამუშაოდ. ახალ გათენებულზე ბრუნდებოდნენ სახლში, ცხვარსა და ძროხას წველიდნენ, საქონლის ნაკელი გარეთ გაჰქონდათ, საჭმელს აკეთებდნენ... ოთხჯერ-ხუთჯერ მეტს მუშაობდნენ, ვიდრე კაცები.“
- ქიხაის ცოლი: „პურსაც აცხობდნენ, მაშინ ხომ არ იყო პურის საცხობები“.
- ჰაჯიე: „მამაჩემი ამბობდა, რომ ქალის საქმე არაა ყანაში მუშაობა. ჩვენ არ გვიშვებდა გარეთ. ამბობდა, რომ ქალის მოწეული პურის ჭამა კაცისათვის არამიაო. თუმცა კალოზე მაინც მივდიოდით და ვეხმარებოდით. ხორბალი და ქერი ბევრი იყო, ვანიავებდით...“
- ქ-ნი ესლამიანი: „პატარა ბავშვებს უფრო მოზრდილებს მივბარებდი და მივდიოდი ქმრის დასახმარებლად, მაშინ ტრაქტორი არ იყო. ურემი იყო. ურემს ვტვირთავდით. ახლა ტრაქტორით ლეწავენ. მაშინ ურემს იყენებდნენ.“
- თეთრჩადრიანი ქალი: „ხორბალს, ქერს, ოსპს, მაშს (მსხვილი ლობიო)... ყველაფერს თესავდნენ. მაშინ საკუთარ თავს უზრუნველყოფდნენ. საქონელი ჰყავდათ. ხორცს იყენებდნენ, რძეს“.
- ბ-ნი ქიხაი: „ადრე ხარით და, იშვიათად, ვირით ხნავდნენ. ახლა ტრაქტორია და სხვა საშუალებები“. (ჩნდება ტრადიციული ხვნისა და ხელით თესვის, მოსავლის აღების კადრები).
- ფილმის პერსონაჟები ლაპარაკობენ იმდროინდელ სასაქონლო ურთიერთობებზე, როგორ ცვლიდნენ კვერცხს, პურსა და სხვა პროდუქტს ჩაიში, შაქარსა და ხორცში.
- საუბარია მეზობლურ ურთიერთობებზე. ბ-ნი ქიხაი: „მეზობლებს შორის კედლებში ნახვრეტები იყო. ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა გაქვს ვახშმადო. თუ უპასუხებდნენ, არაფერიო, თავისთან ეპატიჟებოდნენ სავახშმოდ. ხეალ ღმერთი მოგვცემსო. მართლაც, ღმერთი მათ მეორედღეს სწყალობდა“.

- მოხუცი ქალი იხსენებს დიდთოვლობას ძველ დროში, როცა სახლებს შორის თოვლში გვირაბი გაჰყავდათ, წერაქვით ყინულებს ამტვრევდნენ, წყლად რომ გაედნოთ. იგი საზგასმით აღნიშნავს, რომ ახლა თოვლი საერთოდ არ მოდის. (თხრობას ფონად ახლავს დიდთოვლობის კადრები).
- მოხუცები გვიამბობენ აფუსის ძველი ნაგებობების შესახებ, რომლებიც ახლა აღარ შემორჩა: ერთი მაღალი შენობა ხის სვეტებით (ზევით რომ აიხედავდი, ქული გადაგვარდებოდაო); ორი ძალიან კარგი აბანო (ე.წ. ზემო და ქვემო აბანოები) და წყლის წისკილი. აბანოები ახლად დანიშნულ ქალაქის თავს დაუნგრევია. რომელიღაც სხვა ხელისუფალს წისკილის წყალი დაუწყევვებია და უმოქმედობით გაუნადგურებია.
- იწყება კადრები, სადაც ჩანს, თუ როგორ ინგრევა თუ იკარგება ძველი სახლები და სხვა ნაგებობები. დიქტორის თქმით, თუ ადრე ადგილობრივი ცივი კლიმატის გათვალისწინებით სახლებს ქვის, ხისა და თიხისაგან აგებდნენ, ახლა აფუსში, სხვა ირანული დასახლებების მსგავსად, თანამედროვე სამშენებლო მასალას იყენებენ.
- ჯანი ნაზარიანი გულისტკივილით შენიშნავს, რომ დაუნდობლად ნადგურდება ძველი სასაფლაოები. საფლავებს თხრიან და ეძებენ ძვირფასეულობას. ძველი საფლავის ქვებს ამსხვრევენ ან მიწაში ფლავენ. იკარგება ამ მიწა-წყლის ისტორია. მისი თქმით, განძის მაძიებლები ამაოდ ირჯებიან, რადგან არანაირ სამკაულს ან რაიმე ფასეულ ნივთს საფლავში არ ატანდნენ. იგი ამ სავალალო სიტუაციაში ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის სამმართველოსაც ადანაშაულებს.
- ფილმის ბოლოს დიქტორის ხმა გვამცნობს, რომ ირანული მზის კალენდრის 1375 წელს (ანუ ფილმის გადაღებამდე 22 წლის წინ – ნ.ნ.) სოფელ აფუსს ქალაქის სტატუსი მიენიჭა. მანამდე ის „ქართული თემის“ („დეჰესთანე გორჯი“) ცენტრი გახლდათ. თუ წინათ მამასახლისის ირჩევდნენ, ახლა ქალაქის მერს ირჩევენ. 1390 წელს (2011წ.) ჩატარებული აღწერის მიხედვით, აფუსის მოსახლეობა 4313 ადამიანია. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ინფრასტრუქტურული სიტუაციის გაუმჯობესების მიუხედავად, ახალგაზრდობა მაინც ტოვებს აფუსს.

(ფილმი სრულდება ნაღვლიანი ჰანგებით).

- ქალთა მმართველობის დღე ანუ მოსავლის დღესასწაული აფუხში

2017 წლის მაისში ფერეიდანში ჩატარებული ექსპედიციის დროს მოპოვებული მასალის მიხედვით, აფუხი ამ რეგიონის სხვა ქართული სოფლებისგან გამოირჩევა განსაკუთრებული დღესასწაულით, რომელსაც „ქალთა მმართველობის დღე“ ან „მოსავლის დღესასწაული“ ეწოდება. ის ტარდება ირანული ახალი წლიდან მეოთხმოცე დღეს, როდესაც ძირითადი საგაზაფხულო სამუშაოები დასრულებულია. სხვადასხვა ასაკის რესპონდენტებისგან (ქ-ნი ფარაჰბახში, ჰედაიათ ფარაჰბახში, ყოლამ-რეზა ბაყერი, მოჰამად-აყა გულანი, ქ-ნი გულანი) მიღებული ინფორმაციით ამ დღესასწაულის მთლიანი ასეთი სურათი იხატება:

„ქალთა მმართველობის დღე“ („რუზე ჰოქუმათე ზან“, „შაჰზანანე“) აფუხში იმართებოდა ირანული წლის³⁰ დაწყებიდან დაახლოებით მეოთხმოცე დღეს – ქრისტიანული კალენდრით, იენისის პირველი დეკადის ბოლოს. ბ-ნი ჰედაიათ ფარაჰბახში ბაჰაიტებზე საუბრისას ამ დღესასწაულის თარიღად მაისის პირველ დეკადას ასახელებს, მაგრამ, სავარაუდოდ, კალენდრის გადაყვანაში მექანიკურ შეცდომას უშვებს. ამ დღეს ასევე ეწოდება „მოსავლის დღესასწაული“. გაზაფხულის ბოლოს ხენა-თესვის სამუშაოები დასრულებულია და მიწათმოქმედები უკვე მოსავლის აღებას ელიან. დღესასწაულის წინ სოფლის უხუცესები (მამაკაცებიც და ქალებიც) იკრიბებიან და განსაზღვრავენ დღესასწაულის ჩატარების დღეს. ქალების საბჭო დამოუკიდებლად არჩევს ღირსეულ, ავტორიტეტულ და პატივცემულ ქალბატონს, რომელიც იმ ერთ დღეს დასახლების მბრძანებელი (შაჰი, სულთანი) ხდება. ხდება სხვა დანიშვნებიც, კერძოდ, ირჩევენ მარჯვენა და მარცხენა ხელის ვეზირებს. იქმნება ქალთა ლაშქარი. ზოგი გუშაგია და აკონტროლებს სოფლის შემოსასვლელებს, რომ იმ დღეს კაცმა სოფელში არ შემოებდოს. თუ რომელიმე ადგილობრივი ან უცხო მამაკაცი ამ დღეს შევა სოფელში, მას შეიპყრობენ და მიჰყავთ მბრძანებელთან, რომელიც ადგენს სასჯელის ზომას. შეიძლება დამნაშავე სცემონ, ვირზე შესვან და სოფლიდან გააძეკონ. დასაშვებია ფულადი

30. ირანული ახალი წელი (ნურუზი) იწყება გაზაფხულის ბუნიობის დღეს.

ჯარიმის დაწესება. ინფორმანტები იხსენებენ ასეთ ამბავს: ქიშმიშითა და ხმელი ხილით მოვაჭრე ვინმე ნაჯაფაბადელი ამ დღეს შევიდა აფუს-ში³¹. იგი დააპატიმრეს, საქონელი ჩამოართვეს და დღესასწაულს მოახმარეს, მაგრამ მერე, „შაჰის“ ბრძანებით, დაცარიელებული ხურჯინი იმავე მოცულობის ხორბლით აუვსეს და მშვიდობით გაუშვეს სოფლიდან. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქალი მმართველი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი. ამ დღეს ქალები ტრადიციული სამოსლით იმოსებიან. სოფლის მთავარ მოედანზე იდგმება სამეფო ტახტი, სოფელი ირთვება ფერადი ფარდებით. ქალები ამზადებენ ნაირ-ნაირ ტრადიციულ საჭმელს, რომელსაც გაჭირვებულ ოჯახებს უნაწილებენ. ყველა სახლის კარი ღიაა და ქალები თავისუფლად სტუმრობენ ერთმანეთს. ზეიმს სიმღერა და ცეკვა-თამაში ახალიყვებს. ქალები ცხენზეც სხდებიან. ამ დროს ასაკოვანი ქალები თავის გამოცდილებას უხიარებენ ახალგაზრდებს, მაგალითად, ასწავლიან სიმღერებს, მეოჯახეობას, ჭრა-კერვას, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვას და ა.შ. ქ-ნ ფარაჰბახში სიმღერებიდან აღნიშნავს „ძილისპირულს“, სიმღერებს ჯარში გაწვეულ ვაჟზე ან სახლიდან დიდი ხნით წასულ შვილზე. ზეიმის აუცილებელი ელემენტია ერთობლივი ლოცვა. ლოცულობდნენ კარგი მოსავლისა და დროული წვიმისათვის.

აფუსელი კაცები წინა დღით რამდენიმე სოფელს აგზავნიან მთაში, ზაიანდე-რუდის სათავესთან, სადაც უხვადაა წყაროები, რათა წინასწარ მოამზადონ ადგილი დასაბანაკებლად. აღრიან დილით ყველა მამაკაცი ტოვებს სოფელს და დათქმული ადგილისკენ მიემართება. იშლება კარვები. კაცებს მთაში ააქვთ საგზალი. დღის მანძილზე იქაც ცეცხლზე ამზადებენ საჭმელს. ბ-ნ ჰედაიათ ფარაჰბახშის განმარტებით, ამ დღეს სოფლის კაცები ერთმანეთში ათანხმებენ მოსავლის აღების საკითხებს, ადგენენ ზაფხულში წყლით სარგებლობის განრიგს. მამაკაცების ზეიმის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია ერთობლივი ლოცვა. მზის ჩასვლისას ყველანი აიშლებიან და ბრუნდებიან სოფელში, რითაც სრულდება ქალთა ერთდღიანი მმართველობა და ცხოვრება ჩვეულ რიგს უბრუნდება.

როგორც აფუსელთა მონათხრობიდან ჩანს, ეს დღესასწაული რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: 1. ქალები უვლიდნენ საკუთარ თავს, თავისთვის იწყობდნენ ზეიმს; 2. უფროსები ახალგაზრდებს გამოცდილებას

31. შდრ. „თუთის ჩირით მოვაჭრე“ მოკამად-ჰასან სარმაღის სტატიაში (სარმაღი 1350 :38-43).

უზიარებდნენ; 3. ეწეოდნენ ქველმოქმედებას, ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს; 4. სამომავლოდ გეგმავდნენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ლოცულობდნენ უხვი მოსავლისა და წვიმისათვის.

მოპოვებული მასალიდან, სამწუხაროდ, ძნელი დასადგენია დღესასწაულის ჩატარების რეგულარობა. ზოგი ამის თაობაზე წარსულში საუბრობს, ზოგი ერთხელ თავადაც ყოფილა მოწმე ან მონაწილე, ზოგიც მას ყოველწლიურ მოქმედ რიტუალად აცხადებს. აფუსთან დაკავშირებულ ინტერნეტ-რესურსებში „ქალთა მმართველობის“ ანუ „მოსავლის დღესასწაული“ დღესაც მოქმედ ტრადიციად იხსენიება და ამ რეგიონის ერთ-ერთ ტურისტულ მიმზიდველობად სახელდება.³²

აფუსელების მტკიცება იმის თაობაზე, რომ „ქალთა მმართველობის დღე“ მხოლოდ მათთან აღინიშნება, არ შეესაბამება სინამდვილეს. ირანელი მკვლევარი სეიედ ალი მირნია ნაშრომში „ხალხური კულტურა: ირანული ფოლკლორი“ აღნიშნავს, რომ ხორასანში, ქალაქ გონაბადის მახლობლად მდებარე სოფელ ბიმორყში არსებული ტრადიციით, ირანული ნოურუზის მეცხრე დღიდან მეცამეტე დღემდე (დაახლოებით შეესაბამება აპრილის ბოლოსა და მაისის პირველ დღეებს) მთელი ძალაუფლება ქალების ხელში გადადის და ამ პერიოდში კაცებს სახლიდან გასვლის უფლება არ აქვთ. თუ ვინმე მამაკაცი გაბედავს გარეთ გასვლას, ქალები მას სჯიან. ამ დღეებში ქალები, ძირითადად, გარეთ არიან, ერთობიან სხვადასხვა თამაშობითა და ვარჯიშით, დაჯირითობენ ცხენით. ნოურუზის მეცამეტე დღეს ისინი სახლში მიდიან და უბრუნდებიან ჩვეულ მორჩილ ყოფას (მირნია 1369 :51-52).

მაზანდარანის ოსთანში, თეირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით 100 კმ-ში მდებარე სოფელ აბეასქში ორი ცერემონიალია შერწყმული – ქალების მმართველობის დღე სოფელში („სოლთან ზან“) და

32. [http://www.tishineh.com/touritem/1812/%D8%AC%D8%B4%D9%86-%D8%AD%DA%A9%D9%88%D9%85%D8%AA-%D8%B2%D9%86-%D8%AC%D8%B4%D9%86-%D9%85%D8%AD%D8%B5%D9%88%D9%84\);](http://www.tishineh.com/touritem/1812/%D8%AC%D8%B4%D9%86-%D8%AD%DA%A9%D9%88%D9%85%D8%AA-%D8%B2%D9%86%D8%A7%D9%86-(%D8%AC%D8%B4%D9%86-%D9%85%D8%AD%D8%B5%D9%88%D9%84);) <http://www.citypedia.ir/%D8%AC%D8%B4%D9%86-%D8%AD%DA%A9%D9%88%D9%85%D8%AA-%D8%B2%D9%86-%DB%8C%D8%A7-%D8%AC%D8%B4%D9%86-%D9%85%D8%AD%D8%B5%D9%88%D9%84/>

იმ დღეს სოფლიდან მთაში გასული კაცების მიერ თოვლისა და ყინულის შეგროვება-შენახვა სპეციალურ ორმოებში (სპარს. barf-čāl). ამ საცავებს ზაფხულში იყენებენ მოგზაურების წყურვილის მოსაკლავად და საჭინლის დასარწყლულებლად. სოფელ აბეასქის ფეისბუქის გვერდზე ეს ცერემონიალი დაწვრილებითა არის აღწერილი. დღესასწაული ტარდება ირანული კალენდრით ორდიბეჰმთის თვის პირველი ნახევრის რომელიმე დღეს (დაახლოებით 20 აპრილი – 5 მაისი), როდესაც თოვლი უკვე ღნობას იწყებს. ამ დღეს დილიდან მზის ჩასვლამდე ყველა მამაკაცი (ბიჭი, ჭაბუკი, კაცი, მოხუცი) თოვლისა და ყინულის დასაწყობებითა დაკავებული. მთაშივე მიირთმევენ საკვებს და ლოცულობენ. ამ დროს ქალები თავისუფლად დადინან სოფელში, მხიარულობენ, ყველა სახლის კარი ღიაა და უმასპინძლებიან ერთმანეთს. იგივე წყარო³³ მიუთითებს, რომ მსგავსი ცერემონიალი ტარდება ისპაჰანის ოსთანის სოფელ აფუსსა და ჰამადანის ოსთანის სოფელ ნუჟეში, ოღონდ ინფორმაცია ამ უკანასკნელის შესახებ ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ.

აფუსში, აბეასქსა და ბიმორყში ტრადიციული „ქალთა მმართველობის“ დღესასწაულები ერთმანეთს ჰკავს მოლხენა-მხიარულებისა და პრაქტიკული (ყოფითი) ელემენტების შერწყმით, მიუხედავად იმისა, რომ აფუსში ეს ზეიმი უფრო გვიან ტარდება.

• „მეკვლეობის“ ტრადიცია აფუსში?

აფუსის შესახებ არსებულ ერთ-ერთ სპარსულენოვან ვებ-გვერდზე³⁴ ამ დასახლების დამახასიათებელ ტრადიციად „მეკვლეობის“ ინსტიტუტიც სახელდება. ციტირებულია ფერეიდუნშაჰრელი მკვლევრის, ქ-ნ ნასრინ ყალანის ეთნოლოგიური ხასიათის ნაშრომი „ფესვი“ და აღნიშნულია, რომ ფერეიდუნშაჰრში მას ეწოდება „მენკლე“, ხოლო აფუსში „მანგალი“. ამ ცნობის გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მითითებულ ადგილას საერთოდ არ არის ნახსენები აფუსი და სიტყვა „მანგალი“ (ყალანი 1389 :99-100).

33. <http://www.abask.blogfa.com/category/8>

34. <https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%A7%D9%81%D9%88%D8%B3>

აფუისის მეზობელი ქართული დასახლების ბოინ-მიანდაშთის მკვდრი, დამოუკიდებელი მკვლევარი აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთი სტატიისში „ირანის ქართველების გადასახლება, ცხოვრება, ეთნოლოგია, ენა და ფოლკლორი“ ბოინ-მიანდაშთელი ქართველების ტრადიციების ჩამონათვალში არ ასახელებს „მეკვლეს“ ინსტიტუტს (აჰმადი-2016 :59-70).

- **ბადრუდი – ქართველების კიდევ ერთი კერა
ისპაჰანის ოსთანში?**

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში მეორე დიპლომატიური მივლინების დროს გავიცანი ჯაჰანფურების ოჯახი, რომელთა მშობლიური ქალაქია ბადრუდი (ისპაჰანის ოსთანი). ამ გვარის წარმომადგენლები თავს უნდილადეების საგვარეულოს შთამომავლებად თვლიან. აბას, აჰმად, ჯაჰანგირ და ქიანუშ ჯაჰანფურების მცდელობით შეიქმნა ნაშრომი, მათივე დახსიათებით, „ლამაზი და ნოსტალგიური სათაურით“ – „მივიწყებული უნდილადეები“, რომელიც მოიცავს კომპიუტერზე ნაბეჭდ 413 გვერდს და ჯერ არ გამოცემულა³⁵. ნაშრომს ერთვის ამ საგვარეულოს გენეალოგიური ცხრილები, დაწყებული სეფიანთა პერიოდიდან დღემდე. ვიმედოვნებ, რომ ნაშრომის გამოცემის შემდეგ შესაძლებელი გახდება ამ საკითხის თაობაზე ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა მხრიდან უფრო ვრცელი მსჯელობის წამოწყება.

35. ნაშრომის სათაური სპარსულად: Farāmuššodegān-e Undiladze.

თავი მესამე

ირანის კასპიისპირეთის ქართული დასახლებები

წყაროები

- ყარამან კიკნაველიძის ცნობები ირანის კასპიისპირეთის ქართული დასახლებების შესახებ

ძმები ყარამან, შალვა, ნიკოლოზ და მანველ კიკნაველიძეები ამჟამინდელი ხარაგაულის რაიონის სოფელ კიკნაველეთიდან (საკრაულადან) 1905-1907 წლების რევოლუციის დროს ცარიზმის მოწინააღმდეგეთა რიგებში იდგნენ. რევოლუციის მარცხის შემდეგ მათ ირანში გადახვეწა მოუხდათ. მაზანდარანის ოსთანში ძმები ხე-ტყის ბიზნესით დაკავდნენ (ორჯონიკიძე 2012 :121-129; კიკნაველიძე 2003: 95-104).

1916 წლის 13 აგვისტოს გაზეთი „რუსსკოე სლოვო“ მაზანდარანელი ქართველებით დასახლებულ სოფელ გორჯიმაჰალესთან ქართველი თავადის მანველ კიკნაველიძის მკვლელობის ამბავს იუწყებოდა. მკვლელობის მიზეზად გაზეთი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ ძმების მკაცრ მოპყრობას ასახელებდა. მკვლელობიდან ერთი წლის თავზე ძმებმა მანველის ცხედარი საქართველოში გადმოსვენეს და მშობლიურ სოფელში დაკრძალეს.³⁶ იგივე ჟურნალი 1918 წლის 13 თებერვალს უკვე სოფელ კიკნაველეთში ძმები კიკნაველიძეებისა და მათი ოჯახის წევრების ამოხოცვის ამბავს იუწყება.³⁷

ძმები კიკნაველიძეების, განსაკუთრებით, უფროსი ყარამანის სამრეწველო და საქველმოქმედო საქმიანობა საკმაოდ ფართოდ არის გაშუქე-

36. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, ენკენისთვის 24, N37, გვ. 9-10.

37. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1918, 13 თებერვალი, N4, გვ.16.

ბული იმდროინდელ და მომდევნო წლების ქართულ პრესაში. მათ შორის, აღნიშნულია, რომ ყარამან კიკნაველიძემ თბილისის უნივერსიტეტის ღაარსებისთვის 1000 მანეთი გაიღო.

გაზეთ „სახალხო საქმის“ ორ ნომერში (1917 წლის 17 და 18 აგვისტო) დაბეჭდილია ყარამან კიკნაველიძის წერილი სათაურით „ქართველები ირანში“, სადაც მოცემულია საყურადღებო ცნობები ირანის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში მღებარე ქართული დასახლებების შესახებ.

ამ ორი წერილიდან აშკარაა, რომ ყარამან კიკნაველიძეს პირადად მოუწოდებია რამდენიმე ქართული სოფელი, ზოგიერთი სოფლის შესახებ კი სხვადასხვა წყაროდან მოუპოვებია ინფორმაცია. წერილებში ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტების სახელები უმეტესად დამახინჯებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი სათანადოდ ვერ ფლობდა სპარსულ ენას, რიგ შემთხვევებში სმენითი ეფექტის საფუძველზე აქართულებდა ზოგიერთ ტოპონიმს (მაგ. სპარს. აშრაფ – ქართ. აშტრაფო). რასაკვირველია, გაზეთის ასოთამწყობის უნებლიე შეცდომებიც არ უნდა გამოირიცხოს. ამ ფაქტორმა რამდენადმე გაართულა ყარამან კიკნაველიძის მიერ დასახელებული პუნქტების იდენტიფიკაცია, თუმცა ჩატარებული კვლევის შედეგად, ირანული გეოგრაფიული ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების, ასევე, ინტერნეტ-რესურსების დახმარებით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მოხერხდა ამ ტოპონიმების დადგენა.

აქვე უცვლელად მომაქვს ყარამან კიკნაველიძის წერილის „ქართველები სპარსეთში“ ორივე ნაწილის ტექსტი, სადაც გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებები გამოკვეთილია მუქი შრიფტით.

ყარამან კიკნაველიძე. ქართველები სპარსეთში

(გაზ. „სახალხო საქმე“, N27, 17.08.1917)

ქართველები სპარსეთში

„**დუნდი კაბუნის** მთებში, ქართველი მაჰმადიანები, უმეტესად მისდევნენ ბრინჯის თესვას, ფორთოხლის მოშენებას, ხვნა-თესვას, მოჰყავთ პური, ქერი, სიმინდი, ფეტვი და სხვა.

მაზანდარანის თემში (გუბერნია), ქართველები მისდევნენ პურის თესვას, ქერის, ბრინჯის, ფეტვის და სხვ. მუშაობენ ქართულ ჩვეულების მი-

ხედვით. თავის საჭიროების გარდა პურსა და ბრინჯს სხვებზედ ყიდიან. ფორთოხლის მოშენებას ამ თემშიაც მისდევენ.

სპარსეთის ბარსა თუ მთა ალაგებში მრავლად ყოფილა ძველად ქართველთა სოფელი. დღეს კი მათ ქართველობის არაფერი შერჩენიათ. დაუკარგავთ ენა, ცხადად ეტყობათ მხოლოდ ქართული მოღვმა, რითაც იგინი სპარსელთაგან განიჩრევიან. ის კი ახსოვთ, რომ იგინი ქართული მოღვმისა არიან და ყველგან თავს „გურჯად“, ქართველად აღიარებენ.

ჭალა-ადგილებში მცხოვრები სპარსელი ქართველები უმეტესად მეურნეობას მისდევენ, ხვნა-თესვას და ასეთ სამეურნეო ნაწილს. მთიან ადგილებში მცხოვრები ქართველნი მისდევენ მეჯვოგეობას, ჰყავსთ მრავალი ცხვარი, ძროხა, თხა, ხარი და სხ. აქ მისდევენ მერძეეობას, აკეთებენ ყველს, ერბოს, ღოს, მაწონს და სხვა.

კაზვინის ახლოს, ამავე თემის მიდამოებში, მცხოვრები ქართველი სპარსელნი, უმეტესად მისდევენ მევენახეობას და მეხილეობას, ვენახებს აკეთებენ ქართულად, ხილის ჩირს ახმობენ ქართულად, რაც სპარსელებმა სულ არ იციან, ამიტომაც ესენი გამხმარ ხილს, ანუ ჩირს მრავლად ასაღებენ.

მთელი სპარსეთის ადგილები საესეა ქართველთა სოფლებით, ვერ ნახავთ ვერცერთ კუთხეს, იქ ქართველი ერის სოფელი რომ არ იყოს. ყველა სოფლის ხალხს თქვენ ცხადათ შენიშნავთ, რომ მათში ყველა სპარსნი არ არიან. გამოკითხვისას ირკვევა, რომ იგინი ქართველის შთამომავალნი არიან. **ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ სპარსეთში ქართველთა შთამომავალთა რიცხვის სოფლები დაშთენილებია ასობით და არა თითო ოროლა.** ყველა ეს კიდევ ცხადად გვამცნევს იმ გარემოებას, თუ ძველად ქართველთა ძენი რა დიდის რიცხვით გადუსახლებიათ ხოლმე სპარსეთში, ეს მოსაზრება საეჭვოთ არავინ მიიღოს, მე მოგასხენებთ ნამდვილ ცნობებს, ვინაიდან ჩვენ დავლილი გვაქვს მთელი სპარსეთის ადგილები. ბევრისთვის შეიძლება ეს მოსაზრება წარმოუდგენელიც იყოს, ამას ჩვენ შემდეგ გავაქარწყლებთ, როცა მთელი სპარსეთის ქართველთა სოფლების სიას წარმოვადგენთ და მკითხველს გავაცნობთ დაწვრილებით. ჩვენი ლაპარაკი რომ ისტორიულ ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, ამისთვის მოვიყვან შემდეგ ახალ ცნობას, რაც ხელ ახლათ ვნახეთ სპარსეთში.

ზორასნის თემში, მეშჰედის მიმავალს გზაზედ, არის ქართველი სპარსელების სოფელი აბას-აბატი, ეს სოფელი კარი გახლავსთ მთელის სპარ-

სეთისა. ამ კარში გავლას ვერცერთი ქართველი სპარსელი ვერ ასცდება. **სოფ. აბას-აბატში** ქართველთა რიცხვი სცხოვრობს 800 კომლზედ მეტი, ეს ხალხი უმეტესად მისდევს ალებ-მიცემობას, მევენახეობასაც მისდევენ კარგათ.

საყურადღებოა ამათი აქ ის გარემოებაც, რომ ესენი ცნობილი ამ კუთხის გასაგლელ კარს, ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებენ მგზავრებთან მიმოსვლას და მასთან იმასაც კითხულობენ, თუ მგზავრებში ქართველის ტომისანი ვინ არიან, იგინი სადა სცხოვრობენ, რამდენი კომლი და რა გვარ პირობებში არიან მოთავსებულნი. ამიტომ ამ სოფლის სპარსელ ქართველებმა უფრო ყველაზე უკეთესად იციან ის გარემოება, თუ სპარსეთის ადგილებში სად რამდენი ქართველთა სოფელია დაშენილი და მასში რამდენი მოსახლე ქართველნი სცხოვრობენ.

მთელმა სპარსეთის ერმა და ნამეტურ ქართველ სპარსელებმაც კარგათ იციან ის გარემოება, რომ **სოფელი აბას-აბატი** არის ერთათ ერთი გზა, რასაც ვერცერთი სპარსელი და სპარსელი ქართველი ვერ ასცდება სადმე წასვლას, რომ ამ გზაზე არ გაიაროს, ამიტომ ქართველ სპარსელნი თავიანთ თავის თუ ქართველთა სპარსელთა ვინაობის გასაცნობათ ამ გზას დიდს მნიშვნელობას აძლევენ და მართლაც ამ გზით ქართველებს შემთხვევა აქვთ ყოველთვის, რომ თვის თანამემამულეთა და თანამეტომეთა საცხოვრებელი ბინა სადგური ეძიონ და იცოდნენ თუ მთელს სპარსეთში ქართველთა შთამომავალნი დღეს სად ვინდა სცხოვრობს.

დიან, დღეს **სოფ. აბას-აბატელებმა** კარგად იციან ის ისტორიული გარემოებანი, თუ სპარსეთის ვრცელს ადგილებში, ქართველთა სოფლები სად არის დაშენილი და ქართველი ტომის მონათესავენი სად ვინ სცხოვრობს. ამბობენ იმასაც, რომ ზოგს სოფლებში ქართული ენა დღემდე აქვთ დაცული, ასეთი სოფლების ცნობა ჩვენ კი სულ არ მოგვეძევა.“

ყარამან კიკნაველიძე. ქართველები სპარსეთში (დასასრული)
(გაზ. „სახალხო საქმე“, N28, 18.08.1917)

„ჩვენ წავიკითხეთ წიგნები: „ქართველები სპარსეთში“ ზ. ჭიჭინაძისა მესამე გამოცემა 1908 წ. და ვ. აღნიაშვილის „მოგზაურობა სპარ-

სეთში“, მაგრამ არც ერთ ამ წიგნებში ჩვენ ვერ ვნახეთ ამ სოფლების აღწერა, ამიტომ გაცნობებთ ამ სოფლების აღწერას.³⁸

კასპის ზღვის პირას, 7 ვერსის მანძილის სიშორით, სოფელ **ზავადში** სცხოვრობს 30 კომლი ქართველობა. ამ სოფლის ბეგს ეწოდება აინალ ბეგი, ტომით ქართველია.

ამ სოფლის იქით, ზღვის პირასვე, 100 ვერსზედ, **ჩალუმის წყლის** შეყოლება **სოფ. ორანგში** სცხოვრობს 200 კომლი ქართველი მაჰმადიანი.

ამ **ჩალუმის წყლის** პირიდან გზა გადის **თეირანისაკენ**, ამ გზას ეწოდება შაჰაბაზის ძეგლი გზა. ამ გზაზედ მალლა მთაზედ არიან სოფლები, სადაც სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები 540 კომლი. ეს სოფლები ეკუთვნის **სეფერტარს**³⁹, რომელიც დღემდე სამხედრო მინისტრი იყო თეირანს. აქეთვე არის **სოფლები დილირ და ანგრო**, სადაც სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები.

ამ სოფლების იქით, 40 ვერსზედ **არაყის** თემში არის სოფლები: **შანაბარ, ახორ, ყოიშან** და სხვა სოფლებიც მრავლად, სადაც სულ იქნება 5000 კომლი ქართველი მაჰმადიანები, ამ სოფლების ხანებიც ქართველები არიან ტომით.

კვალად კასპის ზღვის ნაპირებს, ჩალუმის წყლის შეყოლება, მაზანდარანისაკენ, სამოც ვერსზედ, **სოფლებ ალამლე და სოლომლეში** სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვი ვერ ავსებს.

ამ სოფლების მოშორებით, 50 ვერსის მანძილზედ, **ბაგრუმის** სიახლოვეს, **სოფ. ამოლში** სცხოვრობენ ქართველი მაჰმადიანები, რიცხვი ვერ შევითქვით.

ბაგრიდან ქალაქ **სამისაკენ** გზაში დაშთენილია სხვა და სხვა სოფლები, სადაც ცოტ-ცოტა ქართველები სცხოვრობენ.

სამიდან 50 ვერსზედ, მთაში, **სავდიკურის თემში** სცხოვრობენ ქარ-

38. ლაღო აღნიაშვილი თავის წიგნში დანახებით აღნიშნავს, რომ გვიან შეიტყო ირანის სხვა ადგილებში ქართველთა დასახლებების არსებობის შესახებ და უკანა გზაზე უკვე ვერ ახერხებს იქ შევლას (აღნიაშვილი 1896: 219-220).

39. სეფერტარი – (პარს.) sepaḥdār – მხედართმთავარი, სარდალი. ტექსტში იგულისხმება იმ პერიოდის ცნობილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე მოჰამად-ვალი-ხან თონეჟაბი (ხალათბარი) (1846-1926), რომელმაც 1909 წელს მიიღო ტიტული Sepaḥdār-e A'zam- „დიდი სარდალი“.

თველი მაჰმადიანები, რიცხვით 400 კომლი. ეს ხალხი გადასახლებულნი უნდა იყვნენ შაჰაბაზის დროს, რადგანაც მისგან ბოძებული ფირმანებიც აქვთ მამულების შესახებ მიღებული.

სარადამ მაზანდარანს, ზღვიდან შვიდ ვერსზედ არის **სოფლები გურჯი მეჭელე** ე.ი. ქართველების სოფელი, სადაც სცხოვრობს 800 კომლი. ამ სოფლიდან 9 ვერსის მოშორებით, ზღვის სიახლოვეს, **ქალაქ აბრაგში**, არის დიდი სასახლე შაჰაბაზისა და ციხე. ამ სასახლეს და ციხის ირგვლივ არის ქართველების სოფლები, სადაც ცხოვრობენ 250 კომლი ქართველი მაჰმადიანები. აქედან 70 ვერსზედ, **აშტრბადის თემში**, ზღვიდან ხუთ ვერსზედ, არის სოფლები, სადაც სცხოვრობენ თურქმენები. ამ თურქმენებში არის ერთი **სოფელი ბაშუსტა**. ამ სოფელში სცხოვრობს 200 კომლი ქართველი მაჰმადიანი. ესენი აქ გადმოსახლებულან **აშტრაფოდან**, ამიტომ ეს ქართველი მაჰმადიანები თავიანთ თავს **აშტრაფელად** იწოდებენ.“

ყარამან კიკნაველიძის წერილებში მითითებული გეოგრაფიული პუნქტების ავტორისეული წაკითხვა, მათი ნამდვილი სახელწოდება, ასევე, მოკლე ინფორმაცია მოსახლეობის რაოდენობის, რელიგიური კუთვნილებისა და ენობრივი სიტუაციის შესახებ მოცემულია ცხრილში. მასში ასახული ინფორმაციის წყაროდ გამოყენებულია ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი (იგლ) და უახლესი მონაცემები ინტერნეტ-რესურსებიდან:

ყარამან კიკნაველიძის მონაცემები	„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მე-9 ტომის (1951 წ.) მონაცემები	მოსახლეობის რაოდენობა, სარწმუნოება, ენა იგლ-ს მიხედვით	დღევანდელი ვითარება (ინტერნეტ-რესურსების მიხედვით)
დუნდი კაზუნ-ის თემი	ქ. გონბადე ყაზუს (ქალაქია 1927 წლიდან). გორგანის (დღევანდელი გოლესთანის) ოსთანი	9 000; შიიტები, სუნიტები; 2/3 თურქმენული, 1/3 – სპარსული და აზერბაიჯანული	ქ.გონბადე ქაჯუს, გოლესთანის ოსთანი.
კაზვინ	ქ. ყაზვინ-ი		ქ. ყაზვინ-ი, ყაზვინის ოსთანი

სოფ.აბას-აბატ	სოფ. აბასაბად-ი, შაპრუდ-საბზევარიის გზატკეცილთან (იგლ 3:194)	750; შიიტი; სპარსული	სოფ. აბასაბად-ი, სემნანის ოსთანი, 458 მცხოვრები
სოფ. ზავად	სოფ. ზავათ-ი, ქელაროსთაყის ღეჰესთან, ჩალუსის ბასში, ნოუშაპრის შაპრესთან (იგლ 3:143)	150; შიიტი; გილანური, სპარსული	სოფ. ზავათ-ი, ქელაროსთაყის შარყის ღეჰესთან, ჩალუსის შაპრესთან, მაზანდარანის ოსთანი, 304 მცხოვრები.
ჩალუმის წყალი			მდინარე ჩალუსი-ი მაზანდარანში
სოფ. ორანგ	სოფ. აბრანგ-ი, ქელაროსთაყის ღეჰესთან, ჩალუსის ბასში, ნოუშაპრის შაპრესთან (იგლ 3:2)	380; შიიტი; გილანური, სპარსული	აბრანგ-ი – ქ. ჩალუსის ერთი უბანი, მაზანდარანის ოსთანი.
სოფ. დელირ	სოფ. დელირ-ი, ქუჰესთანის ღეჰესთან, ქელარდამთის ბასში, ნოუშაპრის შაპრესთან (იგლ 3:122)	850; შიიტი; გილანური, სპარსული	სოფ. დელირ//დალირ-ი, ქუჰესთანის ღეჰესთან, მარზანაბადის ბასში, ჩალუსის შაპრესთან, მაზანდარანის ოსთანი, 568 მცხოვრები
სოფ. ანგრო	სოფ. ანგურან-ი, ქუჰესთანის ღეჰესთან, ქელარდამთის ბასში, ნოუშაპრის შაპრესთან (იგლ 3:28)	210; შიიტი; გილანური, სპარსული	სოფ. ანგურან, ქუჰესთანის ღეჰესთან. ქელარდამთის ბასში, ჩალუსის შაპრესთან, მაზანდარანის ოსთანი, 228 მცხოვრები
არაყის თემი	სოფ. ერა'//არა', ფოშთქუჰ-სურთეჯის ღეჰესთან ჩაპარდანგეს ბასში, სარის შაპრესთან (იგლ 3:6)	475; შიიტი, მაზანდარანული, სპარსული	სოფ. არა', ჩაპარდანგეს ბასში, სარის შაპრესთან, მაზანდარანის ოსთანი. 319 მცხოვრები

სოფ. შანაბარ	სოფ. ჩანარბონ-ი(?), ჩაპარდანგეს ბაზში, სარის შაპრესთანი (იგლ 3:93)	200; შიიტი, მაზანდარანული, სპარსული	სოფ. ჩენარბონ-ი (?), ცენტრალური ბაზში, სარის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი, 325 მცხოვრები
სოფ. ახორ	სოფ. ახურდ-ი, ჩაპარდანგეს ბაზში, სარის შაპრესთანი (იგლ 3:6)	105; შიიტი; მაზანდარანული, სპარსული	სოფ. ახურდ-ი, ჩაპარდანგეს ბაზში, სარის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი, 40 მცხოვრები
სოფ. ყოიძან	ვერ მოიძებნა		ვერ მოიძებნა
სოფ. აღამლე	სოფ. აღამოლ-ი, ქელარდაშთის ბაზში, ნოუშაპრის შაპრესთანი (იგლ 3:21)	180; შიიტი; გილანური, სპარსული	სოფ. აღამოლ-ი, ქელარდაშთის ბაზში, ჩალეს შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი.
სოფ. სოლომლე	სოფ. სალომალ-ი რამსარის ბაზში, შაქსავარის (თონექაბნის) შაპრესთანი. (იგლ 3:155)	400; შიიტი; გილანური, სპარსული	სოფ. სალომალ-ი, ცენტრალური ბაზში, რამსარის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი. 7 მცხოვრები
სოფ. ამოლ	ქ. ამოლ-ი, ამოლის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი		ქ. ამოლ-ი, ცენტრალური ბაზში, ამოლის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი.
ბაგრუმ, ბაგრ	ვერ მოიძებნა		ვერ მოიძებნა
საამ	ვერ მოიძებნა		ვერ მოიძებნა
სავადქურის თემი	სავადქუქის ბაზში, შაპის (დღევანდელი ყაემშაპრის) შაპრესთანი		სავადქუქის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი.
სარა	ქ. სარი, სარის შაპრესთანი		ქ. სარი, მაზანდარანის ოსთანის ცენტრი
სოფ. გურჯი მეჰელე	სოფ. გორჯიმაჰალე, ბეჰშაპრის ბაზში, სარის შაპრესთანი (იგლ 3:253)	2500; შიიტი; მაზანდარანული, სპარსული	სოფ. გორჯიმაჰალე, ცენტრალური ბაზში, ბეჰშაპრის შაპრესთანი, მაზანდარანის ოსთანი, 6129 მცხოვრები

ქ.აბრაგ ⁴⁰	ვერ მოიძებნა		ვერ მოიძებნა
აშტარადის თემი	ქ.ასტარადი (დღევანდელი გორგანი). იგლ-ში ასტარად-ი არ არის ფიქსირებული.		ქ.გორგანი-ი, გოლესთანის ოსთანის ცენტრი
სოფ.ბაშუსტა	სოფ.ბემ-იუსყე, იგივე სოფ. ფანჯ-ფეიქარი-ი, გამიშანის ბახში, გონბადე ყაბუსის შაჰრესთან (იგლ 3:47,65-66)	1600; სუნიტი; თურქმენული	სოფ.ფანჯ-ფეიქარი-ი (ადგილობრივ ენაზე -ბემ-იუსყე), ცენტრალური ბახში, თორქმანის შაჰრესთან, გოლესთანის ოსთანი, 2 528 მცხოვრები
აშტრაფო	ქ.აშრაფ-ი (ქ.ბეჰშაჰრის ძველი სახელწოდება), ბეჰშაჰრის ბახში, სარის შაჰრესთან	12 000 მცხ.	ქ.ბეჰშაჰარი-ი, ბეჰშაჰრის შაჰრესთანის ცენტრი, მაზანდარანის ოსთანი.

ყარამან კიკნაველიძის წერილებიდან ჩანს, რომ მის მიერ დასახელებულ ქართულ სოფლებში ქართული ენა უკვე დავიწყებულია, ხოლო „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ თანახმად, გასული საუკუნის შუა წლებში იქ საუბრობენ ადგილობრივ მაზანდარანულ, გილანურ, აზერბაიჯანულ ან თურქმენულ ენებზე. პარალელურად მოსახლეობის უმეტესობა ფლობს სპარსულ ენას. ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობიდან გამომდინარე, ყ.კიკნაველიძის მიერ ნახსენები ქართული დასახელებები განფენილია მაზანდარანის, გოლესთანის (ყოფილი გორგანის), სემნანისა და ყაზვინის ოსთანებში. ამავე ლექსიკონის (იგლ) მიხედვით, გილანურად მოსაუბრე სოფლებიც მაზანდარანის ოსთანში შედიან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყ.კიკნაველიძის მიერ დასახელებული სოფლების აბსოლუტურ უმრავლესობაში მცხოვრები ქართველებისათვის მშობლიური ენა უკვე მაზანდარანული ან გილანურია; მხოლოდ თურქმენული

40. ქალაქის აღწერის მიხედვით, უნდა შეესაბამებოდეს აშრაფს (დღევანდელი ბეჰშაჰარი), მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, როგორ მოხდა აშრაფ-ის აბრაგ-ად გადაქცევა. ყ.კიკნაველიძეს შემდგომ აშრაფ-ი აშტრაფო-დ აქვს მოხსენიებული.

მოსახლეობით გაჯერებულ რაიონში, სოფ. ბეშუსტაში (დღევანდელი „ფანჯ-ფეიქარ“) ქართული ენა თურქმენულმა ჩაანაცვლა.

ზემოთ განხილული პუბლიკაციებიდან დაახლოებით 100 წლის მერეც მაზანდარანელი ქართველები მაზანდარანულ ენას მშობლიურ ენად მიიჩნევენ. ერთეულებმა მხოლოდ გადმოცემით იციან, რომ ზოგიერთის დიდი ბებია თუ პაპა ჯერ კიდევ ფლობდა ქართულს. მაზანდარანელ ქართველებს კარგად აქვთ გააზრებული, რომ ამჟამად დასაცავი უკვე მაზანდარანული ენაა. ამ თემას თავის ლექსებში ავითარებს მაზანდარანელი ქართველი მწერალი აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი. იგი თანამემამულეებს მოუწოდებს, ილაპარაკონ თაბარულ (მაზანდარანულ) ენაზე და შეუნარჩუნონ ის მომავალ თაობებს. პოეტის დიდი სატკივარი მაზანდარანული ენის გამოყენების არეალის შემცირება და ამ ენის თანდათანობითი დავიწყებაა. ლინგვისტური განათლების არმქონე ა.ჰეიდარი-გორჯი კარგად ერკვევა არსებულ ვითარებაში და სწორად ასახავს მას პოეტური ფორმით. ლექსში „საუბარი“ ა.ჰეიდარი-გორჯი მიმართავს მაზანდარანელებს:

„ძმაო, მითხარი, რატომ არ საუბრობ მაზანდარანულად?

შენს ბავშვებს რატომ არ ასწავლი ამ ენას?

...სარის, ბეჰშაჰრის, ამოლისა და ბაბოლის მცხოვრებნო,

ერთმანეთს ადგილობრივ (მაზანდარანულ – ნ.ნ.) კილოზე ესაუბრეთ!“

(ჰეიდარი-გორჯი 1386: 104-109).

ა.ჰეიდარი-გორჯის შემოქმედების შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ. თუმცა ამ ავტორის გამოკვლევა „ირანის ქართველების ისტორია“, რომელშიც მოთხრობილია გორჯიმაჰალელი „არსენა ოძელაშვილის“ – მოჰამად ჯაბეს ამბავი, შეიცავს საინტერესო მინიშნებებს. ნაშრომიდან ცხადი ხდება, რომ გასული საუკუნის ათიან წლებში სოფელ გორჯიმაჰალეს მკვიდრი ქართველები რუს სამხედროებთან მოთანამშრომლე და შესაბამის სამხედრო ფორმაში გამოწყობილ კიკნაველიძეებს, კერძოდ, მანველსა და შალვას, ქართველებად ვერ აღიქვამენ. ძმები მათთვის რუსი ოფიცრები არიან. ასე ჩანს გორჯიმაჰალელთა ფოლკლორის, ა.ჰეიდარი-გორჯისა და ა.ოჯაქეს ნაშრომების მიხედვით (ჰეიდარი-გორჯი 1389: 208-250; ოჯაქე 1382). კიდევ ერთი მაზანდარანელი ქარ-

თველის – ალი-აქბარ ქაზემი-გორჯის მიერ დაწერილ რომანში „ველური ზღმარტლი (მოჰამად ჯაბე – დაულალავი მეომარი)“, რუსი ოფიცერი მანუელი ადგილობრივ მოსახლეობასთან დამტკრეული სპარსულით საუბრობს. ქართული ენის ხსენების კვალიც არ ჩანს (ქაზემი-გორჯი 1392: 218-219). იბადება კითხვა: რამდენად შეესაბამება სიმართლეს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დაბეჭდილ ლექსში „ადრე მზე-დაბნელებული“ (გაგონილი ამბავი. მანუელ სიმონის ძე კიკნაველიძის ხსოვნას. ძღვნად სპარსეთში გადახვეწილ ქართველებს, ავტორი ი. წ---ი) მანველ კიკნაველიძისათვის მიწერილი სიტყვები:

„...მიმოვლო სპარსთა მიწანი, სთქვა: მადანია აქაო,
იხილა ქართველ სპარსელნი, ეს ძველი დროის ლაქაო.
საიდან საით მოგ ზადეს, გზად გადაგ ზდიათ ჯაფაო, -
ძმანო, აწ ვიცნათ ურთერთი, ეს არის ჩვენი სარფაო!
სთქვა და შეუდგა საქმესა, მოძღვრებდა ქართველობასა,
თვის ტომთა ასამაღლებლად შეუდგა მრეწველობასა,
ხმალი და თოფი მუდამო არ მოგვცემს კეთილ წყობასა.
თუ შრომა-სასწორ-გუთანიც არ გვიწევს წინამძღვრობასა!
მანუელ გორჯის სახელი გაითქვა შორით-შორადა,
სპარსეთის რაინდ-ხანები რაცხდნენ თვის თანასწორადა,
ჩაგრულ-დევნილნი მამადა, მუდამ გულდამწველ ტოლადა, -
ბელს ანანებდა მანუელ მტერსა – გამოსულს ბრძოლადა!“⁴¹

ჩნდება სხვა კითხვაც: თუ მანველ კიკნაველიძე მაზანდარანელ ქართველებში სასიკეთო აგიტაციას ეწეოდა და მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა, რა ენაზე ახერხებდა ამას? კიკნაველიძეებთან კონტაქტში მყოფი მაზანდარანელი ქართველების მსგავსად, მაზანდარანელი მეცნიერი ალი-აქბარ ოჯაქე, მწერლები აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი და ალი-აქბარ ქაზემი-გორჯი, ისევე, როგორც ქართველი მკვლევრები, მათ შორის, ამ სტრიქონების ავტორიც, 2019 წლამდე მოჰამად ჯაბეს მიერ მოკლულ „რუს ოფიცერ მანუელს“ მართლაც რუსად ვთვლიდით (ოჯაქე 1382; ჰეიდარი-

41. ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, 1917, ენკენისთვის 24, N37. გვ. 9-10.

გორჯი1389; ნ.ნახუცრიშვილი 2008; ჯაფარიძე...2008; ნ.ნახუცრიშვილი 2014ა; ჯაფარიძე...2017). ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჯერ მკვლევარმა ლია ბაკურაძემ გაზეთ „რუსსკოე სლოვოში“ მიაკვლია მაზანდარანის სოფელ გორჯიმაჰალეში მ.კიკნაველიძის მკვლელობის შესახებ ცნობას, ხოლო შემდეგ, ჩემი ირანელი კოლეგის, გუდარზ რაშთიანის დახმარებით, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან მოპოვებული დოკუმენტებითა და აქამდე არსებული სპარსული ნაშრომების ახლებური გადააზრებით, 1916 წელს გორჯიმაჰალეში განვითარებული მოვლენების რეალური სურათი გამოიკვეთა.

კიკნაველიძეების საქმიანობის ირანული პერიოდის შესახებ მსჯელობა შორს წაგვიყვანს. საარქივო მასალის სიუხვე მოითხოვს, რომ ამ საკითხს ცალკე ნაშრომი დაეთმოს.⁴²

ამბაკო ჭელიძის ნაშრომში „ფერეიდნელი ქართველები“ დაცულია ინფორმაცია, რომელიც მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ვითარებას აღწერს:

„უკანასკნელი გადაგვარებული სოფელი არის მაზანდერანში – აბასაბადი... ენა მათ თითქმის ამ ბოლო დრომდე შერჩენიათ. ამჟამად კი გადასული არიან წმინდა ირანულზე. ქართული დაუვიწყიათ. იხოცებიან უკანასკნელი მოხუცნი, რომლებსაც რამოდენიმეთ კიდეც ახსოვთ ძველი დედაენა. სიტყვიერი გადმოცემით, „გარდაიცვალა უკანასკნელი დედაკაცი, რომელმაც ქართული ენა იცოდაო“ (ჭელიძე 2011:18).

დიდი ალბათობით, ორი მაზანდარანელი ქართველი ბიჭი სოფელ შურაბიდან, რომლებიც დაახლოებით 50 წლის წინათ პროფ.მ.თოდუასა და საკდესის კორესპონდენტ ა.აჰმედზიანოვს წყენით უმტკიცებდნენ, ქართველები ვართ და მშობლიურ ენაზე გელაპარაკებითო, მაზანდარანულზე მეტყველებდნენ და არა სპარსულზე (აჰმედზიანოვი 1971).

42. ამ სტრიქონების ავტორს პრობლემის კვლევის წინასწარი შედეგები უკვე წარდგენილი აქვს ორი მოხსენების სახით: 1. „ძმები კიკნაველიძეები ირანში“ - თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის XIII საფაკულტეტო კონფერენცია, თბილისი, 2019 წლის 26-28 ივნისი; 2. „A Murder in Gorji-Mahalleh (Mazandaran) in 1916: Two Different - Georgian and Persian – Narratives“. International Conference: Intellectual & Cultural Relations Between Iran and Central Asia and the Caucasus. Tehran, 1-2 May, 2019

ყარამან კიკნაველიძის ორი წერილი გაზეთ „სახალხო საქმეში“ უდავოდ ფასეული წყაროა ირანში ქართველთა კვალის შესასწავლად. ამ წერილებიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ავტორს კიდევ რჩებოდა სათქმელი. რომ არა ყარამან კიკნაველიძისა და მისი ოჯახის მოულოდნელი ტრაგედია, იგი კვლავაც მიაწოდებდა ქართულ საზოგადოებას ახალ ინფორმაციას ამ საკითხზე. მკვლევარი მარინა კუტალაძე 1990 წელს დაცულ სადისერტაციო ნაშრომში „ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები“ მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ 1913 წლისათვის ზაქარია ჭიჭინაძეს ჰქონია ურთიერთობა ყარამან კიკნაძესთან (იგივე კიკნაველიძე) და მისგან ირანელი ქართველების შესახებ დიდი ინფორმაცია მიუღია. ზ.ჭიჭინაძეს ყ.კიკნაველიძისაგან მოპოვებული ძვირფასი მასალები 1913 წელს დაპატიმრების დროს დაჰკარგვია. მ.კუტალაძის ცნობით, ამ საკითხზე ზ.ჭიჭინაძე საუბრობს 1922 წლის 11 ნოემბერს გაზ. „ტრიბუნაში“ (N341) გამოქვეყნებულ წერილში „სპარსელ ქართველთა შესახებ“ (კუტალაძე 1990: 80).

- **ირანის კასპიისპირეთისა და სხვა რეგიონების ქართული დასახლებები პროფ. მაგალი თოდუას მასალების მიხედვით**

გამოჩენილი ქართველი ირანისტის, პროფესორ მაგალი თოდუას (1927-2016) ფართო ინტერესებისა და კვლევის ერთ-ერთი სფერო იყო ქართული დასახლებები ირანში. ჯერ კიდევ ისლამურ რევოლუციამდე, ირანში სამეცნიერო მივლინებების დროს, მან თეირანში საკდესის კორესპონდენტ ა.აჰმედზიანოვთან ერთად მოინახულა ქართული სოფლები ფერეიდანსა და მაზანდარანში. მაგალი თოდუას თანამონაწილეობითა და კონსულტანტობით შეიქმნა გურამ პატარაიას საყოველთაოდ ცნობილი დოკუმენტური ფილმი „შორია გურჯისტანამდე“. მ.თოდუას ენათმეცნიერ მაია მაჭავარიანთან ერთად გამოცემული აქვს ფერეიდნული ტექსტების საკმაოდ დიდი ნაწილი (თოდუა 1975: 29-126). ირანში ქართული დასახლებების შესახებ პროფ.მ.თოდუას გამოკვლევა არ დაუწერია. ისლამური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, იგი ირანში აღარ ჩასულა. მოგვიანებით, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობი-

სა (1991-1995 წწ.) და გელათის აკადემიის პრეზიდენტობის (1995-2008 წწ.) პერიოდში, 1995 წლიდან მოყოლებული, მ. თოდუა არაერთხელ სტუმრობდა გილანის უნივერსიტეტს ქ. რაშთში. მეცნიერი გილანს უკანასკნელად 2005 წელს ეწვია.

ირანში ჩემი მეორე დიპლომატიური მისიის (2005-2013 წწ.) დასაწყისში, შევხვედებით თბილისში ყოფნისას, პროფ.მ.თოდუამ გადმომცა საშუალო ზომის კონკრეტი სათაურით „ქართველები ირანში“, რომელიც შეიცავდა მეცნიერის მიერ პატარა ბარათებზე გადატანილ მოკლე ინფორმაციას ირანში ქართული დასახლებების შესახებ. ფაქტობრივად, ეს იყო სამომავლო სამუშაო გეგმა – ირანის რომელ პუნქტებში უნდა მოძებნილიყო ქართველთა კვალი. ბარათები სხვადასხვა ზომისა და ფერისაა, როგორც ჩანს, მ.თოდუა სხვადასხვა დროს, სხვა სამეცნიერო თემებზე მუშაობისას, თუკი სათანადო ინფორმაციას აღმოაჩენდა, ირანში ქართული დასახლებების შესახებ ჩანაწერებს აკეთებდა. ეს ცნობები რიგ შემთხვევებში აღებულია ჰოსეინ-ალი რაზმარას ხელმძღვანელობით შედგენილი „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონიდან“. ქვემოთ უცვლელად წარმოვადგენ ამ ბარათების ნაწილს. ირანის ოსთანებისა და მხარეების მიხედვით ეს ბარათები შემდეგნაირად ხარისხდება:

ქართული დასახლებები ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში:

ბარათი N1

ქართველები ჩრდ. ირანში

1. გორჯი მაჰალე (რამდენიმეა)
2. ყასემ-აბადი
3. აბასაბადი (ხორასანში) მიანდაშთიდან 40 კმ., საბზევარის აღმოსავლეთით.

ბარათი N2

აბასაბადში – ხორასანში (შაჰრუდსა და საბზევარს შორის). მინორსკი.

ბარათი N3

სოფ. გორჯაანი – ხორასანში, ქუსაფის დასავლეთით 8 კმ-ზე.

ბარათი N4
ქართველები
სადრაბადში – (ხორასანში)

ბარათი N4ა
სადრაბადი – (ხორასანში)

ბარათი N5
სოფ.გორჯი – მეშპედთან.

ქართული დასახლებები მაზანდარანში:

ბარათი N6
მაზანდარანში ქართველები

1. ვერესქში (ჩრდ.)
2. გურჯი მაჰალე ბეჰშაჰრის ახლოს. (ბეჰშაჰრი ზღვის სამხრეთითაა, ტრასაზე, სარის შემდეგ. (მის აღმოსავლეთით).

ბარათი N7
თეირანი-ზირაბის ტრასაზე სოფ. შურაბი (სადაც ცხოვრობენ ქართველები).

ბარათი N8
გორჯი სარა მაზანდარანი, (შაჰსევანის შაჰრისთან).

ბარათი N9
1.გორჯიანი 2.გორჯი მაჰალე 3. გორჯი ქუჩი
ბეჰშაჰრთან, მის აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

ბარათი N10
გორჯი-სარა
შაჰსავართან, ანზალისა და ამოლს შორის.

ბარათი N11

გორჯი

ამოლის სამხრეთით, მთისკენ.

ბარათი N12

გორჯი ხეილი

ამოლის სამხრეთით, მთისკენ.

ბარათი N13

გორჯი ქუჩ – მაზანდარანში

ბარათი N14

სოფ.გორჯი ქოლანი – მაზანდარანი, სარის შაჰრესთან, ასფიურდ სურა-
ბის თემი.

ბარათი N15

1. გორჯი მაჰალე – მაზანდარანში? სარის შაჰრესთან, ბეჰშაჰრის
ბაზში (ბეჰშაჰრის დასავლ. 8 კმ-ზე).

2. კიდეც მეორე გორჯი მაჰალე – აქვე

ბარათი N16

ქართული სოფლები:

სარის მიდამოებში

ფარაჰაბადის „---,,

აშრაფის „---,,

ამოლის „---,,

ბაბოლის „---,,

შაჰის „---,,

ქართული დასახლებები გილანში:

ბარათი N17

ქართველები არიან გილანშიაც.

ბარათი N18

!!!

1. ლაპიჯანის რაიონში, რუდსარის სამხრეთით 50 კმ-ზე
گرجانسو (გორჯან სუ ან გარჯან სუ – ნ.ნ.)
2. იქვე ახლოს گرجيه (გორჯიე – ნ.ნ.)

ქართველები ფარსში:

ბარათი N19

ფარსში

ასუფასის ვაკეზე ქართველები და ჩერქეზები

ბარათი N20

ასუფასის ახლოს – ისპაან-შირაზის გზის დასაცავად ჩასახლებული ქართველები.

ქართველები დასავლეთ ირანში:

ბარათი N21

გორჯი ბაიანი – ქერმანშაჰის შაჰრესთანი, სულარ ქალაიეს ბაზში, ქალი-ჰის ღეჰისთანი.

ბარათი N22

ქართილ-აბადი – ქერმანშაჰის მიდამოებში.

ბარათი N23

სოფ.გორჯი მაღაიერის შაჰრესთანი, ქამაზანის ღეჰისთანი (მაღაიერის სამხრ. დასავლ. 36კმ.)

ქართველები იაზღში:

ბარათი N24

იეზღში

1930 წლისთვის ცოცხალი იყვნენ:

1. ჰაჯი ჰოსეინ გორჯი
2. ჰაჯი ალაქარ გორჯი

3. პაჯი აღასლან შაეზადე გორჯი
4. ნაზარ ხან გორჯის ჩამომავლები.

კიდეც 5 ბარათზე (NN25-29) პროფ.მ. თოდუას ამოწერილი აქვს ინფორმაცია ცნობილი ირანელი მეცნიერის მანუჩეჰრ სოთუდეს ათტომიანი ნაშრომის „ასტარადან ასტარაბადამდე“ პირველი და მეორე ტომებიდან, სადაც მოცემულია ისტორიული ცნობები გილანში ქართული კვალის შესახებ. მანუჩეჰრ სოთუდეს ეს ფასეული ნაშრომი შეიცავს მდიდარ ინფორმაციას ირანის კასპიისპირეთის (გილანი, მაზანდარანი, გორგანი) ისტორიული ძეგლებისა და დასახლებების შესახებ სხვადასხვა სპარსული და უცხოური ისტორიული წყაროსა და დოკუმენტის მიხედვით. ამ ნაშრომში მრავლად ვხვდებით „გორჯი“-ს შემცველ გეოგრაფიულ პუნქტებს. ამიტომაც მიაქცია მას ყურადღება პროფ.მაგალი თოდუამ. აღსანიშნავია, რომ ქართული კვალი დანარჩენ ტომებშიც ჩანს. მაგალითად, მ.სოთუდეს მიხედვით, „გორჯიმაჰალე“ ასევე მაზანდარანის ოსთანის ამოლის შაჰრესთანის ლარიჯანის ბახშის ქალაქ რეინეს ერთ-ერთი უბანია (mahalle-ye Reyne) (სოთუდე, ტ.3: 417). მე-8 ტომში, რომელიც გორგანს ეძღვნება, ასევე იძებნება 4 „გორჯიმაჰალე“: ასტარაბადის, სირქარის, მირზაის და მირზეინალის გორჯიმაჰალეები (სოთუდე, ტ.8: 40, 43, 47, 132, 210-211, 361). მ.სოთუდეს ამ მნიშვნელოვანი ნაშრომის მიხედვით კასპიისპირეთის ქართულენადაკარგული არა მხოლოდ ეთნომიმ „გორჯი“-ს შემცველი, არამედ სხვა ტოპონიმების მოძიება მომავლის საქმეა.

საყურადღებოა პროფ.მ.თოდუას კიდეც ერთი ჩანაწერი:

ბარათი N30

ნაქართველარი სოფლების ძველი სასაფლაოები (ქართული ეპიტაფიები ხომ არ აქვთ).

ზემოთ წარმოდგენილი მასალა შესანიშნავი გზამკვლევია მომავალში ირანის ქართულენადაკარგულ, ჯერ სათანადოდ შეუსწავლელ დასახლებებში კვლევების ჩასატარებლად.

- **ჰასან ჯავანმარდ-გორჯის „საგზაო რუკა“**

2014 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „4D“ კვლევითმა ინსტიტუტმა დააფინანსა პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მაზანდარანის ქართული დასახლებების კომპლექსურ შესწავლას. ამ პროექტის ფარგლებში გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი პროფ.გიორგი სანიკიძე და ამ სტრიქონების ავტორი 2014 წლის 11-14 ნოემბერს ვიმყოფებოდით მაზანდარანში. მივლინებას წინ უსწრებდა მოსამზადებელი სამუშაოები, რაც გულისხმობდა ირანში დიპლომატიური მისიით ყოფნის დროს მოპოვებული მასალების გადამუშავებას, აღნიშნულ თემაზე ახალი ლიტერატურისა და ინტერნეტ-რესურსების გაცნობას, სათანადო შეთანხმებებს საქართველოსა და ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოებთან და ნაცნობ მაზანდარანელ ქართველებთან დისტანციურ კონსულტაციებს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მოკლე დროში მივლინების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. კარგი სამსახური გამიწია საკუთარმა ფოტოარქივმაც, მათ შორის, 2008 წლის მაისში თეირანში აკრედიტებულ დიპლომატებთან ერთად მაზანდარანში ვიზიტის დროს გადაღებულმა ფოტომასალამ, რომელშიც ასახულია ჩემი შეხვედრები ქ.ბეჰშაჰრის ქართველობასთან, სეფიანთა პერიოდის არქიტექტურული ძეგლები (აბასაბადი, ბაყშაჰი, ჩეშმეიე ბაყე ემარათ), რომელთა აგებასაც შაჰ-აბას პირველის დროს იქ გადასახლებულ ქართველებს უკავშირებენ.

ჩვენი მთავარი კონსულტანტი და შემდგომ მეგზურიც გახლდათ მაზანდარანელი ქართველი ჰასან ჯავანმარდ-გორჯი, ფარმაცევტი უმაღლესი განათლებით, რომელიც ბოლო წლებია, კანადაში ცხოვრობს და თავისი სპეციალობით მუშაობს. ჯერ კიდევ ირანში დიპლომატიური მივლინებისას მასთან უკვე მქონდა რამდენიმე პირადი შეხვედრა. მანვე მომაწოდა აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ლექსების 3 კრებული (ჰეიდარი-გორჯი 1385ა; ჰეიდარი-გორჯი 1385ბ; ჰეიდარი-გორჯი 1386), მისივე ნაშრომი „ირანის ქართველების ისტორია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389) და ალი-აქბარ ოჯაქეს ორი წიგნი (ოჯაქე 1382; ოჯაქე 1390). ამასთან, წინასწარი კონსულტაციები გავიარე თეირანში მოღვაწე მაზანდარანელ ქართველ მუსიკოსებთან

ალი-რეზა ვალიზადე-გორჯისა და იასერ ნავაზანდე-გორჯისთან. ეს ორი ხელოვანი, ჩემი ინიციატივით, მონაწილეობდა 2011 წელს ფოლკლორულ ფესტივალში „ჩვენებურები“. ამ ფესტივალის ისტორიაში ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა მაზანდარანელმა ქართველებმა საკუთარი ხელოვნება საქართველოს სცენიდან აჩვენეს. მაზანდარანელ ქართველთა მუსიკალური ხელოვნების შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებ.

ჰასან ჯავანმარდ-გორჯისთან წინასწარი საქმიანი მიმოწერა, მისი პასუხები ჩემს კითხვებზე საინტერესო ფაქტობრივ მასალას შეიცავს და, ამდენად, იმსახურებს გამომხეურებას. ამ კორესპონდენციის საყურადღებო მონაკვეთებს პირობითად შეიძლება „ჰასან ჯავანმარდ-გორჯის საგზაო რუკა“ ეწოდოს.

„ჰასან ჯავანმარდ-გორჯის საგზაო რუკა“

„ჩვენ გაგვიხარდება თქვენთან შეხვედრა გორჯიმაჰალეში. დიდი პატივია ქართველი მეცნიერების გაცნობა.

აუცილებლად დაგიგეგმავთ შეხვედრებს. მოზრდილთ, ახლოდან ნახეთ ქართველები და უკეთ გაიცანით ქართველი მუსიკოსები.

...არა მგონია, რომ ამ პერიოდში მაზანდარანში გამოსულიყოს რაიმე ახალი წიგნი.

...თუ მოისურვებთ, გაგაცნობთ მაზანდარანის ქართულ დასახლებებს. ზოგიერთ მათგანს გაჩვენებთ.

1. გორჯიმაჰალე
2. ასიბასარი გორჯიმაჰალეს სამხრეთით 1 კმ-ზეა, მას ჩვენ სამხრეთ გორჯიმაჰალედ ვიცნობთ.
3. გორჯიმაჰალე ბეჰშაჰრში. ავადსახსენებელმა შაჰ-აბას სეფიანმა ქართველები ბეჰშაჰრში მიიყვანა და იქ დაასახლა.
4. შურაბი გადუქის უღელტეხილზე (ფირუზქუქის გზაზე).
5. სადგური სორსაბადი გადუქის მერე (ფირუზქუქის გზაზე)
6. დარუნქოლა ბაბოლის ტყეებში
7. გორჯიაბადი ბაბოლსა და ყაემშაჰრს შორის
8. გორჯიქოლა სარიმდე 2 კმ-ზე
9. ფაშაქოლა ყაემშაჰრში

10. აფრა ყაემშაპრში
11. გორჯიფოლი ფარაჰბადში (ზღვის პირას),
12. გორჯიდარე სარისა და სემნანს შორის. ზუსტად არ ვიცი, სადაა.
13. გორჯისარა თონეკაბონში, მაზანდარანის დასავლეთში
14. ერთი სოფელი კიდეც არის ჰარაზის გზაზე. ზუსტად არ ვიცი, სადაა. უნდა მოვიძიო.
15. 5 კმ არმისული გორგანამდე ერთი გორჯიმაჰალა.
16. მის მეზობლად კიდეც არის ერთი სოფელი, სახელად დანგელანი, სადაც ასევე არიან ქართველები. ქორდქუის მერე, არმისული გორგანამდე.

სარი, ყაემშაპრი და ბეჰშაპრი სავსეა ქართველებით, რომლებიც, სამწუხაროდ, ივიწყებენ [ქართველობას]. შეუძლებელია [ყველა ამ ადგილის მონახულება], მაგრამ ნახევარ დღეში რამდენიმე მათგანს გაჩვენებთ. გორჯიმაჰალე ისეთსავე როლს ასრულებს ჩრდილოეთში, რასაც ფერეიდუნშაპრი.

ქართველები ძალიან დაფანტულები არიან. მაგალითად, დამავანდსა და ფირუზქუქს შორის დაინახავთ მაღაზიებს, რომლებიც გორჯის გვარებს მიეკუთვნებათ.

წყეულმა შაჰ-აბასმა, იმისათვის, რომ ათქვეფილიყვნენ, ქართველები ცუდად დაფანტა – გილანიდან გორგანამდე. ამ საქმეში, სამწუხაროდ და საუბედუროდ, წარმატებას მიაღწია. ახლა ბევრ ქართველს მეტად მწირი ინფორმაცია აქვს საკუთარი თავის შესახებ.

ვეცდები, მძლოლი ქართველი იყოს. ვეტყვი, რომ ყველგან გაგიჩნროთ, სადაც ისურვებთ.

იმედი მაქვს, გორჯიმაჰალეში მეტ ხანს გაჩერდებით. რადგანაც ის ადგილები, რომლებიც ვახსენე, ერთმანეთისაგან დიდად არის დაშორებული და მიმოფანტულია, არა მგონია, ერთ დღეში მოინახულოთ, მაგრამ 5-6 პუნქტს კი ნახავთ.

...მოზრმანდით. დარწმუნებული ვარ, კმაყოფილი დარჩებით. თავს მოვალედ ვთვლი, მიხარია და ვამაყოფ, რომ მომეცა საშუალება, საკუთარი მცირე შესაძლებლობების ფარგლებში ვემსახურო ქართული იდენტობის კვლევის საქმეს.

იმედს გამოვთქვამ, ჩვენსა და საქართველოს შორის კიდევ უფრო მეტი კულტურული ურთიერთობა დამყარდება.“

ჰასან ჯავანმარდ-გორჯის ამ საგზაო რუკამ და შემდგომ მისმა პირადმა მეგზურობამ მაზანდარანის ქართულ დასახლებებში დიდად შეუწყო ხელი ამ მივლინების წარმატებით განხორციელებას. მასთან ერთად ჩვენ მოვინახულეთ სოფლები: გორჯიმაჰალე, გორჯიფოლი, დარუნქოლაიე შარყი, ასიაბსარი, შურაბი და გორჯიქალა.

„ქართული“ მაზანდარანი

ირანის კასპიისპირეთის, ძირითადად, მაზანდარანის ქართული დასახლებების თანამედროვე მდგომარეობა ქვემოთ წარმოდგენილია მაზანდარანელი ქართველი მწერლისა და მკვლევრის აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ნაშრომის მიხედვით (ჰეიდარი-გორჯი 1389). ამ წყაროს მონაცემები შედარებულია როგორც „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ (ივლ) შესაბამის ინფორმაციასთან, ასევე, ქართველი და ირანელი მკვლევრების უახლეს ნაშრომებში მოცემულ ცნობებთან. გამოყენებულია მრავალფეროვანი ინტერნეტ-რესურსები, აგრეთვე, ჩემ მიერ პირადად მოპოვებული ინფორმაცია.

● მაზანდარანის ოსთანის ქართული დასახლებები

სოფ. გორჯიმაჰალე (Gorji-mahalle)

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი თავისი ნაშრომის უდიდეს ნაწილს უძღვნის მშობლიური სოფლის გეოგრაფიულ მდებარეობას, სხვადასხვა პარამეტრით მოსახლეობის სტატისტიკურ ანალიზს, დასახლების ისტორიასა და დღევანდლობას, ეკონომიკურ და კულტურულ სიტუაციას, ადამიანებს, ფოლკლორს, ენობრივ თავისებურებებს, გორჯიმაჰალელი ქართველების პიროვნულ თვისებებსა და სხვა სახის ცნობებს (ჰეიდარი-გორჯი 1389:110-206). ავტორი გამორჩეულად წერს გორჯიმაჰალეს სახელოვანი ახალგაზრდის, მოჰამად ჯაბეს (Mohammad Jabbe) შესახებ, რომელიც გასული საუკუნის ათიანი წლების მიწურულს გმირულად იბრძოდა როგორც ადგილობრივი მმართველების, ისე მაზანდარანში დის-

ლოცირებული რუსული ჯარის წინააღმდეგ, იცავდა მათგან შეწყუებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს (ჰეიდარი-გორჯი 1389:213-254). ამ მაზნადარანელი „არსენა ოძელაშვილის“ შესახებ უკვე არსებობს საკმაო ლიტერატურა (ოჯაქე 1382; ჯაფარიძე...2008:70-73; ნახუც-რიშვილი 2008:100-103; ნახუცრიშვილი 2014 :126-132; ჯაფარი-ძე...2017:25-27; ქაზემი-გორჯი 1392). ეს ისტორიული და ფოლკლო-რულ-ლიტერატურული თემა ცალკე განხილვას იმსახურებს.

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, სოფელი გორჯიმა-ჰალე შედის სარის შაჰრესთანის ბექშაჰრის ბანშის ყარეთეყანის დეჰეს-თანში. მდებარეობს ბექშაჰრის დასავლეთით 8 კმ.-ზე და ბექშაჰრ-სარის გზატკეცილის სამხრეთით 3 კმ.-ზე. 2500 მცხოვრებია, შიიტები. ენა – მაზნადარანული, სპარსული (იგლ-3 :253). 2016 წლის აღწერის მონა-ცემებით, იქ ცხოვრობს 6129 ადამიანი (2014 კომლი).

ისპაჰანის უნივერსიტეტის „სივრცობრივი დაგეგმარების სამეცნიერო სპეციალიზებულ ჟურნალში“ გამოქვეყნდა სეიედ ესქანდარ სეიდაის და როზი ყასემიანის სტატია „სოფლური სახლების ფუნქციური ცვლილებე-ბის პროცესის ანალიზი: მაზნადარანის ოსთანის ბექშაჰრის შაჰრესთანის სოფელ გორჯიმაჰალეს ცალკეული მაგალითი“ (სეიდაი...1391:87-106), სტატიის ავტორებმა შეისწავლეს სოციალური და ეკონომიკური ცვლი-ლებების გავლენა გორჯიმაჰალეს ტრადიციულ არქიტექტურაზე და მა-თი ადაპტირება თანამედროვე მოთხოვნებთან. ნაშრომში უხვადაა ცხრი-ლები და სტატისტიკური მონაცემები. ცხრილი N1 ასახავს 1966-2006 წლებში გორჯიმაჰალეს მოსახლეობისა და კომლების ზრდის, აგრეთვე, მათი ოჯახების წევრთა რაოდენობის შემცირების ტენდენციას. აღნიშ-ნული მონაცემებით, 1966 წელს სოფელში ცხოვრობდა 2804 ადამიანი (502 კომლი), ხოლო 2006 წელს – 7043 (1531 კომლი) (სეიდაი...1391: 99). საყურადღებო ინფორმაციასა და ანალიზთან ერთად, სტატიაში უზუსტობებიც გვხვდება. მაგალითად, ამ სოფლისათვის გორჯიმაჰალეს სახელდების თაობაზე აღნიშნულია: „ამ სოფლის სახელი მომდინარეობს იქ პირველად დამკვიდრებული მიგრანტებისაგან, რომლებიც რუსეთის საქართველოდან (az gorjestān-e rusiye) იყვნენ“ (სეიდაი...1391: 91).

ა.ჰეიდარი-გორჯი გორჯიმაჰალელ ქართველებს ასე ახასიათებს: „ამ სოფლის ხალხი ძალიან გულითადი, გულწრფელი, სტუმართმოყვარე,

კეთილგანწყობილია, მაღალი ზნეობის, მხიარული, ყოფაში ძალიან მოწესრიგებული და სუფთაა. ჩაცმულობასა და საყოფაცხოვრებო ატრიბუტებში მიჰყვებიან თანამედროვე მოდას“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:153).

საყურადღებოა გორჯიმაჰალეთა ა.ოჯაქესეული დახასიათებაც: „ის ქართველები, რომლებიც სოფელ გორჯიმაჰალეში ცხოვრობენ, ხელოვანი და მებრძოლი ხალხია. ხელოვნებისა და ხელობის დარგებს შორის, რაშიც ისინი გაწაფულნი არიან, შეიძლება დავასახელოთ არქიტექტურა, ზეინკლობა, მოპირკეთება, მუსიკა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მიწათმოქმედება. მათ საქებრად უნდა ითქვას, რომ არიან ღირსეული, სტუმართმოყვარე, ამტანი, შეუპოვარი, გულადი და, რასაკვირველია, ჭკვიანი და მოხერხებული. ისტორიულ წარსულში ქართველების გალაშქრების ამბავი ქუქესთანზე (ქუსანზე), ყარათეფესა და როსთამქოლასზე ღირს წაკითხვად და მოსმენად“ (ოჯაქე 1390:109).

წინაპრების მებრძოლი სული შენარჩუნებული აქვთ გორჯიმაჰალელ ახალგაზრდებს, რომლებიც ამჟამად თავის ენერგიას სპორტის სხვადასხვა, მათ შორის, ექსტრემალურ სახეობას ახმარენ. გორჯიმაჰალეს მიმდებარე მთების ტყიან ფერდობებზე მათ მოწყობილი აქვთ სხვადასხვა საშუალებით სწრაფდაშვების ტრასები. ატარებენ „ოფ-როუდ“ (off road) ავტო- და ველო-გარბენებს რთულ რელიეფზე და ა.შ. ამ სახეობებში მათ უცხოელი პარტნიორებიც გაიჩინეს, რომლებიც გორჯიმაჰალეს სტუმრობენ და შეჯიბრებებში მონაწილეობენ.

სოფელ გორჯიმაჰალეს ქალაქად გადაქცევის საკითხი

ბოლო ათწლეულში სოფელ გორჯიმაჰალეს წინაშე დადგა მისი ქალაქად გარდაქმნის საკითხი. აქტიურად განიხილებოდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულება:

1. სოფელ გორჯიმაჰალეს შერწყმა მეზობელ ქალაქ (ყოფილ სოფელ) როსთამქოლასთან, რომელთანაც გორჯიმაჰალეს მრავალი წლის მანძილზე „მეზობლური“ პრობლემები აქვს;
2. სოფელ გორჯიმაჰალეს მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, მისი სტატუსის შეცვლა და „გორჯი-შაჰრის“ სახელწოდებით ქალაქად გადაქცევა.

ბუნებრივია, თავად გორჯიმაჰალეს მოსახლეობის უმეტესობა მეორე ვარიანტს უჭერდა და უჭერს მხარს. როგორც ჩანს, თუ დღის წესრიგში დადგა სოფლის გამსხვილების საკითხი, გორჯიმაჰალელები უარს არ იტყვიან კეთილმეზობლურ ურთიერთობებში მყოფ სოფელ ასიაბსართან გაერთიანებაზე, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან შერწყმას „კონკურენტ“ როსთამქოლასთან, სადაც ქართველები არ ცხოვრობენ. ირანის ოფიციალურ საინფორმაციო საშუალებებში ასახულია ამ ადმინისტრაციული ჭიდილის სხვადასხვა მომენტი, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონერთა და მოსახლეობის პოზიციები. ცხარე პოლემიკა გაიმართა სოციალურ ქსელებშიც, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ როსთამქოლას შემადგენლობაში გორჯიმაჰალეს შესვლის მომხრეები და მოწინააღმდეგეები.⁴³

ქართული წარმოშობის ადგილობრივმა პოეტმა ხეზრ ელიასი-გორჯიმ თავის ერთ-ერთ ლექსში ორიგინალურად აღწერა შექმნილი ვითარება. ეს ლექსი მაზანდარანელმა ქართველებმა სოციალურ ქსელებში გაავრცელეს. 2014 წელს გორჯიმაჰალესა და ასიაბსარში მოგზაურობისას პოეტმა პირადად წაგვიკითხა თავისი თხზულების ფრაგმენტები.

გთავაზობთ ამ ლექსის პუკარედულ თარგმანს მცირედი კომენტარებით: „თუ გორჯიმაჰალე დამოუკიდებელი გახდება, მისი ყველა მცხოვრები კმაყოფილი იქნება.

ყველა ქართველი იმის ღირსია, რომ მიაღწიოს საკუთარ დამოუკიდებლობას.

შერწყმა⁴⁴ ვნებს ჩვენს უფლებას.

გავხდებით ქათირი⁴⁵ და გამოვხმებით.

მიერთებით ძალიან დავმცირდებით, ქართველები არ ეთანხმებიან ამ საქმეს.

43. <https://www.irna.ir/news/80770981/>; <https://www.mehrnews.com/news/3871286/>

44. იგულისხმება როსთამქოლასთან მიერთება

45. ცუდად მოხედილი ცომისაგან გამომცხვარი პური

ჩვენ გორჯიმაჰალეში გვაქვს გადგმული ფესვები, მოჰამად ჯაბესნაირი სულისკვეთება გვაქვს.

მოსახლეობაში არაერთხელ ჩატარდა გამოკითხვა, [რომელმაც აჩვენა], რომ ამ ორ მეზობელს შორის არ არსებობს ურთიერთგაგება.

ჩვენი მოპაექრე როსთამქოლაა, ოთხასი წელია, რაც ის ჩვენგან განცალკევებულია.

[მხოლოდ] ორი დღე გვიწევს ერთად მსვლელობა მოჰარამის თვეში, თასუას და აშურას დროს.

გვინდა, რომ დავრჩეთ ერთმანეთისაგან დაშორებული, რათა უკეთ გავიგოთ ერთმანეთის ყადრი.

ყველა ქართველი მოლოდინშია: დღეებს ითვლიან, როდის გახდება [გორჯიმაჰალე] გორჯი-შაჰრი.⁴⁶

ყველა ქართველს მიაჩნია, რომ „გორჯი-შაჰრ“ კარგი და ახალი დასახელებაა.

ბეჰშაჰრის გამგებელს უნდა ვთხოვოთ, რომ ქართველებს გვინდა, ცალკე ქალაქი გვქონდეს.

როდესაც ჰოჯათი⁴⁷ მოვიდა ამ სოფელში, თქვა, [სოფელი კი არა და] მთელი ქვეყანააო გორჯიმაჰალე.

ქართველი ღონიერია და ფალავანია, სპორტის მრავალ სახეობაში ჩემპიონია.

ქართველები ძალიან ტკბილმოუბარი ერთობ ლამაზი, გულმოწყალე და მოსიყვარულენი არიან.

ქართველები წმინდა ხელოვანები არიან, ტექნიკასა და მეცნიერებაში მზის დარნი არიან.

არც ერთ სხვა სოფელს არ ჰყავს ამდენი ჯარისკაცი, ათასი ომგადასდილი და სამასი ომის ინვალიდი.

სოფლის შაჰიდთა რაოდენობა ორმოცდაათს აჭარბებს. მათი სისხლითაა ჩვენი ძვირფასი ირანი ცოცხალი.

46. მაჰალე - უბანი, შაჰრ - ქალაქი

47. მაჰმუდ ჰოჯათი - ირანის სოფლის მეურნეობის მინისტრი 2013-2019 წლებში

სეფაჰანი ქართველთა ხელით გახდა ისპაჰანი, ამის მერე დაერქვა ნეს-
ჟე ჯაჰან.⁴⁸

ქართველმა ააშენა აბასაბადის კაშხალი, ჩემემს სასახლე და სეფიაბა-
დი.⁴⁹

ქართველმა ისტორიაში თავისი კვალი დატოვა, ირანის აყვავებაში
წვლილი მიუძღვის.

[ქართველი] გორჯიმაჰალეს გადააქცევს წალკოტად, სანიმუშო გახ-
დება ტაბარისტანში.

ბერუხილი, მოჰამად თასქი და მიანდე – ეს სამი გვარი ერთიანია ამ
სოფელში.

მეოთხე ტომი ასიაბსარშია, ქართველთათვის სახელის მომტანნი
არიან.

ყველას ერთმანეთთან სიახლოვე და მეგობრობა აკავშირებს, მრავალ
საქმეში აქვთ ერთიანობა.

ხეზრ ელიასის სწამს, რომ გორჯი-შაჰრში ასეთი ტკბილი ცხოვრება
იქნება.“

ქალაქ ბეჰშაჰრის უბანი გორჯიმაჰალე

„ქალაქ ბეჰშაჰრის უბანი გორჯიმაჰალე მდებარეობს ბეჰშაჰრის სამ-
ხრეთ ნაწილში. ა.ჰეიდარი-გორჯის თქმით, როდესაც შაჰ-აბასმა პირ-
ველად მოიყვანა ქართველები თავის მეორე დედაქალაქ აშრაფ-ოლ-ბა-
ლადში (აშრაფი – დღევანდელი ქ.ბეჰშაჰრი – ნ.ნ.), სწორედ ამ ადგილას
დაასახლა და ბევრი სასოფლო-სამეურნეო მიწა გადასცა. ბეჰშაჰრის ქარ-
თველთა უბანში ორი მეჩეთია: ქართველთა ქვემო მეჩეთი (masjed-e
gorji-pāyin) და ქართველთა ზემო მეჩეთი (masjed-e gorji-bālā).
რელიგიური მსვლელობების შემსრულებელი ჯგუფები ტრადიციულად
ქვემო მეჩეთში ფორმირდება. გორჯიმაჰალეს მგლოვიარე ჯგუფების
მსვლელობა იმდენად გამორჩეულია, რომ ამის სანახავად გლოვის დღეებ-

48. ნესჟე ჯაჰან - (სპარ.) „ნახევარი მსოფლიო“, ისპაჰანის ეპითეტი

49. აბასაბადის კომპლექსი, ჩემემს სასახლე, სეფიაბადი - სეფიანთა პერიოდის ისტორიული
ძეგლები ბეჰშაჰრის შაჰრესთანში.

ში ქვემო მეჩეთთან უამრავი ხალხი იკრიბება... მათი გამომსახველობა, ღიდებულება და ორგანიზებულობა [მნახველთა] ქებას იმსახურებს“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:330-331).

იქვე ა.ჰეიდარი-გორჯი ჩამოთვლის გორჯიმაჰალეში მცხოვრებ ძირძველ ქართულ ოჯახებს: ასგარი, ზაბიჰი, საბზიფორუშ-ვაჰაბი, ესქანდარი, ქიაი, მაჰჯუბი, ფუიანდე, მაჰდიან, მაჰდიზადე, აშრაფი, ყოდუსი, ჰასანზადე, ათარ, ჯენაბზადე, რეზანეჟად, ბაბოლი, იაყუბნეჟად, იაყუბი, ყოლამი, მირზაფურ, ებრაჰიმი, ახუნდი, ფახარი, ფახარიან, გორჯი, რასულიან, ამინი, ყასემი, ნოურუზიან, ყაზიან. თუმცა ავტორი, რომელიც ამჟამად ბექშაჰრის გორჯიმალაჰეში ცხოვრობს და იქვე აქვს თავისი სავაჭრო ობიექტი, აღნიშნავს, რომ შეიძლება, ზოგიერთი მათგანი სულაც არ იყოს ქართული წარმოშობისა (ჰეიდარი-გორჯი 1389: 331).

სოფ. ასიაბსარი (Āsiyābsar)

ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით ეს სოფელი შედის ბექშაჰრის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის ქუჰესთანის დეჰესთანში და 2006 წლის აღწერის მონაცემებით, იქ ცხოვრობდა 1598 ადამიანი (427 კომლი). ამ სოფელსა და სოფელ ქუჰესთანს ჰყოფს მდინარე ქუსან-რუდი (Kusān-rud). მანუჩერ სოთუდე თავის ნაშრომის მეხუთე ტომის მეორე ნაწილში, რომელიც აღმოსავლეთ მაზანდარანის ისტორიულ დასახლებებს ეხება, მკაფიოდ აღნიშნავს, რომ „ქუსან“-ი არის იგივე „ქუჰესთან“-ი (სოთუდე 1375-2: 673). ქართველი მკვლევრები იმოწმებენ ასიაბსარელ და გორჯიმაჰალელ მოხუცებს, რომელებიც „ქუსან-ე გორჯი“-ს ასიაბსარის პირვანდელ სახელად მიიჩნევენ (ჯაფარიძე...2017:17). ასიაბსარის სახელი მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან āsiyāb („წისკვილი“) და sar („თავი“, „სათავე“). წყლების სიმრავლე ამ ადგილას შესაფერისი იყო წისკვილების გასამართავად. ასიაბსარელი მოხუცების გადმოცემით, ძველად სოფელში 40 წისკვილი იყო, ახლა კი მხოლოდ 17 შემორჩა (ჰეიდარი-გორჯი 1389:260-261).

„ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ და „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ ბექშაჰრის შაჰრესთანის სოფელი ასიაბსარი არ იხსენიება. გასული საუკუნის 50-იან წლებში, გორჯიმაჰალეს მსგავსად, სოფელი ქუჰესთანიც სარის შაჰრესთანის ბექშაჰრის ბაზმის ყარეთეყანის

დექესთანში შედიოდა (იგლ 3:248). სავარაუდოდ, ამ ლექსიკონში აღწერილი სოფ. ქუქესთან დღევანდელ ასიაბსარსაც მოიცავს.

ა.ოჯაქე თავის ლექსიკონში სოფელ ასიაბსარს ასე ახასიათებს: „āsiyābsar/asiyusar – წარსულში მიეკუთვნებოდა ქუქესთანის (ქუსანის) ტერიტორიას, რომელიც ქართველებმა დაიკავეს და გაფართოვდნენ მდინარე ქუქესთანის დასავლეთ მხარემდე. მდინარის დაკავების შემდეგ იქვე დააყენეს მერუეები.⁵⁰ ახლა ისინი ცნობილი არიან, როგორც ასიაბსარის ქართველები...“ (ოჯაქე 1390: 21).

ა.ჰეიდარი-გორჯი სოფელ გორჯიმაჰალეს საზღვრების თაობაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „აღმოსავლეთის მხრიდან დასახლების საზღვარი გადიოდა მდინარე ქუსანამდე და ასიაბსარამდე. ვინაიდან ასიაბსარი სოფელ გორჯიმაჰალეს მეოთხე ნაწილი (უბანი) იყო, ამ მდინარის წყლით სარგებლობის უფლება ამ ორ სოფელს ეკუთვნოდა“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:111), ანუ მკვლევარი ასიაბსარს გორჯიმაჰალეს ისეთსავე უბნად თვლის, როგორიც ამჟამინდელ უბნებს: ბერეხილს, მოჰამად თასქისა და მიანდეს (შდრ. ჯაფარიძე...2017 :18-19).

2014 წელს გორჯიმაჰალესა და ასიაბსარში ყოფნისას ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარში ამ ორი სოფლის მოსახლეთა ურთიერთიმიპათია იგრძნობოდა, რისი ერთ-ერთი გამოხატულებაც გახლდათ შემდეგი ფაქტი: ამ ორი სოფლის დამაკავშირებელ მოკლე გზას ასიაბსარის მხრიდან ჰქვია „გორჯიმაჰალეს ქუჩა“, ხოლო გორჯიმაჰალეს მხრიდან იგივე გზა „ასიაბსარის ქუჩად“ იწოდება.

ა.ჰეიდარი-გორჯი მკითხველს სთავაზობს ასიაბსარის მკვიდრთა გვარების გრძელ ჩამონათვალს, რომლებიც შეიცავენ ეთნონიმს „გორჯი“: ნოურუზი-გორჯი, მასუმი-გორჯი, ჰეიდარიან-გორჯი, მორადიან-გორჯი, ხალეყი-გორჯი, ქარამი-გორჯი, ქარიმი-გორჯი, სადათნეჟად-გორჯი, აჰანგარი-გორჯი, მოსლემი-გორჯი, აზმუდე-გორჯი, ელიასი-გორჯი, ელიასფურ-გორჯი, ავაზი-გორჯი, მოვაჰედი-გორჯი, ალინია-გორჯი, ჰაშემინასაბ-გორჯი, მოალემიან-გორჯი, სიამიან-გორჯი, მუსაფურ-გორჯი, მილადი-გორჯი, მოჰამადნეჟად-გორჯი, ჰოსეინიან-გორჯი, ფაყანი-გორჯი, აქბარზადე-გორჯი, ჯამშიდი-გორჯი. ზოგ-

50. სიტყვა-სიტყვით: rudbān - მდინარის მცველი.

მა მათგანმა საკუთარი სურვილით შეიცვალა გვარი და მოიხსნა [გვარის] ბოლოს დართული „გორჯი“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:263-264).

სოფელ ასიაბსარის ბასიჯების (რეზერვისტთა) საინფორმაციო ბაზა-ში კკითხულობთ: „ასიაბსარი – ჩვენთვის სამაგალითო სოფელი ძველი ისტორიითა და შემორჩენილი ძეგლებით. ჩვენი ძირები საქართველოდან მოდის. როდესაც ეს თვალ-მარგალიტით სავსე მხარე დამამცირებლად მიეძღვნა უცხო ძალებს, ირანისადმი სიყვარულისა და ლტოლვის გამო ჩვენმა მამებმა და დედებმა დატოვეს სამშობლო და ირანის წიაღში დაიდეს ბინა“.⁵¹ ცხადია, აქ არეულია ისტორიული დრო, ხოლო უცხო ძალებში იგულისხმება რუსეთი, რომელმაც, ბევრი განათლებული თუ რიგითი ირანელის თვალსაზრისით, ირანს საქართველო წაართვა.

მაზანდარანის სხვა სოფლები

სოფ. გორჯიაბადი (Gorjiābād) ქ.ბაბოლთან

„გორჯიაბადი მდებარეობს ბაბოლის სამხრეთით 4 კილომეტრზე, მეშ-ჰედ-თეირანის მთავარი ტრასის სიახლოვეს. თავიდან ეს სოფელი ქართველებმა ააშენეს, იქ დასახლდნენ და გორჯიაბადი უწოდეს. ეს ადგილი გაანაშენიანა კაცმა, რომლის გვარიც გორჯი იყო. მისი შთამომავლები [ახლაც] იქ ცხოვრობენ. ამჟამად ძალიან დიდი კეთილმოწყობილი სოფელია... დაახლოებით 80 ქართველი ცხოვრობს იქ. გვარად რაჯაბზადეები არიან“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:355).

2016 წლის აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა 2174 ადამიანია. „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ ასეთი სახელწოდების მქონე დასახლება არ იძებნება.

სოფ. სეფიდთური (Sefidtur) ქ.ბაბოლთან

„ბაბოლის ბანდუეის სოფელ სეფიდთურში რამდენიმე ქართული კომლია...ერთმა მიიღო სასულიერო განათლება და ამ რაიონის მასწავლებელი (არაბ.-სპარ. ālem) გახდა. როდესაც პასპორტები შემოიღეს, ამ კომლმა ალემზადე-გორჯი აიღო გვარად. მათ ქართველებად იცნობენ. სო-

51. <http://asiabsarema.blogfa.com/>

ფელში დაინახავთ აბრას „ნოსრათოლა გორჯის აფთიაქი“. ეს ოჯახი და სხვა ქართველები უმეტესად უმაღლესი განათლებით არიან. რამდენიმე ექიმიცაა. ზოგიერთი მათგანი ამერიკასა და გერმანიაში ცხოვრობს (ჰეიდარი-გორჯი 1389:356).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ თანახმად, სეფიდური ბაბოლის შაჰრესთანის ბანდფეის ბახშის სოფელია, ბაბოლიდან სამხრეთით 2 კმ-ზე, ბაბოლ-ამოლის ტრასიდან დასავლეთით 8 კმ.-ზე. 645 მცხოვრები. შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული... ზაფხულობით ადიან ნეშე-ლის იალალზე (იგლ 3:154).

სოფ. მეჰლებანი (Mehlebān)

„მეჰლებანი ქართველებით დასახლებული სოფელია. დაახლოებით ორი ათასი მცხოვრებით. შედის ფერეიდუნქენარის შაჰრესთანში. მოსახლეობის 50-დან 60%-მდე ქართველები არიან. გვარად აქვთ „გორჯი“ ან „გორჯიან“. იერ-სახით ჰგვანან [საქართველოს] ქართველებს. მშობლიური ქართული ენა დავიწყებული აქვთ და მაზანდარანულად ლაპარაკობენ. განვითარებული სოფელია...“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:371-372).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ბაბოლის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის ჯალალ-აზრაქის დეჰესთანის სოფელია ბაბოლიდან ჩრდილო-დასავლეთით 21 კმ.-ზე. 455 მცხოვრები. შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:291). ინტერნეტ-რესურსებში ვხვდებით გვარს „გორჯი-მეჰლებანი“.⁵² ირანის 2006 წლის აღწერის მონაცემებით, იქ 1593 ადამიანი ცხოვრობს.

სოფ. ჰაჯიქალა (Hāji-kalā)

სარის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის ესფივარდე შურაბის დეჰესთანის სოფელი. ქ.სარიდან სამხრეთ-დასავლეთით 11,5 კმ.-ზე. 260 მცხოვრები. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:98).

„ჰაჯიქალა მდებარეობს სარის შაჰრესთანთან დასავლეთით 8 კმ.-ზე, ფაშაქოლა ენთეყალის მეზობლად. იქ ცხოვრობენ გადმოსახლებული ქართველები. საკუთარი ენა დაკარგული აქვთ და ადგილობრივ ანუ

52. http://yousefgorji.ir/?page_id=22

მაზანდარანულ ენაზე საუბრობენ...მისი მოსახლეობის დაახლოებით 30 კომლი ქართულია...მთლიანად სოფლის მოსახლეობაა 260 კომლი – 1150 ადამიანია, აქედან დაახლოებით 120 ქართველია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:368-369).

ირანის მოსახლეობის 2006 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 873 ადამიანი ცხოვრობს.

სოფ. გორჯიქალა (Gorji-kalā)

ა.ჰეიდარი-გორჯის თავის ნაშრომში ამ სოფელს არ ახსენებს.

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით კი გორჯიქალა არის სარის შაჰრესთან ცენტრალური ბაზმის ესფივარდე შურაბის დეჰესთან სოფელი. ქ.სარიდან სამხრეთ-დასავლეთით 5 კმ.-ზე. 1300 მცხოვრებია. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:253). ირანის მოსახლეობის 2016 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 868 ადამიანი ცხოვრობს. დღევანდელი მდგომარეობით, ფაქტობრივად, ქ.სარის გარეუბანია.

2014 წლის ნოემბერში მოვახერხეთ ამ სოფლის ხანმოკლე დროით მონახულება. საღამოს ლოცვის დრო იყო. ხალხი მეჩეთთან შეკრებილიყო. მათთან გამოლაპარაკებას მოვერიდეთ და ცოტა მოშორებით, სოფლის ბოლოს ერთ მწყემსს მივმართეთ. მან უარყო, რომ სოფელში ქართველები ცხოვრობენ, ხოლო სოფელი მოიხსენია როგორც „გარჯი-ქალა“ და არა „გორჯი-ქალა“. თუმცა სოფლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილას მოთავსებულ აბრაზე სპარსული დასახელების გვერდით ლათინურად ეწერა Gorji-kala.

სოფ. ფაშაქალა (ენტეყალი) (Pāšā-kalā Enteqālī)

ა.ჰეიდარი-გორჯის აღწერით, „სოფელი ფაშაქალა (ენტეყალი) მდებარეობს სარის შაჰრესთან დასავლეთით 8 კმ.-ზე. იქ ცხოვრობენ საქართველოდან ჩამოსახლებული ქართველები. საკუთარი ენა დაკარგული აქვთ და მაზანდარანულ ენაზე მეტყველებენ...ამ სოფლის მოსახლეობის 1/3 ქართველია. დაახლოებით 70 ქართული კომლი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში ბინადრობს. მათი გვარებია: იუსეფი-გორჯი, გორჯი-ნეჟად, ჰაბიბზადე-გორჯი, ჰაბიბი-გორჯი, გორჯი. ამ სოფლის ქართველები ერ-

თოხ ფანატიკურები არიან. თავიანთ საზღვრებში არავის უშვებენ.⁵³ მათ საქმეში დამოუკიდებლობა და თავისუფლება გამოარჩევთ. იერ-სახე და კანის ფერი წინაპრებს მიუგავთ, რადგან უმეტესად ქერა ან ჟღალი თმა და ღია ფერის თვალები აქვთ, ტანმალაღნი არიან. სოფლის მოსახლეობა 244 კომლია (980 ადამიანი), აქედან დაახლოებით 230 ქართველია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:367-368).

„ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონის“ შესამაბის ტომში ფაშაქალას სახელით 12 დასახლებული პუნქტია ფიქსირებული. მათგან დღევანდელ ფაშაქალა ენთეყალის შეესაბამება სარის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზშის ესფივარდე შურაბის დეჰესთანის სოფელი ფაშაქალა. სარიდან სამხრეთ-დასავლეთით 11 კმ-ზე. 380 მცხოვრები. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:60).

სოფ. მაჰფორუჯაქი (Māhforujak)

სარის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზშის ესფივარდე შურაბის დეჰესთანის სოფელი. სარიდან სამხრეთ-დასავლეთით 10 კმ.-ზე. 560 მცხოვრები, შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:276).

„მაჰფორუჯაქი მდებარეობს სარის შაჰრესთანთან დასავლეთით 7 კმ.-ზე. მთავარი ტრასის სამხრეთით. ამ სოფელში დაახლოებით 23 კომლი ცხოვრობს. მათი გვარია იაყუბი-გორჯი. მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა 92 (?)⁵⁴ ადამიანია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:369). ირანის 2016 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელ მაჰფორუჯაქში 815 ადამიანი სახლობს.

სოფ. ჰელიბაყი (Heli-Bāq)

ა. ჰეიდარიგორჯი წერს, რომ ქ. სარის სიახლოვეს კიდეც არის ქართველებით დასახლებული სოფლები. მაგალითად ასახელებს სოფელ ჰელიბაყს. მისი შენიშვნით, ამ და სხვა მსგავსი დასახლებების შესახებ მეტი კვლევა საჭირო (ჰეიდარი-გორჯი 1389:369).

სოფელი ჰელიბაყი „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ არ არის და-

53. როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ სხვა წარმოშობის ხალხს იქ დასახლების უფლებას არ აძლევენ.

54. სავარაუდოდ, კორექტურული შეცდომაა.

ფიქსირებული. ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით, ეს სოფელი შედის ბაბოლსარის შაჰრესთანის ბაჰამირის ბახშის ბაჰნამირის დეჰესთანში⁵⁵ 2016 წლის აღწერით, სოფელში 507 მოსახლეა.

სოფ. ჩამაზქოთი (Čamāz-koti)

იგლ-ს მონაცემებით, სოფელი ჩამაზქოთი მდებარეობს შაჰის (ახლანდელი ყაემშაჰრი – ნ.ნ.) ცენტრალური ბახშის ალიაბადის დეჰესთანში. ქალაქ შაჰიდან ჩრდილოეთით 3 კმ.-ზე. შაჰი-ჯუიბარის გზატკეცილის სიახლოვეს. 1200 მოსახლე. შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:92).

ა.ჰეიდარი-გორჯის ინფორმაციით, „სოფელი ჩამაზქოთი მდებარეობს ყაემშაჰრის შაჰრესთანში, ყაემის შემოვლითი გზასთან...დაახლოებით 5 ათასი მოსახლეა. იქ რამდენიმე ქართული კომლია, დაახლოებით 250 ადამიანი“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:369-370).

ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით, ეს სოფელი შედის ყაემშაჰრის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის ნოუქანდექოლას დეჰესთანში. 2016 წლის აღწერის მონაცემებით, იქ 5436 მოსახლეა.

ტურისტული საინფორმაციო საიტის <https://seeiran.ir> ცნობით, ირანის ეს ერთ-ერთი უდიდესი სოფელი განთქმულია თავისი საქაბაბეებით. ამჟამად, იქ 12 მოქმედი საქაბაბეა.

სოფელი ბაზიარე ფაინ (Bāzyār-e pāyin)

„ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ ეს პუნქტი დაფიქსირებულია სახელწოდებით „ფაინ-ბაზიარ“ (ქვემო ბაზიარი) – ბაბოლის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის ლალეაბადის დეჰესთანის სოფელი. ბაბოლიდან სამხრეთ-დასავლეთით 20 კმ.-ზე. ბაბოლ-ამოლის გზატკეცილის სამხრეთით 5 კმ.-ზე. 335 მოსახლე. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:57).

ა.ჰეიდარი-გორჯის ცნობით, ბაზიარე ფაინში ცხოვრობენ საქართველოდან გადმოსახლებული ქართველები: „ეს სოფელი მდებარეობს ამოლ-ბაბოლის ძველი გზის სიახლოვეს. შედის ლალეაბადის ბახშში. ეს ხალხი იერ-სახით ჰგავს თავის წინაპრებს. უმეტესობა ქერა და ჟღალთმიანია.

55. <https://bahnamirshora.ir/>.

აქვთ ღია ფერის თვალები, თეთრი კანი. ტანადები არიან. დაახლოებით 920 ადამიანი მხოლოდ „გორჯი“-ს გვარისაა. ძალიან მოყვარული, მხიარული და კარგი საურთიერთო ხალხია... მთლიანად სოფლის მოსახლეობა 370 კომლია, 1450 ადამიანი. აქედან დაახლოებით 920 ქართველია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:370-371). ინტერნეტ-რესურსებში მოვიძიეთ ინფორმაცია ირან-ერაყის ომში დაღუპული ნურულა შოქროლას-ძე გორჯის შესახებ, რომელიც წარმოშობით ამ სოფლიდან იყო და ახლა მშობლიური სოფლის სასაფლაოზე განისვენებს (<http://delavargroup.blogfa.com/post/2868>).

ამ სოფლის მახლობლად მდებარეობს სოფელი ბალა-ბაზიარი (ზემო ბაზიარი). იქაურ მოსახლეობაში ქართველთა არსებობის შესახებ ცნობები არ ჩანს.

ქალაქ ამოლის უბანი გორჯიმაჰალე (Gorji-mahalle)⁵⁶

ა.ჰეიდარი-გორჯი გვიამბობს, რომ ქალაქ ამოლის ცენტრში მდებარეობს უბანი „გორჯიმაჰალე“, სადაც ცხოვრობს ბევრი ძირძველი ოჯახი. ქალაქის გაფართოების გამო, ამ რაიონში ბევრი მიგრანტი დასახლდა, ქართველების ერთი ნაწილი კი ქალაქის სხვა რაიონებში გადავიდა საცხოვრებლად (ჰეიდარი-გორჯი 1389:371).

სოფ. თამოსკი (Tamosk)

ამოლის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის დაშთსარის დეჰესთანის სოფელი. ამოლიდან აღმოსავლეთით 11,5 კმ.-ზე. 370 მოსახლე. შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:76).

ა.ჰეიდარი-გორჯის ინფორმაციით, სოფელი თამოსკი შედის ჰარაზფეი ჯონუბის დეჰესთანში. მდებარეობს ამოლ-სორხრუდის გზის სიახლოვეს...იქ ქართველები ჩასახლდნენ შაჰ-აბასის მეფობისას. საკუთარი ენა დაკარგული აქვთ. ლაპარაკობენ მაზანდარანულ ენაზე. სოფელს დიდი ტერიტორია არ უჭირავს. მისი მოსახლეობის 1/3 ქართველია (ჰეიდარი-გორჯი 1389:372-373).

56. შდრ. ქალაქ ბეჰშაჰრის უბანი გორჯიმაჰალე.

სოფ. ჰოსეინაბადი (Hosseynābād)

ამოლის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზშის დაბუს დეჰესთანის სოფელია. ამოლიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 13 კმ.-ზე. 100 მოსახლე. შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ :101).

ა.ჰეიდარი-გორჯის აღწერილობით, „ჰოსეინაბადი ამოლის შაჰრესთანის სოფელია, რომელიც მაჰმუდაბადსა და ამოლს შორის მდებარეობს... მისი მოსახლეობის 10%-ს საქართველოდან გადმოსახლებული ქართველები შეადგენენ. რამდენიმე საუკუნის შემდგომაც შეინარჩუნეს ქართული იერ-სახე. ძალიან კეთილგანწყობილნი და მოსიყვარულენი არიან“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:373-374).

შირხარქოლა (Širxār-kolā) და ზიარქოლა (Ziār-kolā)

ა.ჰეიდარი-გორჯის ცნობით, ქ.ქიაქოლასგან აღმოსავლეთით 7 კმ.-ზე მდებარე სოფლები შირხარქოლა (Širxār-kolā) და ზიარქოლა (Ziār-kolā) ქიაქოლას ექვემდებარებიან. ისინი ძირძველ სოფლებად ითვლებიან. ჰიჯრის 1280-1290 წლებს შორის (დაახლოებით 100 წელზე მეტი ხნის წინათ) ვინმე მუსა გორჯინეჟადი სავადქუჰის გორჯიხეილიდან შირხარქოლაში გადასახლდა. მისი ორი ვაჟის – შირაფქან და შირზად გორჯინეჟადების შთამომავლების ნაწილი (დაახლოებით 105 კაცი) ქიაქოლას მიდამოებში, ზოგი კი უცხოეთში ბინადრობს (ჰეიდარი-გორჯი 1389:359).

„ირანის გეოგრაფიულ ლექსკონის“ მიხედვით, შირხარქოლა შაჰის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზშის ქიაქოლას დეჰესთანის სოფელია. 480 მოსახლე, შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:184). ზიარქოლაც შაჰის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზშის ქიაქოლას დეჰესთანის სოფელია. 360 მოსახლე, შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:144). ამჟამად ეს ორივე სოფელი შედის სიმორყის (ქიაქოლას) შაჰრესთანში.

გორჯიმაჰალე (გუშთი ქელერდ//ქოლარდ?) ქ.ქიაქოლასთან – Gorji-mahalle (Gušti-Kelerd//Kolard?)

ა.ჰეიდარი-გორჯის ცნობით, ქალაქ ქიაქოლას შაჰრესთანის ამ სოფელშიც არიან გადმოსახლებული ქართველები. ადრე დაახლოებით სამოცდაათზე მეტი კომლი ცხოვრობდა, მაგრამ არასახარბიელო ყოფითი პირობების

გამო ბევრმა ოჯახმა დატოვა ეს ადგილი. ქიაქოლას სოფელ გორჯიმაჰალე-ში მოსახლე ქართველთა გვარებია: გორჯი, ალიზადე-ჰაზრათი, ფაზელზადე. სულ 9 კომლი და 27 მოსახლეა (ჰეიდარი-გორჯი 1389:360-361).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ამ გეოგრაფიულ პუნქტს უნდა შეესაბამებოდეს შაჰის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის ქიაქოლას დეჰესთანის სოფელი გუშთიქალა, რომელიც ქ. შაჰიდან ჩრდილო-დასვლეთით 10 კმ.-ზე მდებარეობს. 150 მოსახლეა, შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:263). ამჟამად ის სიმორყის (ქიაქოლას) შაჰრესთანში შედის.

სოფ. აღმოსავლეთი დარუნქოლა (Darunkolā-ye šarqi)

ა.ჰეიდარი-გორჯის ამ დასახლებას არ ასხენებს.

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით კი, **დარუნქალა (Darun-kalā)** ბაბოლის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის მეშჰედ-განჯაფრუზის დეჰესთანში მდებარეობს. ბაბოლიდან სამხრეთით 17 კმ.-ზე. 2280 მოსახლე, შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული“ (იგლ 3:120). „ირანის გეოგრაფიული ენციკლოპედიის“ თანახმად, მისგან დასავლეთით 2 კმ.-ის დაშორებით არის სოფელი დასავლეთი დარუნქოლა (Darunkolā-ye qarbi) (გიტა 1384: 518).

2014 წელს მაზანდარანში მივლინებისას პროფ.გ.სანიკიძესა და მაზანდარანელ ქართველ ჰასან ჯავანმარდ-გორჯისთან ერთად მოვინახულე აღმოსავლეთი დარუნქოლა, სადაც, დასავლეთ დარუნქოლასგან განსხვავებით, ქართველები ბინადრობენ. ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ღიად საუბრობდა თავისი ქართული წარმოშობის შესახებ, ზოგმა კი ჩვენთან ლაპარაკი არ ისურვა. ერთ-ერთ ოჯახში, სადაც გაუფრთხილებლად მივედით, გულითადად გვიმასპინძლეს ირანულად – იატაკზე გაშლილ სუფრაზე. ამ სოფლის სასაფლაოზე მრავლად იყო საფლავები გვარებით „გორჯი“ ან „გორჯი-დარუნქოლაი“. ადგილობრივების თქმით, მათ მეზობელ დასავლეთ დარუნქოლაში ქართველები არ სახლობენ.

ბლოგერი ალი როსთამი აღმოსავლეთ დარუნქოლაში გავრცელებულ რამდენიმე გვარს ასახელებს: ბეიგი, ქიაი, გორჯი, მაჰდავი, დარზი, როსთამი.⁵⁷

57. <http://rostamincc.blogfa.com/post/29>

სავადქუპის გორჯიხელი Gorji-xeyl

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მონაცემებით, გორჯიხელი შაჰის შაჰრესთანის სავადქუპის ბახშის რასთუფის დეჰესთანის სოფელია, ფოლსეფიდიდან სამხრეთით 36 კმ.-ზე. 230 მოსახლე, შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3: 253).

ა.ჰეიდარი-გორჯის მტკიცებით, დასახელება „გორჯიხელ“ მოიცავს 44,3 კვ.კმ. ტერიტორიას, სადაც არის შემდეგი გეოგრაფიული პუნქტები: გადუქი (Gaduk), შურაბი (Šurāb), ნოუსარი (Nousar), დოგალი (Dogal), ვერესქე გორჯიხელი (Vereske Gorji-xeyl), მარბამერდი (Marbamerd), ქაო (Kao), ქარქარუნი (Kārkarun), ჰეზარხალი (Hezārkhāl), სანგბონი (Sangbon), ფაინ-ჩალომეში (Pāyin-Čālomeš?), ბალა-ჩალომეში (Bālā-Čālomeš?). ა.ჰეიდარი-გორჯის აზრით, იქ მცხოვრები ქართველების წინაპრები ფარაჰაბადის ჭაობებს და მაღარიას გაერიდნენ და ზღვიდან მოშორებულ, მაღალმთიან, მშრალ ადგილებში ავიდნენ. ერთი ნაწილი დასახლდა გადუქში, მეორე ნაწილი – ძველ ვერესქში. „იქ 100 კომლზე მეტი ცხოვრობდა, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობაში აითქვიფნენ; დროთა განმავლობაში დაკარგეს თავისი ფესვები, ენა და სარწმუნოება. კლიმატური პირობებისა და ისტორიული მოვლენების შედეგად, ისფაჰანის ფერეიდნელი ქართველებისგან განსხვავებით, მათ ვერ შეინარჩუნეს საკუთარი თვითმოფადობა“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:363). ა.ჰეიდარი-გორჯის წყაროს დაუსახელებლად მოჰყავს გორჯიხელის ქართული მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები: ემაფთი (Emāft) – 29 კომლი, 108 სული; ვერესქი (Veresk) – 399 კომლი, 1498 სული; დოგალი (Dogal) – ინფორმაცია არ აქვს; შურაბი (Šurāb) – 39 კომლი, 112 სული (ჰეიდარი-გორჯი 1389: 366).

გორჯიხელის სოფლები „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით:

ა.ჰეიდარი-გორჯის მიერ დასახელებული გეოგრაფიული პუნქტებიდან რამდენიმე „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონშიც“ იძებნება. რამდენიმე ცნობა აღმოჩნდა ინტერნეტ-რესურსებშიც. ქვემოთ მოცემულია მოძიებული მასალა:

სოფ. შურაბი (Šurāb)

„ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონის“ მიხედვით, სოფელი შურაბი შედის შაჰის შაჰრესთანის სავადქუპის ბახშის რასთუფეის ღეჰესთანში. მდებარეობს ფოლსეფიდის სამხრეთით 37 კმ.-ზე, შაჰი-თეირანის გზატკეცილიდან 2 კმ.-ზე. მთის მკაცრი კლიმატია. 550 მოსახლე, შიიტები. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3: 178). ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით, მიეკუთვნება სავადქუპის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის რასთუფეის ღეჰესთანს. 2016 წლის აღწერის მონაცემებით, სოფელში 183 ადამიანი ცხოვრობს.

გორჯიხეილის ზემოთ ჩამოთვლილი დასახლებებიდან სოფელ შურაბს საკდესის კორეაპონდენტი ა.აჰმედზიანოვიც ახსენებს, რომელიც პროფ. მ.თოდუასთან ერთად ამ სოფლის მისადგომებთან იმყოფებოდა, მაგრამ თოვლის გამო შესვლა ვერ მოხერხდა. მათ მხოლოდ მთავარი გზის პირას მდგარ ბავშვებთან გასაუბრება შეძლეს, რომლებიც თავს ქართველებად თვლიდნენ (აჰმედზიანოვი 1971).

მსგავსი ვითარება განმეორდა 2014 წლის ნოემბერში, როდესაც მაზანდარანში მივლინებისას თეირან-ფირუზქუქის ტრასიდან მაზანდარანელმა ქართველმა მეგზურმა ჰასან ჯავანმარდ-გორჯიმ დათოვლილი მთის ფერდობზე სოფელი შურაბი დაგვანახა. სოფლისკენ მიმავალი გზის გადასხვევითან მდებარე ბენზინგასამართ სადგურზე იქაურ თანამშრომელს გავესაუბრეთ, რომელმაც თავი შურაბელ ქართველად გაგვაცნო. მოყინული გზის გამო კვლავაც ვერ მოხერხდა შურაბში ასვლა. ინტერნეტ-რესურსებში შურაბთან დაკავშირებული მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა ამ სოფლის ზოგიერთი, ქართული წარმოშობის, მოსახლის გვარი: მასუმი-გორჯი, რაჯაბი-გორჯი, ესმაილი-გორჯი, იაყუბი-გორჯი, მოჰამადი-გორჯი, აჰმადი-გორჯიხეილი, გორჯი-შურაბი.⁵⁸

სოფ. დოგალი (Dogal)

შაჰისა და ფირუზქუქს შორის მდებარე ერთ-ერთი სადგურის სახელია. ფოლსეფიდიდან სამხრეთით 36 კმ.-ზე. სოფლის მცხოვრებლები არიან ამავე სადგურის მოსამსახურეები, მუშები და რამდენიმე მეღუქნე

58. <http://shoorab.blogspot.com>

(იგლ 3:125). დღეს ამ გეოგრაფიულ პუნქტს სოფელი „დოგალის სადგური“ (Istgāh-e Dogal) ჰქვია, რომელიც შედის სავადქუპის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის რასთუფეის დეჰესთანში. 2016 წლის აღწერის მონაცემებით, სულ 17 მოსახლეს ითვლის.

13.11.2006-ში მაზანდარანის პოპულარულ საინფორმაციო საიტზე www.mazandnume.com გამოქვეყნდა ალი შირზადის სტატია „შურაბის ჯადოსნური სილამაზე“, რომლის კომენტარშიც მომხმარებელი ყოლამ-ალი მოჰამადი-გორჯი წერს: „ყველა ქართველს ვულოცავ გაზაფხულს...ქართველობა სიყვარულია... ჩემი მშობლიური ადგილი დოგალია.“⁵⁹

სოფ. ემაფთი (Emāft)

შაჰის შაჰრესთანის სავადქუპის ბაზმის რასთუფეის დეჰესთანის სოფელი. ფოლსეფიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 26 კმ.-ზე. 120 მოსახლე. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:23). ამჟამად შედის სავადქუპის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის რასთუფეის დეჰესთანში. 2016 წლის აღწერის მონაცემებით, სულ 156 მოსახლეს ითვლის.

სოფ. ნოუსარი/ნოუსარე (Nousar/Nousare)

შაჰის შაჰრესთანის სავადქუპის ბაზმის რასთუფეის დეჰესთანის სოფელი. ფოლსეფიდიდან სამხრეთით 35 კმ.-ზე. 150 მოსახლე. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:309). ნოუსარს სოფელ შურაბის ძველ სახელადაც მოიხსენიებენ. დღეს ნოუსარი შედის სავადქუპის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის რასთუფეის დეჰესთანში. 2016 წლის აღწერის მონაცემებით, სულ 3 კომლი ცხოვრობს.

ყარამან კიკნაველიძის მიერ ნახსენები მაზანდარანის ქართული სოფლები:

სოფ. ახურდი (Āxurd)

ყარამან კიკნაველიძესთან მოხსენიებულია როგორც „ახორ“-ი.

59. <http://www.mazandnume.com/fullcontent/6384/>

სარის შაჰრესთანის ჩაპარდანგეს ბახშის დარქასაიდეს დეჰესთანის სოფელი. ქიასარიდან ჩრდილო-დასავლეთით 30 კმ.-ზე. 105 მოსახლეა, შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:6).

სოფ. ერა (Erā)

ყარამან კიკნაველიძისთვის ეს არის „არაყის თემი“.

სარის შაჰრესთანის ჩაპარდანგეს ბახშის ფოშთქუჰ-სურთეჯის დეჰესთანის სოფელი. ქიასარიდან აღმოსავლეთით 19 კმ.-ზე. 475 მოსახლეა. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული (იგლ 3:6). სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა ყ. კიკნაველიძის მიერ „არაყის თემის“ სოფლებად მითითებული შანაბარ-ისა და ყოიძან-ის იდენტიფიცირება.

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ თანახმად, ყ.კიკნაველიძის სიის ზოგიერთ სოფელში, რომლებიც მაზანდარანის ოსთანს მიეკუთვნებიან, გილანურად ლაპარაკობენ. ეს დასახლებებია:

სოფ. აბრანგი (Ābrang)

ყ.კიკნაველიძის ვერსიით – „ორანგი“.

ნოუშაჰრის შაჰრესთანის ჩალუსის ბახშის ქელაროსთაყის დეჰესთანის სოფელი. ჩალუსიდან ჩრდილოეთით 2 კმ.-ზე. 380 მოსახლე. შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 3:2).

სოფ. ალამოლი (Alāmol)

ყ.კიკნაველიძის ვერსიით – „ალამლე“.

ნოუშაჰრის შაჰრესთანის ქელარდაშთის ბახშის ქუჰესთანის დეჰესთანის სოფელი. ჩალუს-თეირანის გზატკეცილიდან დასავლეთით 4 კმ.-ზე. 180 მოსახლე. შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 3:21).

სოფ. ანგურანი (Angurān)

ყ. კიკნაველიძის ვერსიით – „ანგრო“

ნოუშაჰრის შაჰრესთანის ქელარდაშთის ბახშის ქუჰესთანის დეჰესთანის სოფელი. ჩალუს-თეირანის გზატკეცილიდან დასავლეთით 11 კმ.-ზე. 210 მოსახლე. შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 3:28).

სოფ. დელირი (Delir)

ყ.კიკნაველიძის ვერსიით – „დელირი“

ნოუშაპრის შაჰრესთანის ქელარდაშთის ბახშის ქუჰესთანის ღეჰეს-თანის სოფელი. ჩალუს-თეირანის გზატკეცილიდან დასავლეთით 12 კმ-ზე. 850 მოსახლე. შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 3:122).

სოფ. ზავათი (Zavāt)

ყ.კიკნაველიძის ვერსიით – „ზავადი“.

ნოუშაპრის შაჰრესთანის ჩალუსის ბახშის ქელაროსთაყის ღეჰესთანის სოფელი. 150 მოსახლე

შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 3:143).

სოფ. სალემალი (Salemal)

ყ.კიკნაველიძის ვერსიით – „სოლომლე“.

შაჰსავარის შაჰრესთანის რამსარის ბახშის ეილაყის ღეჰესთანის სოფელი. რამსარიდან სამხრეთ-დასავლეთით 29 კმ.-ზე. 400 მოსახლე. შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 3 :155).

● ქართული ენა მაზანდარანში

კასპიისპირეთში ქართული დასახლებების შესახებ ყარამან კიკნაველიძის ცნობების ანალიზისას ამ საკითხს ნაწილობრივ უკვე შევეხე.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მაზანდარანში ქართული მეტყველების გაქრობა აღიარებული ფაქტია. მათი მშობლიური ენა უკვე მაზანდარანულია. იბადება კითხვა: არის თუ არა მაზანდარანის ქართველთა მეტყველებასა და ადგილობრივ ტოპონიმებში შენარჩუნებული ქართული ენის კვალი ისევე, როგორც ეს ფერეიდნის აფუსის შემთხვევაში მოხდა?

ა.ოჯაქე გორჯიმაჰალეს მკვიდრების ენის შესახებ განმარტავს: „გორჯიმაჰალეს მოსახლეობა მაზანდარანში შემოსვლისას საქართველოს ქართველების ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში, გორჯიმაჰალეს ბინადრების ქართულ ენაზე წერა-კითხვის უცოდინრობის გამო, ნელ-ნელა ეს ტკბილი ენა დავიწყებას მიეცა. ახლა, რამდენიმე ასწლეულის შემდეგ, აქ ქართულად აღარავინ ლაპარაკობს; გორჯიმაჰა-

ლეს მოსახლეობის ძირითადი ენა მაზანდარანული დიალექტია. **ამდენად, ამ ხალხის მეტყველებაში შესაძლოა, იყოს ზოგი ქართული სიტყვა თუ გამოთქმა.** მაზანდარანული დიალექტი ქართული ენის მსგავსად შეიძლება დავიწყებულ იქნას. ამიტომ ეს დიალექტი უნდა დაფიქსირდეს წერა-კითხვისა და ლექსიკონების დონეზე...” (ოჯაქე 1390: 77).

„სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის“ გამოცემათა სერიაში „ირანული დიალექტების საგანძური“ 2 ტომი დაეთმო მაზანდარანის ოსთანის 16 სხვადასხვა სოფლის მეტყველებების შესახებ ნაშრომს. მისი ავტორია ალი აქბარფური. აკადემიის მიერ დადგენილი ერთი თარგის მიხედვით თემატურად აღწერილია თითოეული სოფლის ლექსიკა. სამწუხაროდ, ამ სოფლებს შორის ვერ მოხვდა ჩვენთვის ცნობილი ვერც ერთი ქართული დასახლება, თუმცა აღნუსხულია გორჯიმაჰალესა და ასიაბსარის მეზობელი როსთამქოლასა და ქუჰესთანის მონაცემები (აქბარფურ, ტ.1-2, 1394).

ქართული ენის ყველაზე სარწმუნო ნაშთი მაზანდარანში უნდა იყოს ქართული „წყაროდან“ სიტყვა „ყარუ//ყარო“, რომელიც აღნიშნავს წყაროებით მდიდარ ადგილს გორჯიმაჰალესა და ასიაბსარის მიმდებარე მთებში. ამ სიტყვას პირველად დარეჯან ჩხუბიანიშვილმა მიაქცია ყურადღება. ფერეიდნელ (ნაჯაფაბადელ) ქართველ ალი ფაშაის, მაზანდარანის გორჯიმაჰალეში მოგზაურობის შემდეგ, მისთვის ასეთი ცნობა მიუწოდებია: „ალი ფაშას მოუვლია გორჯი მაჰალეს მიდამოები. ერთ ადგილას წყალი გამოდიოდა. უკითხავს – ამას რა ჰქვიაო? – ემას ყაროს ვეძახითო – უპასუხეს. მაშე წყარო ყოფილაო. „წ იქით მოწყეტილამეთქი, – დაასკვნა ალი ფაშამ. „გვარები არ შონახავთ. ამმა (=მაგრამ) სუ ხალხის გვარის ბოლოს გორჯი აქ და ქუჩეზნი სწერია, მაღაზიების შიშებზე (=შუშებზე) სწერია და ძრიალაც უხარიანყე, რო ქართველები ვართო“ (ჩხუბიანიშვილი 2012: 143).

ამ სიტყვას ალი-აქბარ ოჯაქემაც მიაქცია ყურადღება თავის ახალ ნაშრომში „ქართველების ლექსიკონი – ბეჰშაჰრის სოფელ გორჯიმაჰალეს მკვიდრთა დიალექტი“. იგი qarო-ს ასე განმარტავს: „ხეობა ლაჩინის მთის მიდამოებში. ქართულად ნიშნავს „წყაროს“ (ოჯაქე 1390: 96). ამავე ლექსიკონში მას განმარტებული აქვს სიტყვა sarო – წყაროს წყა-

ლი; წყალი, რომელიც ახალი გამოსულია ყანათიდან⁶⁰ (ოჯაქე 1390:81).

saro-ც შეიძლება დავუკავშიროთ „წყაროს“, მაგრამ არ არის გამო-
რიცხული, რომ ეს სიტყვა მიღებული იყოს sar-āb-დანაც (წყლის სათა-
ვე: სპარს. sar – თავი + მაზანდ. ō (<āb) – წყალი). იგივე შეიძლება
ითქვას ჰიდრონიმ sāru-rud//sāro-rud-ზე (rud – მდინარე). „ირანის
გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ეს არის ადგილობრივი წყარო,
საიდანაც გორჯიმაჰალესა და ასიაბსარის მეზობელი სოფელი ქუჭესთან
წყლით მარაგდება (ივლ 3:248).

ქართველ მკვლევართა ჯგუფმა კიდევ რამდენიმე სიტყვა მიიჩნია ქარ-
თული წარმოშობისად: nena – დედა, nānū – სიმღერა (იავნანა); nanū
– აკვნის სახეობა; ყანუ – ყანა; დედა – დედა (ჯაფარიძე...2017: 60-62),
თუმცა ეს საკითხი დამატებით კვლევასა და მეტ სიფრთხილეს მოით-
ხოვს, რადგანაც nena – „დედა“, nānū -, „იავნანა“ და nanū – „აკვანი“
მსგავსი ფორმებითა და მნიშვნელობებით დადასტურებულია არა მხოლოდ
მაზანდარანის სხვა არაქართული სოფლების, არამედ ფარსის, ისპაჰანის,
ქერმანის, ლურიტანის და ირანის სხვა ოსთანების არაქართული დასახ-
ლებების მეტყველებაშიც (აქბარფურ 1394ა: 94-95; 110-111; აქბარფურ
1394ბ: 94-95, 110-111; ფაიანდე 1375: 674-675; ალიიარი 1396: 156-
157; ესმაილი 1390: 108-111; 127; ბორჯიან 1394: 98-99, 115; სალა-
მი 1383: 86-87, 102-103; სალამი 1384: 104-105, 88-89; სალამი 1385:
82-83, 98-99; სალამი 1386: 106-107; 122-123; სალამი 1388: 116-
117, 132-133; სალამი 1390: 116-117, 132-133; შირზად-ენაიათი 1390:
159-160) ამ ლექსიკას მხოლოდ გორჯიმაჰალელი ქართველების ენობ-
რივ თავისებურებად ვერ მივიჩნევთ. მსგავსი „ცდუნება“ შეიძლება გაჩ-
ნდეს გორჯიმაჰალესა და ასიაბსარის მეზობელი ქუჭესთანის მოსახლე-
თა მეტყველებაში დადასტურებული „ძუძუ“-ს აღმნიშვნელი სიტყვის
juju-ს მიმართაც. ეს უკანასკნელი გვხვდება არა მარტო მაზანდარანის
სხვა სოფლების, არამედ ირანის სხვა ოსთანებში გავრცელებულ დიალექ-
ტებშიც (აქბარფურ 1394ა: 72-73; აქბარფურ 1394ბ: 72-73; ფაიანდე
1375: 196; იაჰაყი 1396: 176; ესმაილი 1390: 88-89; ბორჯიან 1394:
76-77; შირზად-ენაიათი 1390: 49; აზარლი 1387: 134).

60. ყანათი - (არაბ.-სპარს.) სარწყავი არხი

ალიბაბა ასქარის ნაშრომში ქ.ბეჰშაჰრის შესახებ რამდენიმე გვერდი ეთმობა იქ არსებულ ენობრივ სიტუაციას, სადაც ავტორი საერთოდ არ ახსენებს ქართულ ენას (ასქარი 1350: 262-266).

2015 წლის თებერვალში მაზანდარანის ოსთანის ადმინისტრაციულ ცენტრში – სარიში „მაზანდარანის ადგილობრივი ისტორიის“ საერთაშორისო კონფერენციაზე მოხსენებით გამოსვლისას ვახსენე „ყარო“, როგორც მაზანდარანელი ქართველების მეტყველებაში შემორჩენილი ერთადერთი სარწმუნო ქართული სიტყვა. ერთ-ერთმა დამსწრემ მიმითითა ქ.ნეჟას სიახლოვეს მდებარე სამკურნალო დანიშნულების წყაროზე, რომელსაც „ყარ-მარაზ“-ი ეწოდება. „მარაზ“ სპარსულში დამკვიდრებული არაბული სიტყვაა და „ავადმყოფობას“, „სნეულებას“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, „ყარ-მარაზი“ შეიძლება გავიგოთ, როგორც „სამკურნალო//მაცოცხლებელი წყარო“, ამ ტოპონიმში დადასტურებულ „ყარ“-ში კი ქართული „წყარო“ მოვიანხროთ.

ირანულ მასმედიასა (საინფორმაციო სააგენტოები IRNA და ISNA) და სოციალურ ქსელებში აღმოჩნდა „ყარ-მარაზის“ ხსენების რამდენიმე შემთხვევა ორგვარი დაწერილობით: قمر مرض / qar-maraz/qār-maraz. „ყარ-მარაზის“⁶¹ ანკარა წყარო“ პოეტ-ბლოგერ მეჰრან საჯუდიანის ერთ-ერთ ლექსში დაპირისპირებულია „თეირანის რკინას, ცემენტსა და მწუსარებასთან.“⁶²

გორჯიმაჰალეში, ფერიდუნშაჰრის მსგავსად, თვალშისაცემია სავაჭრო ობიექტების აბრები სპარსული და ქართული წარწერებით. მანქანებზე ქართული წარწერები კი ჯერჯერობით არ შემხვედრია.

თანამედროვე მაზანდარანელი ქართველები ისევე ეუფლებიან ქართულს, როგორც ნებისმიერი ირანელი. საქართველოში დაფუძნებული რამდენიმე მათგანი უკვე გამართულად ლაპარაკობს ქართულად.

ფერეიდნელი ქართველები, როგორც ქართული ენის დამცველები ირანში, ცდილობენ, სხვა ოსტანების ქართველობას ხელი შეუწყონ ქართული ენის შესწავლაში. მაგალითად, ფერეიდნელი ქართველი ნოურუზ

61. „ყარ-მარაზის წყარო - ნეჟაში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა“ <https://www.irna.ir/news/82874973/>; „სად არის ყარ-მარაზის წყაროს მკურნალო წყალი?“ <https://www.isna.ir/news/mazandaran-26777>

62. <http://www.adambarfiii.blogfa.com/1387/12>.

(ნუგზარ) ლაჩინანი თავისი „ქართულ-სპარსული ლექსიკონის“ ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიიჩნევს ქართულენადაკარგული თანამოდმეების დახმარებას მშობლიური ენის დაბრუნების საქმეში და ცდილობს, ლექსიკონი ქართველებით დასახლებულ სხვა რეგიონებშიც გაავრცელოს. ნ.ლაჩინანამ საკუთარი ხარჯით უკვე ორჯერ გამოსცა ეს ლექსიკონი, პირველად დოქტორ ბაჰრამ ამირაჰმადიანის, მეორედ კი პროფ. ჯ.გიუნაშვილის წინასიტყვაობით (ლაჩინანი 1386; ლაჩინანი 1394). ამჟამად მზადდება ლექსიკონის მესამე, შევსებული გამოცემა. მშობლიურენადაკარგული ირანის ქართველობა არის, აგრეთვე, ჰოსეინ მიქელანის „ქართული ენის თვითმასწავლებლის“ ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჯგუფი (მიქელანი 1395).

● მაზანდარანელ ქართველთა მუსიკალური კულტურა

მუსიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ირანის მაზანდარანის პროვინციაში მცხოვრები ქართველების ყოფაში. მაზანდარანელ ქართველთა, განსაკუთრებით, ბექშაჰრის გორჯიმაჰალეს წარმომადგენელთა მაღალი საშემსრულებლო დონე აღიარებულია მთელ ირანში. წარმატებული საკონცერტო მოღვაწეობის გარდა, მაზანდარანელ ქართველთა საქმიანობა მოიცავს ირანის ქალაქებში მათ მიერ დაარსებულ მუსიკალურ სასწავლებლებში ახალგაზრდების აღზრდასა და ხალხური ტრადიციული მუსიკის ასპექტების მეცნიერულ კვლევას, რომლის შედეგები ასახულია ცალკეულ ნაშრომებსა და პერიოდულ გამოცემებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მაზანდარანელი ქართველები ინარჩუნებენ ხალხური საკრავების დამზადების ტრადიციას.

ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში მაზანდარანელი ქართველების მუსიკალური კულტურის პოპულარიზაციისა და ქართველ კოლეგებთან მათი თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა.

აქ წარმოდგენილი ინფორმაცია ემყარება როგორც ხალხური მუსიკის შესახებ მაზანდარანელ ქართველთა მიერ შექმნილ სამეცნიერო და პოპულარულ ნაშრომებს, ასევე ამ სტრიქონების ავტორის მიერ ირანში დიპლომატიური და სამეცნიერო მივლინებებისას მოპოვებულ მასალებს.

ადგილობრივი მაზნადარანული მუსიკა, რომლის უბადლო ოსტატე-ბადაც მიიჩნევიან იქაური ქართველები, ასევე წარმოადგენს მაზნადარანული ენის სიცოცხლისუნარიანობისა თუ გადარჩენის ერთ-ერთ საშუალებას, რადგან ამ მუსიკოსთა მიერ მოძიებული ან შექმნილი სასიმღერო ტექსტებიც მაზნადარანულ ენაზეა.

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი თავის ნაშრომში დიდ ადგილს უთმობს ხალხური მუსიკის დარგში მაზნადარანელი (გორჯიმაჰალეს, ბეჰშაჰრის, ასიბასარის) ქართველების ღვაწლს და ახასიათებს მუსიკოსების ძველ და ახალ თაობებს. ამ ჩამონათვალში არიან: მოჰამად-რეზა ესჰაყი-გორჯი, მოჰამად-სადეყ ესჰაყი-გორჯი, მოჰამად-ალი თაჰერი-გორჯი, ჯომე-ალი ესჰაყი-გორჯი, რამაზან-ალი როსთამი-გორჯი, ებრაჰიმ აქბარი-გორჯი, სეიედ-ფარიდ მოსთაფანეჟადი, სეიედ ამიდ მოსთაფანეჟადი, ასყარ ქათული (ჰეიდარი-გორჯი 1389:..383-384, 387-391, 396-397, 399-400, 403).

საბედნიეროდ, წილად მხვდა გორჯიმაჰალეს ქართველების მუსიკოსთა ძველი და ახალი თაობის რამდენიმე წარმომადგენლის გაცნობისა და მათთან ურთიერთობის პატივი, რამაც გაამდიდრა ჩემი ცოდნა მაზნადარანული მუსიკისა და მისი შენარჩუნება-განვითარებაში იქაურ ქართველთა მიერ შეტანილი წვლილის შესახებ.

მოჰამად-რეზა ესჰაყი-გორჯი

დაიბადა 1947 წელს ბეჰშაჰრის სოფელ გორჯიმაჰალეში. დღესდღეობით მაზნადარანული მუსიკის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. დედა პოეტი და მომღერალი ჰყავდა, მამა – დეკლამატორი (ნაყალი). მისი ოთხივე ვაჟი მამის კვალს გაჰყვა, ხშირად ერთად მართავენ კონცერტებს. ამ კონცერტებს მეც დავსწრებივარ ბეჰშაჰრის აბასბადის ისტორიულ კომპლექსსა და თეირანის ნიავარანის კულტურის სასახლეში. მ.ესჰაყი-გორჯი ცდილობს, მომავალ თაობებს დაუტოვოს ტრადიციული სიმღერის თემატიკა და შესრულების სტილი, რომელიც თანამედროვე მომხმარებლის გემოვნებაზე ორიენტირებული ფოლკლორული ჯგუფების მომრავლების შედეგად დაკარგვის პირასაა მისული. 2014 წლის 9 აპრილს მუსიკოსი ამ საკითხებზე კრიტიკულად საუბრობს ირანის ავტო-

რიტეტულ მუსიკალურ საიტთან „მუსიციე ირან“.⁶³ მ.-რ. ესჰაყი-გორჯი თანაბრად უფრთხილდება როგორც მელიდიას, ასევე ტექსტს და ამ გზით ინარჩუნებს აღმოსავლეთ მაზანდარანის მუსიკის თვითმყოფლობას. 2018 წლის 28 თებერვალს ირანის კულტურული მემკვიდრეობის ორგანიზაციამ მოჰამად-რეზა ესჰაყი-გორჯი „კაცობრიობის ცოცხალი საგანძურის“ სიამში⁶⁴ შეიყვანა. 2014 წლის ნოემბერში გორჯიმაჰალეში მასთან სტუმრობისას ვნახეთ მისივე ხელით დამზადებული ტრადიციული საკრავები და მოვისმინეთ მოჰამად-რეზა ესჰაყი-გორჯის კამერული შესრულება; დავათვალიერეთ მისი ბოლო პროექტი: საკუთარი სახსრებით, მშობლიურ გორჯიმაჰალეში, თავისი სახლის გვერდით მუსიკალური ცენტრის მშენებლობა. ხელოვანი მთელ რაიონში ეძებდა და იძენდა ამ შენობისათვის გამოსადეგ ძველ კარ-ფანჯარას, ტრადიციული მაზანდარანული სახლების დეკორის ელემენტებს. ბოლო ინფორმაციით, შენობა უკვე აგებულია, სათანადოდ აღჭურვილია და მზადაა ექსპლუატაციისათვის. მოჰამად-რეზა ესჰაყი-გორჯი ახლაც მონაწილეობს ირანული ახალი წლისწინა ტრადიციული ნოურუზხანის (nouruzxāni) ცერემონიებში, რომელიც ახალი წლის დადგომამდე 2 კვირით ადრე იწყება: ტრადიციულ მაზანდარანულ სამოსელში გამოწყობილი რამდენიმე მუსკოს-მომღერალი დადის სოფელში და მოსახლეობას სიმღერითა და ჰანგებით ამცნობს ახალი წლისა და გაზაფხულის მოახლოებას.

მოჰამად-სადეყ ესჰაყი-გორჯი

დაიბადა 1959 წელს ბეჰშაჰრის სოფელ გორჯიმაჰალეში. თანამშრომლობდა თავის სახელოვან ბიძასთან – მოჰამად-რეზა ესჰაყი-გორჯისთან. უკრავდა დაფსა და თომბაქზე. შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა „ვანუშეს“ ფსევდონიმით, რაც მაზანდარანულად „იას“ ნიშნავს. ხელმძღვანელობდა ამავე სახელწოდების მუსიკალურ ჯგუფს, აგროვებდა და შეისწავლიდა ტრადიციულ ხალხურ საკრავებს. გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი ნაშრომი „მაზანდარანული მუსიკის სოციალური

63. <http://musicairanian.ir/52115-eshaghi.html>

64. <https://www.yjc.ir/fa/news/6468442/>

ასპექტები“ (ესპაყი მ.-ს. 1393). ბეჰშაჰის მეზობელ ქალაქ ნეჟაში მოჰამად-სადეყ ესპაყი-გორჯიმ დაარსა „ნეჟას მუსიკალური ცენტრი“, რომელსაც მამის გარდაცვალების შემდეგ უმცროსი ქალიშვილი ნაზანინი ხელმძღვანელობს. ხელოვანსა და მკვლევარს გამოუქვეყნებელი ღარჩა არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა, მათ შორის, უკანასკნელი ნაშრომში „გორჯიმაჰალე – მაზანდარანის კამეკამა ვარსკვლავი“, რომელშიც ავტორი ტრადიციული მაზანდარანული მუსიკის ღრმა ანალიზთან ერთად მშობლიური სოფლის მუსიკალურ კულტურას და მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს გვაცნობს.

2015 წლის შემოდგომის მიწურულს იგი საქართველოს ეწვია. წაიკითხა მოხსენება „ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში“, მიწვეული იყო GDC-ის სატელევიზიო არხზე,⁶⁵ საქმიანი შეხვედრები გამართა ხალხური საკრავების მუზეუმში, ილიაუნის მუსიკალური ცენტრსა და გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ირანში დაბრუნებულმა ისტორიულ სამშობლოში ყოფნის შთაბეჭდილებებიც ქალაქში გადაიტანა, მაგრამ მისი გამოცემა არ დასცალდა.

განსვენებულმა ხელოვანმა თბილისში წაკითხულ მოხსენებაში დამსწრე საზოგადოებას გააცნო რამდენიმე პასაჟი გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან „გორჯიმაჰალე – მაზანდარანის კამეკამა ვარსკვლავი“. ერთ-ერთი ქართულ თარგმანს აქვე გთავაზობთ: „...მინდა დავწერო საკუთარ წარმოშობაზე – ქართველებზე, რომლებმაც საქართველოდან მაზანდარანისკენ მიმავალი გზა შიშველი ფეხით განვლეს, ტყვეობის ღარდი და ტანჯვა აიტანეს; მხოლოდ გულისდამწველი სიმღერა და ჰანგი, რომელიც დედა-სამშობლოსთან, ოჯახთან, სახლ-კართან განშორების გამო მათ ნაღველსა და წუხილს გამოხატავდა, ტყვეობის ჟამს ჭრილობებზე საღებუნად ედებოდა და მათი დადასტოვებას სულს შვებას ჰგვრიდა.“ მოჰამად-სადეყ ესპაყი-გორჯის უდროო გარდაცვალებას 2017 წელს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ირანის მუსიკალურ საზოგადოებაში. „ია დაჭკნა“ – ასეთი იყო ერთ-ერთი სამგლოვიარო წერილის სათაური.⁶⁶

65. <https://www.youtube.com/watch?v=mLiqUt7bdY8>

66. <http://www.mazandnume.com/fullcontent/68761/>

ალი-რეზა ვალიზადე-გორჯი

დაიბადა 1976 წელს ბექშაპურის სოფელ გორჯიმაჰალეში. დასარტყამი საკრავების სპეციალისტი, მასწავლებელი და მკვლევარი. მაზანდარანის კულტურულ ჟურნალ „არმონის“ 2013-2014 წლების რამდენიმე ნომერში (NN2,3,4-5,7-8,9,10-11,12,13) გამოქვეყნებული აქვს სტატიების სერია სათაურით „მაზანდარანული მუსიკის მიმოხილვა“ (სულ 8 სტატია). დააარსა მუსიკალური სასწავლებელი ისპაჰანში, შემდგომ გადავიდა თეირანში, სადაც დღემდე ხელმძღვანელობს „ვალიზადეს მუსიკალურ სასწავლებელს“ დედაქალაქის პრესტიჟულ უბანში. 2011 წელს მონაწილეობა მიიღო ფესტივალში „ჩვენებურები“.

იასერ ნავაზანდე-გორჯი

დაიბადა 1984 წელს გორჯიმაჰალეში. ჩასაბერი საკრავების სპეციალისტი. 2011 წელს მონაწილეობდა ფესტივალში „ჩვენებურები“. 2014 წელს ირანის ყველაზე პოპულარულ ფოლკლორულ ანსამბლ „რასთაქის“ წევრის რანგში მონაწილეობა მიიღო ახალციხის მუსიკალურ ფესტივალში. ამჟამად ცხოვრობს თეირანში. თანამშრომლობს სხვადასხვა მუსიკალურ ჯგუფთან და იკვლევს მაზანდარანული მუსიკის ისტორიას.

პოსეინ-ალი ესჰაყი-გორჯი

ირანული (მაზანდარანული) ხალხური მუსიკის დაცვაში იქაურ ქართველთა მიერ შეტანილი წვლილის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია პოსეინ-ალი ესჰაყი-გორჯის (დაბ. 1973 წ.) შექმნილი ორი ნაშრომი: "დაფზე დაკვრის სახელმძღვანელო" (გამომცემლობა "ჩანგ", თეირანი, 1391) და "თომბაქზე დაკვრის სახელმძღვანელო" (გამომცემლობა "არეფ", თეირანი, 1391).

მაზანდარანელ ქართველთა მუსიკალური ნიჭისა და წარმატებების ერთ-ერთ მიზეზად მათ ქართულ წარმოშობას მიიჩნევენ. ქართველი და

ირანელი ეთნომუსიკის სპეციალისტების შესასწავლი და გასარკვევია, იძებნება თუ არა ქართული ხალხური მუსიკის რაიმე კვალი მაზანდარანულ მუსიკაში.

ხალხური საკრავების დამზადების ტრადიცია გორჯიმაჰალეში

მაზანდარანში სტუმრობის (2014 წ.) ადგილზე ვნახეთ იქაურ ქართველთა მიერ შექმნილი ხალხური საკრავები. ზემოთ ნახსენები ქართველი ხელოვანები ამ სფეროშიც გამოირჩევიან. ამავე საქმით გატაცებულნი არიან სხვა პროფესიის გორჯიმაჰალელებიც, მაგალითად, მათემატიკის მასწავლებელი **ნასროლა სიამიან-გორჯი** და მისი ძმა **ვაჰიდი**. ნასროლას სახლში დავათვალიერეთ პროფესიული იარაღ-დანადგარებით აღჭურვილი სრულფასოვანი სადურგლო, სადაც მოყვარული მუსიკოსი საკუთარი ხელით ამზადებს სხვადასხვა სახის სიმებიან საკრავს და თავადაც შესანიშნავად უკრავს. საკრავებისთვის შესაფერიის ხარისხის ხის მასალის მოსაპოვებლად იგი პერიოდულად ჩადის მეზობელ სემნანის ოსთანში და იქ არჩევს თუთის ხის მერქანს, რომელიც, მაზანდარანული ხის მასალასთან შედარებით, ნაკლებად ტენიანია.

განსვენებულმა მოჰამად-სადეყ ესჰაყი-გორჯიმ „ქართული ხალხური საკრავების მუზეუმს“ აჩუქა საკუთარი ხელით შექმნილი სპეციფიკური ხმის გამომცემი რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლებსაც მაზანდარანელი ქართველები ყოველდღიურ სამეურნეო საქმიანობაში და ნადირობისას იყენებდნენ.

ალი-რეზა ვალიზადე-გორჯის მუსიკალურ სასწავლებელში ვნახეთ მაზანდარანული ხალხური საკრავების მდიდარი კოლექცია, რომლითაც მასპინძელმა და მისმა კოლეგებმა სახელდახელო კონცერტი გაგვიმართეს.

ტრადიციული ირანული ფოლკლორული მუსიკის სფეროში ირანში მცხოვრებ ქართველთა შორის მაზანდარანელი ქართველები განსაკუთრებით გამოირჩევიან. აქვე აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს ისპაჰანის პროვინციის ქართველობამ აქტიურად და საკმაო წარმატებით დაიწყო ქართული ხალხური და თანამედროვე პოპულარული მუსიკალური ნაწარმოებების ათვისება.

● აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი – მწერალი და მკვლევარი

წინამდებარე ნაშრომში ირანის, განსაკუთრებით კი, ირანის კასპიის-პირეთის ქართული დასახლებებისადმი მიძღვნილ მონაკვეთებში ფართოდ იქნა გამოყენებული ცნობები მაზანდარანელი ქართველი მწერლის აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის გამოკვლევებიდან „ირანის ქართველების ისტორია“. ახლა კი მის პიროვნებასა და სამწერლობო საქმიანობაზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა.

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი დაიბადა სოფელ გორჯიმაჰალეში 1955 წლის 23 ნოემბერს. დაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის მანუჩქარის სახელობის სკოლაში, ხოლო საშუალო განათლება ჯერ სოფელ როსთამქოლაში, შემდეგ კი ქ.ბეჰშაჰრის საადის სახელობის სასწავლებელში მიიღო ბუნებისმეტყველების განხრით. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დამოუკიდებლად გაიღრმავა ცოდნა, გატაცებული იყო ისტორიული ლიტერატურით. ამავდროულად წამოიწყო ბიზნესი ქ.ბეჰშაჰრში. ავტობიოგრაფიაში აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი აღნიშნავს, რომ ლექსების წერა დაახლოებით 40 წლის ასაკში დაიწყო, რასაც ბიძგი მისცა ერთ ფსიქოლოგთან შემთხვევითმა შეხვედრამ და საუბარმა.

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი წერს როგორც მაზანდარანულ, ასევე სპარსულ ენებზე. რვა წლის განმავლობაში იგი პოეტური ასოციაცია „ბაჰარის“ თავმჯდომარის მოადგილე იყო. გამოქვეყნებული აქვს 3 პოეტური კრებული, სადაც შესულია მაზანდარანულ ენაზე შექმნილი ლექსები პარალელური სპარსული თარგმანით:

1. „ჩრდილი. მაზანდარანული ყაზალები“ (ჰეიდარი-გორჯი 1385ა);
2. „მწვანე ფოთოლი“ (ჰეიდარი-გორჯი 1385ბ);
3. „ბრინჯის თესვა“ (ჰეიდარი-გორჯი 1386).

მის კალამს ეკუთვნის ზემოთ არაერთგზის ხსენებული 486-გვერდიანი გამოკვლევა „ირანის ქართველების ისტორია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389). ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალური ექსკურსების გარდა, რომლის მთავარი თემატია ქართველების ჩასახლება მაზანდარანში, ამჟამად არსებული ქართული დასახლებები ამ ოსთანსა და ირანის სხვა რეგიონებში. ავტორი დეტალურად აღწერს უშუალოდ გორჯიმაჰალეს

ახალ ისტორიას, მათ შორის, ლექსადაც სპარსულ ენაზე (ჰეიდარი-გორჯი 1389: 165-198).

სწორედ ამ ლექსების წყალობით აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის სახელი ერთდროულად გამოჩნდა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში. იხ.: „ქართველთა დასახლება მაზანდარანში (ჯაფარიძე...2008:70-73) და „ახალი ინფორმაცია ირანელი ქართველების შესახებ (ქართველები მაზანდარანში)“ (ნახუცრიშვილი 2008:100-103). ამ პუბლიკაციებში განხილული იყო გორჯიმაჰალელი მეცნიერის, თავისუფალი ისლამური უნივერსიტეტის სარის ფილიალის ლექტორის ალი-აქბარ ოჯაქეს ნაშრომი „სოფელ გორჯიმაჰალეს ისტორია“ (ოჯაქე 1382). საქმე ის გახლავთ, რომ ა.ოჯაქემ შეიდი წლით დაასწრო ავტორს – ა. ჰეიდარი-გორჯის – მშობლიური გორჯიმაჰალეს ისტორიის თემაზე შეთხზული მისი სპარსულენოვანი ლექსების გამოქვეყნება (ოჯაქე 1382: 25-56). აღსანიშნავია, რომ ამ წინდაუხედავი ნაბიჯის გამო სოციალურ ქსელებში ა.ოჯაქეს არაერთი მაზანდარანელი ქართველი აკრიტიკებდა.

ა.ჰეიდარი-გორჯი ავტობიოგრაფიაში შენიშნავს, რომ ხელნაწერის სახით ან გამოსაცემად გამზადებული აქვს კიდევ რამდენიმე ნაშრომი:

1. „გამონათქვამები, ნააზრევი, განსჯა“ 2 წიგნად;
2. „აზრები და გამონათქვამები“;
3. სპარსულ ენაზე შეთხზული ლექსები 2 წიგნად;
4. მასნავი „ალი და გოლი“ მაზანდარანულ ენაზე;
5. მოთხრობები მაზანდარანულ ენაზე;
6. „მაზანდარანული ცივილიზაციის ისტორია“;
7. „მაზანდარანის ისტორია ყმაწვილთათვის“ 3 წიგნად. (ჰეიდარი-გორჯი 1389: 387).

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯი მაზანდარანში აღიარებული პოეტიკა, რასაც ბეჰშაჰარის პოეზიის ასოციაციის ხელმძღვანელის, ჰასან-ყოლი დაბაყიან-ნეჰამის შეფასებაც ადასტურებს. - ა.ჰეიდარი-გორჯის ლექსების კრებულის („ჩრდილი“) წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს, რომ პოეტს დიდი წვლილი მიუძღვის თაბარული (მაზანდარანული – ნ.ნ.) ყაზალების განვითარების საქმეში და, ამასთან, არაერთ თემას ეხება: „ზოგჯერ მასთან ერთად შეიძლება ჩაუღრმავდეთ ამ ძველი მხარის ისტორიას, ზოგჯერ კი მის ლექსებში შეიძლება აღმოვაჩინოთ თანამედროვეთა ყოფის კვალი. თუ ერთგან იგი ამ მხარის მშვენიერი ბუნებისა და მგზნებარე

კილოს დაუფასებლობის გამო მოთქვამს, მეორეგან საამური ჰავისა და მორაკრაკე ნაკალულთან მოცეკვავე ხეების ხილვით მთვრალი იცინის“ (ჰეიდარი-გორჯი 1385ა: 7-8).

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი საინტერესო ფაქტი: 2014 წლის 22 აგვისტოს რამდენიმე ირანულმა საინფორმაციო სააგენტომ დააანონსა პოეტ ჰანიფ ხორშიდის მიერ აშრაფის (ქ.ბეჰშაჰრის ძველი სახელწოდება – ნ.ნ.) პოეტების ანთოლოგიის გამოცემის სამზადისი. ანთოლოგია მოიცავს პერიოდს ყაჯარების ეპოქიდან დღემდე. შემდგენელმა ამ კრებულში აბოლოლი ჰეიდარი-გორჯის შემოქმედებაც შეიტანა.⁶⁷

სოციალურ ქსელებში პოეტის მიმართ მაზანდარანელი ქართველებიც დიდ სიძაბოებს გამოხატავენ: „მისი ფასეული ლექსები და წიგნები სარგებლობენ მეცნიერების, ხელოვნებისა და ისტორიის მიმდევართა გამორჩეული სიყვარულით. მისი თქმით, „ირანის ქართველების ისტორიის“ მასალებს 15 წლის მანძილზე აგროვებდა.“⁶⁸

აბოლოლი ჰეიდარი-გორჯი თავის პოეტურ შემოქმედებაში თითქმის ყველა მაზანდარანულ სალექსო ფორმას (დუბეითი, რობაი, ყაზალი, მასნავი, „ახალი ლექსი“, მინიმალისტური ლექსები და სხვ.) იყენებს (ბადი 1391: 12-24). ამ მაზანდარანელი მწერლის თხზულებების ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს აქ არ შეეუდგები, მხოლოდ მათ თემატურ მხარეზე გავამახვილებ ყურადღებას.

ა.ჰეიდარი-გორჯის პოეზიაში წარმოდგენილია როგორც მაზანდარანული ლექსის ტრადიციული, ასევე დღევანდელი სათვის საჭირობო-თო თემატიკა (ბადი 1391: 24-43). ჭარბობს რამდენიმე თემა:

ა) **რელიგიური ხასიათის ლექსები** ეძღვნება წინასწარმეტყველ მუჰამადს, შიიტ იმამებს, წმინდა ფატიმას, მუსლიმურ დღესასწაულებს – აშურას და ყადირს და ა.შ. დავიმოწმებ რამდენიმე ნიმუშს.

წინასწარმეტყველი მუჰამადის სახე ასეა დახატული:

„მისმა მზისებრმა სახემ მთელ მსოფლიოს ნათელი უწყალობა,
მისმა უკვდავმა, უჭკნობმა და დიადმა სახელმა მთელი სამყარო მოიცვა...
ღმერთს ვფიცავ, მისი წიგნი ყველა წიგნზე უპირატესია,

67. <http://aryanews.com>

68. <http://gorjimahale2013>

ამ წიგნის ჯადოსნური ხმა მთელ სამყაროს მოეფინება...
თუ მისი სჯულის კანონი კარგად აღსრულდება,
სამართლიანობა სამუდამოდ იარსებებს
და უცოდველს თვალთაგან ცრემლი აღარასდროს დასდინდება.“
(ჰეიდარი-გორჯი 1385ა: 9-12).

დილის ლოცვის სურათს პოეტი ამგვარად აღწერს:
„ისმის აზანი და მამლის ყივილი,
ყურანის იღუმალი ხმა ეფინება ქუჩებს.
დილის ცვარი ვარდს პირს ბანს.
ილოცე, რწმენა რომ დამკვიდრდეს.“
(ჰეიდარი-გორჯი 1385ბ: 66-67).

ლექსში „იმამ ჰასან მოჯთაბას დაბადება“ ა.ჰეიდარი-გორჯი წერს:
„სამახარებლო გაეცით, იმხიარულეთ -
ჩვენი გულის დამამშვიდებელი მოდის,
სამყარო განათდა, ეპოქის მშვენება მოდის.
ცის შუბლის კოპები უკვე გაიხსნა,
ველ-მინდვრები ამწვანდა, ზამთარში გაზაფხული მოვიდა.
ჯაბრაილმა გვახარა და გვითხრა: მომილოცავს,
მოდის მეორე იმამი ჰასანი, ღვთიებოძებული საჩუქარი...
არ ღირს ეს სამყარო იმამ ჰასანის თმის ერთ ღერად.
მზემ და მთვარემ დაიმორცხვეს იმამ ჰასანის სახის მშვენიერების წინაშე.“
(ჰეიდარი-გორჯი 1386: 30-31).

ბ) **პატრიოტული თემა.** პოეტი თანაბარი გრძნობით გამოხატავს სიყვარულსა და ერთგულებას როგორც დიდი სამშობლოს – ირანისადმი, ასევე, მშობლიური მხარის, ქალაქისა და სოფლის (მაზანდარანი, ქ. ბეჰშაჰრი, სოფელი გორჯიმაჰალე) მიმართაც:

„ცა უეცრად თუ ჩამოხნელდება,
თუ ღამე იმედის ვარსკვლავს წაგართმევს,
შენთვის სისხლს დავღვრი და მოვკვდები,
მაგრამ შენი მიწის ნამცეცსაც არ დავუთმო მტრებს.“
(ჰეიდარი-გორჯი 1385ბ:6-7).

„ბეჭშაპრი მაზანდარანის თვალია,
გულშიჩამწვდომი სილამაზე აქვს,
მისი აბასაბადის პარკი და ბაყმაპი შეუდარებელია,
მაზანდარანის ყველა ქალაქი სამოთხესავით ლამაზია,
მაზანდარანი ირანის ბეჭდის თვალია.“
(ჰეიდარი-გორჯი 1386: 176-177).

„შეხედეთ მთვარიან ღამეს,
მაზანდარანის ყვავილთა სურნელი შეიგრძენით.
შელამებულზე მთვრალი ბუღბული მღერის,
მოდით და ნახეთ ეს მოუბარი ჩიტი.“
(ჰეიდარი-გორჯი 1385ბ:46-47).

პოეტი არც ბეჭშაპრის სახელოვან გმირებს ივიწყებს:
„ბეჭშაპრს ბევრი გმირი ჰყავდა.
მათი სახელები სამუდამოდ დარჩა ისტორიაში.
ბეჭშაპრის სოფელ გორჯიმაჰალეს ბევრი ხელოვანი ჰყავს,
გორჯი (ანუ თავად პოეტი – ნ.ნ.) ტკბილად ამბობს ლექსს ადგილობრივ
კილოზე.“
(ჰეიდარი-გორჯი 1386:88-93).

გ) ა.ჰეიდარი-გორჯის პატრიოტული ლექსების ერთი ნაწილი მა-
ზანდარანის **ეკოლოგიას** ეხება. ეკოლოგიაში იგულისხმება როგორც
„**ბუნების ეკოლოგია**“, ისევე „**ენის ეკოლოგია**“. პოეტი გულისტკივი-
ლით წერს მაზანდარანის ტყეების უმოწყალო ჭრაზე:

„მაზანდარანო, სამოთხესავით ლამაზი ხარ,
...ამ ტყის ანკარა წყაროც აქაურობას ტოვებს...
...არ გენანება, ამ ხეებს რომ ჭრი უმიზეზოდ?
გაზაფხულის ჰაერი და საწვიმარი ღრუბელიც აქაურობას ტოვებს.“
(ჰეიდარი-გორჯი 1386: 50-55).

პოეტის კიდევ ერთი დიდი სატკივარი მაზანდარანული ენის გამოყენების არეალის შემცირება და ამ ენის თანდათანობითი კვდომაა. ერთი მხრივ, მაზანდარანულ ენათმეცნიერებს იმის მტკიცება უხდებათ, რომ მაზანდარანული დამოუკიდებელი ენაა და არა სპარსული ენის დიალექტი ან კილო, რისი ნიმუშიცაა ჰასან ბაშირნეჟადის ნაშრომი „მაზანდარანული – დიალექტი, კილო თუ ენა?“ (ბაშირნეჟად 1391), მეორე მხრივ კი, ეძებენ ამ ენობრივი ფენომენის გადარჩენის გზებს. ერთ ასეთ მაგალითად დავასახელებ მოჰამად-სალეჰ ზაქერის სამ ბროშურად გამოცემულ ნაშრომს საერთო სათაურით „მაზანდარანული ენის მომავალი“. პირველი ბროშურის ქვესათაურია „საფრთხის ნიშნები“, მეორისა – „შედეგები და წარმოდგენები“, მესამისა კი – „ხსნის გზები“ (ზაქერი 1391ა; ზაქერი 1391ბ; ზაქერი 1391გ).

ზოგადად, მცირე ენებისა და დიალექტების გაქრობისა და კონკრეტულად მაზანდარანული ენის წინაშე მდგარი პრობლემების განხილვას აქ არ შეეკუდგები, მაგრამ აუცილებლად აღვნიშნავ, რომ არალინგვისტი ა.ჰეიდარი-გორჯი კარგად ერკვევა არსებულ ვითარებაში და მას პოეტური ფორმითაც აღეკვატურად ასახავს. დავძენ, რომ მაზანდარანულ ქართულებს ისედაც უკვე დაკარგული აქვთ წინაპრების ენა – ქართული. მათ მხოლოდ გადმოცემით იციან, რომ ზოგიერთის დიდი ბებია თუ პაპა ჯერ კიდევ ფლობდა ქართულს; კარგად აქვთ გააზრებული, რომ ამ ეტაპზე მათთვის მშობლიური, გასაფრთხილებელი და დასაცავი ენა უკვე მაზანდარანულია. ლექსში „საუბარი“ ა.ჰეიდარი-გორჯიც ამ პათოსით მიმართავს ყველა მაზანდარანელს:

„ძმავ, მითხარი, რატომ არ საუბრობ მაზანდარანულად?
შენს ბავშვებს რატომ არ ასწავლი ამ ენას?
...სარის, ბეჰშაჰრის, ამოლისა და ბაბოლის მცხოვრებნო,
ერთმანეთს ადგილობრივ (ანუ მაზანდარანულ – ნ.ნ.) კილოზე ესაუბრეთ!“

(ჰეიდარი-გორჯი 1386: 104-109).

ნოსტალგიით გამსჭვალულ ლექსში „ახლა სადღაა?“ პოეტი მშობლიური ენისა და ადათ-წესების გაქრობაზე ჩივის:

„ახლა სადღაა ძველი ადათები?
ახლა სადღაა თაბარული დახვეწილი სიტყვა-პასუხი?“
(ჰეიდარი-გორჯი 1386: 94-97).

მოჰამად-სალეჰ ზაქერი მაზანდარანულ ლექსს „მაზანდარანული ენის გადარჩენის გარანტს“ უწოდებს (ზაქერი 1391დ: 41-42). აბდოლალი ჰეიდარი-გორჯიც ხვდება, რომ მშობლიური ენის გადარჩენის ერთ-ერთი გზა მაზანდარანულად ლექსების წერაა:

„ტკბილმოუბარო გორჯი, წერე ყაზალი, ვიდრე ცოცხალი ხარ.
თაბარული საფუძველი დაუღე ყაზალს, რომ სამუდამოდ დამკვიდრდეს და დარჩეს.“
(ჰეიდარი-გორჯი 1385ა:114-116).

ადგილობრივი მაზანდარანული მუსიკაც, რომლის უბადლო ოსტატებაც მიიჩნევიან იქაური ქართველები, მაზანდარანული ენის გადარჩენისა თუ არსებობის გახანგრძლივების კიდეც ერთ საშუალებას წარმოადგენს, რადგან თავად ამ მუსიკოსების შექმნილი ან მათ მიერ ხალხში შეკრებილი სასიმღერო ტექსტებიც მაზანდარანულ ენაზეა.

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ლექსების ერთი ნაწილი რიგითი ადამიანის, მაზანდარანელი მიწათმოქმედის ყოფით პრობლემებს ეხება. მაგალითად, ლექსში „1375 წელი“ პოეტი 1996 წლის გვალვაზე, მოუსავლიანობასა და ბრინჯის მომყვანი გლეხების გაჭირვებაზე საუბრობს და არ ერიდება მთავრობის კრიტიკას სასუქის გაძვირებისა და ბრინჯის იმპორტის გამო:

„ტაილანდიდან და ბულგარეთიდან შემოიტანეს ბრინჯი,
რამდენიმე გემი ჩამოღვა ნავსადგურში.
მთავრობა და ბაზარი ერთმანეთს შეეკვრნენ.
ქანცაწვევტილ გლეხს დასაყრდენი არ დარჩა.“
(ჰეიდარი-გორჯი 1386: 61-65).

საგანგებოდ უნდა შევჩერდე აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ლირიკაზე, განსაკუთრებით მის ღებუთებზე და მინიმალისტურ ლექსზე (asā šē'r). მისი პოეტური ოსტატობის საილუსტრაციოდ ერთი მაგალითიც იკმარებს:

„ლამის
ნაწნავი
დილამ
ნიაგს მიაბარა.“

(ჰეიდარი-გორჯი1385ბ:111).

ზემოთ აღინიშნა, რომ აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ლექსები, რომლებიც სოფელ გორჯიმაჰალეს ისტორიას (იქ ქართველთა გადასახლებაამდე და მის შემდგომ) ეხება, შესულია მის ვრცელ გამოკვლევაში „ირანის ქართველების ისტორია“. ავტორისავე თქმით, ეს ლექსები მისი პირველი პოეტური მცდელობებია და შექმნილია 1375 (1996-97) წელს „მასნავის ფორმითა და ფირდოუსის „შაჰნამეს“ საზომით“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:166). ეს 11 ლექსი მოქცეულია გამოკვლევის ცალკე თავში „სოფელ გორჯიმაჰალეს წარმოდგენა ლექსის ენით“ და ორგანულად ჯდება წიგნის მთლიან ქარგაში. ლექსების სათაურებია: „ღვთის სადიდებლად“, „ბეჰშაჰრისა და სოფელ გორჯიმაჰალეს აღწერა“, „ყირგიზების თავდასხმა სოფელ გორჯიმაჰალეზე“, „ლაჩინის მთისა და ზაფართაფეს აღწერა“, „მირის ციხის აგება“, „თემურის თავდასხმა მაზანდარანსა და სოფელ ფახრიზე (გორჯიმაჰალეს ადრეული დასახელება – ნ.ნ.)“, „სეფიანთა ხანა – ქართველთა გადასახლება ირანში“, „ყაჯართა ხანა“, „ერთი ლექსის კრიტიკა“, „ქართველთა ომი ყარათაფეს მაცხოვრებლებთან“, „ქართველთა დასაქმება სოფლის მეურნეობით“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:165-198). ამ პოეტური ნიმუშების პ.ჯაფარიძის მიერ თარგმნილი ერთი ნაწილი შესულია მაზანდარანელი ქართველების შესახებ კოლექტიურ ნაშრომში (ჯაფარიძე...2017:22-24).

ცალკე უნდა გამოიყოს აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის ლექსები, რომელიც მან საქართველოში მოგზაურობის შემდეგ მიუძღვნა თავისი წინაპრების სამშობლოს და საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს. 2014 წლის ნოემბერში ქ.ბეჰშაჰრში ა.ჰეიდარი-გორჯისთან სტუმრობისას მასპინძელმა წაგვიკითხა ეს ლექსები და მათი ასლებიც იქვე გადმოგვცა. რამდენადაც ვიცი, ჯერ დედნის (სპარსულ) ენაზე ისინი არ გამოქვეყნებულა. 2015 წლის ნოემბერში „ქართული ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში“ თბილისში მაზანდარანელ ქართველ ეთნომუ-

სიკოს მოჰამად-სადეყ ესჰაყი-გორჯისთან შეხვედრაზე ნაჩვენები იყო ვიდეო, სადაც ავტორი – ა.ჰეიდარი-გორჯი კითხულობს საკუთარ ლექსებს. ცნობილმა ქართველმა აღმოსავლეთმცოდნემ, პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჯანიძემ ქართულად თარგმნა ეს ლექსები. მთარგმნელის კეთილი ნებით, ეს თარგმანი პირველად ქვეყნდება:

საქართველო

საქართველო, ლექსებით სავსე ხურჯინით მოველ,
შენთან შეყრისთვის დავთმობ სულს და სიცოცხლეს ყოველს,
წმინდა წინასწარმეტყველნი და წრფელი კეთილნი –
ყველანი შენი ღმერთის თანამესიტყვედ ვპოვე.

მარადისია სახელი შენი, ლამაზო მიწავ,
ავი თვალისგან სიყვარულის სამოსი გიცავს.

წმინდა მიწო, სიყვარულით უხმობ ქვეყანას,
ეს გული შენი გაცნობის დარდით გადამელალა.

იმდენი ქება მესმა შენი მშვენიერების,
გული მაქვს შენი მიჯნურობით განახელები.

გაგვაცალკევა ისტორიის ქარტეხილებმა,
აღთქმით მიგვიღე შვილნი შენნი კვლავაც შვილებად.

ო, საქართველო, ოთხას წელზე მეტი გავიდა,
რომ დაგვეკოცნა ლაწვ-ბაგენი შენთვის თავიდან.

წმინდა მიწო, სული ჩემი შენ გენაცვალოს,
სულს წამიერად დავლევ შენთვის, ჩემო ტაძარო!

როცა შენს სახელს ვწერ რვეულში სხვაგვარი გზებით,
სამიჯნურო ლექსს შენი ტრფობით ესხმება ფრთები.

სიხარბის ხელმა დაგიღალა გული ღრეობით,
ამოგვამტვრია შენგან როგორც ხისგან რტოები.

სულზე ტკბილი ხარ ისტორიით დაუღალავი,
მუდამ ამაყად ფრიალებდეს შენი ალაში.

შორს იყოს შენგან ღამესავით წკვარამი ჟამი,
გულს შენი ტრფობის ტალღა მიფლეთს ყოველი წამით.

აწ, მიჯნურვით მიხმე შენთან შვილი დაღლილი
სულით და გულით გავიგონე შენი ძახილი.

შენს სამსხვერპლოზე მომაქვს რაც მაქვს, ღრუბელი თვალთა,
ცრემლის წვიმა მდის, დამაფარე წყალობის კალთა!

ილია მეორე

შენთან შეხვედრის საიდუმლოს როს ჩავწვდი, მაშინ
ტრფობაც ვიხილე მაგ შენს წმინდა გამოხედვაში.

შენი თვალების ნათელს, ვით მთვარეს, გულის ღამეთა მტეხავს,
ცამ უთხრა: ყოველ დილით მოდი, შენ ჩემი მზე ხარ!

გზით ჩამოღლილი მოგივედი, რომ მეთქვა ამბად,
შენთან სიშორემ რანაირი წამებით მთანგა.

კეთილო, კაცო, ყოვლად წმინდავ, დიდო ილია,
ეს ერთი ვარდი შენს წალკოტში დაკრეფილია!

ვით იაკობი, შორს ჩამოვრჩი მაგ კეთილ მზერას,
მაგ სიყვარულით ღარც ხვენილი ვერ ვამბობ ვერას.

შენი უსაზღვრო მადლის სიტყვებში გამითბო ხორცი,
ჩემი სამშობლოს წმინდა მიწას გზნებით რომ ვკოცნი.

შენმა ნათელმა გამითბო სულის წიბო ყოველი
უეჭველობად მიქმნა ეჭვი, დარდის მთოველი.

ირანელი ვარ, საქართველოს მშობლობით ვხარობ,
ორივე სამშობლოს თავს შევწირავ მე უყოყმანოდ!

აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის სამეცნიერო მოღვაწეობა ჯერჯერობით მხოლოდ „ირანის ქართველების ისტორიით“ შემოიფარგლება, რომლის დიდი ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, ეხება ირანში ქართველების ჩასახლების ისტორიას და ირანის სხვადასხვა ოსტანში დღეს არსებულ ქართულ დასახლებებს (ჰეიდარი-გორჯი 1389:330-380), რომელთაგანაც ავტორი მეტ ყურადღებას უთმობს მშობლიურ სოფელს – გორჯიმაჰალეს, მის ახალ და უახლეს ისტორიას. გაცილებით ფართოდ, ვიდრე ეს ალი-აქბარ ოჯაქემ გააკეთა (ოჯაქე 1382: 57-70), წარმოდგენილია მეოცე საუკუნის დასაწყისის მაზანდარანელი ქართველის მოჰამად ჯაბეს თავგადასავალი, რომელიც ხან საკუთარი რაზმით და ხან ინდივიდუალურად ებრძოდა როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, ისე მაზანდარანში დისლოცირებული რუსი კაზაკების შენაერთებს. ა.ჰეიდარი-გორჯი მოჰამად ჯაბეს „თავისუფალ და მამაც ქართველ აიარად“ მოიხსენიებს (ჰეიდარი-გორჯი 1389: 205-256). ეს პერსონაჟი ჰგავს ქართველ სახალხო გმირს – არსენა ოძელაშვილს. ავტორი დაწვრილებით გვიამბობს მოჰამად ჯაბეს ისტორიას, თხრობაში ურთავს მის შესახებ ხალხში გავრცელებულ ლექსებს მაზანდარანულ ენაზე და იქვე გვთავაზობს მათ სპარსულ პროზაულ ან პოეტურ თარგმანს. აღსანიშნავია, რომ ა.ჰეიდარი-გორჯის ნაშრომის გამოცემიდან 3 წლის შემდეგ „ყუმის სასულიერო აკადემიის ისლამური პროპაგანდის ოფისის საგამომცემლო ცენტრმა“ დაბეჭდა ასევე გორჯიმაჰალეში დაბადებული და ამჟამად ქ. ყუმში მცხოვრები ალი-აქბარ ქაზემი-გორჯის რომანი „ველური ზღმარტლი (მოჰამად ჯაბე – დაუღალავი მეომარი)“. რომანის შესავალში ავტორი წერს: „ეს რომანი დაიწერა მაზანდარანის

ოსთანის სახელოვანი პოეტის აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის წახალისებით, მოჰამად ჯაბეს პიროვნების შესახებ თოთხმეტწლიანი კვლევის შედეგად, მაღლობას ვუხდი ამ დიდებულ ადამიანს გარჯისა და სულიერი მხარდაჭერისთვის“ (ქაზემი-გორჯი 1392)”. რომანის მხატვრულ ღირსებებს აქ არ განვიხილავ. რამდენადაც ამ თხზულებაში თხრობის თანმიმდევრობა სრულად ემთხვევა ა.ჰეიდარი-გორჯის მიერ ნაამბობ მოჰამად ჯაბეს ისტორიაში მოვლენების განვითარების მიმდევრობას, საფიქრებელია, რომ ა.ქაზემი-გორჯი ამ რომანის წერისას ეყრდნობოდა ა.ჰეიდარი-გორჯის ხელნაწერებსა და სამი წლით ადრე გამოქვეყნებულ მის გამოკვლევას, ასევე, ა.ოჯაქეს ნაშრომში შესულ მასალას.

ქართული წარმოშობის ცნობილ მაზანდარანელ მწერლებს, მეცნიერებსა და მუსიკოსებს ა. ჰეიდარი-გორჯი ცალკე თავს უთმობს (ჰეიდარი-გორჯი 1389:381-412). ვფიქრობ, ამ ნაშრომის ორიგინალური ნაწილები და ვრცელი ბიბლიოგრაფია სპარსულ ენაზე (ჰეიდარი-გორჯი 1389:453-456) ქართველ მეცნიერთა ყურადღებას დაიმსახურებს. ზოგადად, აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის შემოქმედების ღრმა, კრიტიკული შესწავლა საინტერესო მასალას მოგვცემს ირანის ქართული თემის, განსაკუთრებით, მაზანდარანელი ქართველების ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების კომპლექსური მეცნიერული გაშუქებისთვის.

გოლესთანის და გილანის ოსთანების ქართული დასახლებები

● გოლესთანის ოსთანი

სოფ. გორჯიმაჰალე (Gorji-mahalle)

„ეს სოფელი გორგანის შაჰრესთანის საზღვარსა და ქორდქუის შორის, ქორდქუიდან აღმოსავლეთით 10 კმ.-ზე და გორგანის შაჰრესთანთან 17 კმ.-ზე, თეირან-მეშჰედის საერთაშორისო ტრასაზე მდებარეობს... დაახლოებით ერთი საუკუნის წინათ იასაყის გორასთან [ქართველები] ბინადრობდნენ. ვინაიდან კარგი გეოგრაფიული მდებარეობა არ გააჩნდათ, ახალ ადგილზე გადასახლდნენ. ამის გამო ზოგიერთი მათგანი სოფელ დანგელანში გადავიდა, რომელსაც უფრო დიდი ისტორია ჰქონდა. [ახლა] სოფელ დანგელანში რამდენიმე კომლი ცხოვრობს, ყველა მათგანის გვა-

რია „გორჯი“. მცირე ნაწილი კიდეც სხვა მეზობელ სოფლებში გადასახლდა. აი, გვარები, რომლებიც სოფელ გორჯიმაჰალეში ცხოვრობენ და რამდენიმე საუკუნის ისტორია აქვთ: ებრაჰიმფურ, ხალილი, ჩირუზქუ-ჰი, დარზი, სადეყინეჟად...ამჟამად იქ 730 მოსახლე (120 კომლი) ცხოვრობს“ (ჰეიდარი-გორჯი 1389: 349-350).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ თანახმად, „ეს არის გორგანის შაჰრესთანის ქორდქუის ბახშის სადან-როსთაყის დეჰესთანის სოფელი. 11 კმ.-ზე ქორდქუის აღმოსავლეთით. 180 მცხოვრები. შიიტი. ენა – მაზანდარანული, სპარსული“ (იგლ 3:253).

ქვეყნის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, სოფელი გორჯიმაჰალე შედის გოლესთანის ოსთანის ქორდქუის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის აღმოსავლეთ სადან-როსთაყის დეჰესთანში. 2016 წლის აღწერის მონაცემებით, იქ 598 მოსახლეა (211 კომლი).

ქართველ მკვლევართა ჯგუფმა 2014 წელს მოინახულა ეს დასახლება. მათი ცნობით, „სოფლის გამგებელთან და მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, რომ ამ სოფელში სრულიად დაკარგულია ისტორიული მეხსიერება, აღარ არის გვარში გორჯი (ქართველი) ელემენტი შენარჩუნებული. როგორც ჩანს, აქაურმა ქართველებმა სრული ასიმილაცია განიცადეს მაზანდარანის ადგილობრივ მოსახლეობასთან“ (ჯაფარიძე... 2017:17-18).

სოფ. დანგელანი (Dangelān)

„სოფელი დანგელანი მდებარეობს ქალაქ ქორდქუის აღმოსავლეთით 13 კმ.-ზე, ქორდქუის შაჰრესთანსა და გოლესთანის ოსთანის ცენტრს (ქ.გორგანი – ნ.ნ.) შორის. ამ სოფლის ხნოვანება დაახლოებით 600 წელია... ამ სოფელში ბევრი ტომია ჩასახლებული. ქართველი მიგრანტები სხვა ტომელებზე მეტნი იყვნენ და ახლაც ასეა. სასოფლო გადაწყვეტილებების მიღებისას ქართველები ავტორიტეტით სარგებლობენ და ერევიან საქმეებში. ქართველები ასევე ცნობილი არიან შეუვალობით. თავისი უფლებების დაცვაში ძალიან მედგარი არიან. დანგელანის ყველა ქართველი მიგრანტი გვარად მხოლოდ „გორჯია“ (ჰეიდარი-გორჯი 1389: 350-354).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“: „Dangalān – გორგანის შაჰრესთანის ქორდქუის ბახშის სადან-როსთაყის დეჰესთანის სოფელი. 12 კმ ქორდქუის აღმოსავლეთით. 1100 მცხოვრები. შიიტი. ენა – მა-

ზანდარანული, სპარსული (იგლ 3:123). დღეს ოფიციალურად ჰქვია დანგელან-ხაჯე (Dangelān Xāje). 2016 წლის აღწერის მონაცემებით, მისი მოსახლეობა 2601 კაცს შეადგენს (860 კომლი).

● გილანის ოსთანი

მაზანდარანის ოსთანთან შედარებით, გილანის ოსთანში ქართული დასახლებების შესახებ ინფორმაცია გაცილებით მწირია, რადგან სპეციალური კვლევა ამ მიმართულებით ჯერ არ ჩატარებულა. გილანში ქართული კვალის ძიება, სავარაუდოდ, უფრო მეტ დასახლებას გამოავლენს, სადაც ცხოვრობდნენ ან ახლაც ცხოვრობენ მშობლიურენადაკარგული ქართველები. 2018 წლიდან გილანის უნივერსიტეტის გილან-მცოდნეობის კვლევით ცენტრთან დამყარებული კავშირებისა და 2019 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გილანის უნივერსიტეტს შორის ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის წყალობით, გაჩნდა ირანულ კოლეგებთან ერთად კვლევების ჩატარების პერსპექტივა. 2020 წელს კოვიდ-19-ის პანდემიამ დროებით შეაფერხა უკვე შემუშავებული ერთობლივი პროექტის („ქართველები გილანში“) განხორციელება. იმედია, უახლოეს მომავალში შევძლებთ დაწყებული საქმის გაგრძელებას.

სოფ. გორჯანსუ (Gorjānsu)

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ეს არის ლაჰიჯანის შაჰრესთანის რუდსარის ბახშის ეშქევარე ბალას დეჰესთანის პატარა სოფელი. მდებარეობს რუდსარიდან სამხრეთით 50 კმ.-ზე. სიფოლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 14 კმ.-ზე. 41 მოსახლეა. (იგლ 2:252). აქ გავრცელებული ენების შესახებ ლექსიკონი ცნობას არ იძლევა. ამ ინფორმაციის მოკლე ვერსია პროფ.მ.თოლუას ბარათზე გადაუტანია.

სოფ. გარჯეფოშთი (Garje-pošt)

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ეს გახლავთ ლაჰიჯანის შაჰრესთანის რუდსარის ბახშის გარეუბნის დეჰესთანის სოფელი. მდებარეობს რუდსარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 1 კმ.-ზე. 308 მოსახ-

ლე, შიიტები. ენა – გილანური, სპარსული (იგლ 2:252). შესაძლოა, ეს იყოს იგივე „გორჯიე“, რომელსაც პროფ.მ.თოდუა გორჯანსუს სიახლოვეს ვარაუდობს. არც ის არის გამორიცხული, რომ გორჯე-ფოშთი იგივე რუდსარის გორჯე-მაჰალე იყოს, რომელიც მოცემულია ჰოსეინ ფაფოლი-იაზდის ლექსიკონში (ფაფოლი 1367: 481).

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ამჟამად ეს დასახელება ხმოვანდება როგორც „ქორჯეფოშთ“ (Korje-pošt), რაც გარკვევით იკითხება კიდევ ინტერნეტსაიტებზე განთავსებულ, საგზაო აბრების ამსახველ ფოტოებზე.⁶⁹ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორივე გახმოვანება – „გარჯე-ფოშთ“ და „ქორჯეფოშთ“ ისტორიული, უკვე მნიშვნელობადაკარგული „გორჯე-ფოშთის“ ახლებურად გადააზრების მცდელობაა.

რუდსარის ყასემაბადი Qāsemābād-e Rudsar

„ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონი“ იცნობს ორ ყასემაბადს – ქვემოთა (Qāsemābād-e pāyin) და ზემოს (Qāsemābād-e bālā).

დიდი ალბათობით, ქართული ყასემაბადი, რომელიც მთელ რეგიონში განთქმულია გამორჩეული სამოსლითა და კულტურული თავისებურებებით, ქვემო ყასემაბადი უნდა იყოს:

ყასემაბადე ფაინ – სოფელი ლაჰიჯანის შაჰრესთანის რუდსარის ბასშის სიაჰქალურუდის დეჰესთანის სოფელი. რუდსარის სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 კმ.-ზე. რუდსარ-შაჰსავარის გზის სიახლოვეს. 800 მოსახლე, შიიტები. ენა – გილანური, სპარსული. „...ამ ადგილის აბრეშუმის „ჩადორ-შაბ“-ი (ქსოვილის სახეობა, რომელიც ლოგინის გამოსახვევად ან საწოლის გადასაფარებლად გამოიყენება – ნ.ნ.) კარგადაა ცნობილი“ (იგლ 2:205).

ყასემაბადის ქართველთა გამორჩეულ ჩაცმულობაზე ყურადღებას ამახვილებს ქართველი ხელოვნებათმცოდნე ანგელინა გრიგოლია სტატიის „ყასემაბადელი ქართველები“ (გრიგოლია 1971): „მაზანდარანისა და გილანის რაიონები გადაურჩა მრავალრიცხოვან შემოსევას, რაც ხშირად ხდებოდა ირანის მთიანეთში წარსულში. აი, რატომ არის, რომ ძველებური წეს-ჩვეულებები იმ მხარეში უფრო შემოინახა,

69. <http://korjehposht.mihanblog.com/>; <http://corjehposhtdiyaram.blogfa.com/>

ვიდრე ირანის დანარჩენმა რაიონებმა. მათ შორის, ვინც ყველაზე მეტად შეძლო შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფობა, წეს-ჩვეულებები, განსაკუთრებით გამოირჩევიან ყასემბადის რაიონის მცხოვრებლები, რომლებიც აღრევას გადაურჩნენ. ისინი წარმოშობით ქართველები არიან და საკუთარ თავს გურჯებს (ქართველებს) უწოდებენ. ბევრს მიაჩნია, რომ ისინი ატარებენ ქართული ყაიდის ტანსაცმელს გილიანის კოსტიუმის გავლენის ზოგიერთი ელემენტით“. ამ პუბლიკაციაში ავტორი იმოწმებს ირანელი მკვლევრის, ისა ბეჰნამის მიერ სამეცნიერო ჟურნალ „ნაყშ ო ნეგარში“ გამოქვეყნებულ ნაშრომს. ჟურნალის ელექტრონულ არქივში ამ ირანელი მეცნიერის მხოლოდ ერთი სტატიის მოძიება მოხერხდა ირანული სამოსლის შესახებ („ირანელთა სამოსელი ჰიჯრის მეთორმეტე საუკუნეში“, „ნაყშ ო ნეგარ“, 1338 წ. /1959 წ. N6, გვ.5-12). პუბლიკაციაში მხოლოდ ყაჯართა ეპოქის ირანული ჩაცმულობის ისტორიაა წარმოდგენილი, ყასემბადელი ქართველები კი საერთოდ არ იხსენებიან. სავარაუდოდ, ა. გრიგოლიას ეს ინფორმაცია ზეპირი წყაროდან ჰქონდა აღებული.

პოპულარულ საინფორმაციო საიტზე „ჯადიდონლაინ“ 2001 წლის 22 აგვისტოს განთავსდა ალი ათარის სტატია „ირანის ქართველები“, ⁷⁰ რომელიც, ძირითადად, ფერეიდნელ ქართველებს ეხება. საინტერესოა ამ სტატიის გარშემო ატეხილი დაუსრულებელი პოლემიკა და მკითხველთა კომენტარები, საიდანაც კარგად ჩანს ირანში ქართველთა განსახლების ფართო გეოგრაფია. ერთი მომხმარებელი, სახელად მარიამი, 2013 წლის 2 დეკემბერს წერს: „სალამი. **მე ვარ გილანში მცხოვრები ქართველი.** ჩვენ, როგორც ირანის ქართველთა უმეტესობამ, დავივიწყეთ ჩვენი ენა და მდიდარი კულტურა. ჩემი ოჯახის წინაპარი ყაჯარების ბოლო პერიოდში გადმოსახლდა გილანის სოფელ ყასემბადში. მე ნამდვილად ვწუხვარ, რომ ქართულად ერთი სიტყვაც არ ვიცი“.

70. <https://www.jadidonline.com/story/22082008/>

- **ორი დამატებითი ცნობა კასპიისპირელ ქართველებზე**

სატელევიზიო ფილმი მაზანდარანელ ქართველებზე

რამდენიმე წლის წინ მაზანდარანელი ქართველების ყოფა-ცხოვრების შესახებ გოლესთანის ოსთანის ტელევიზიამ მოამზადა სატელევიზიო ფილმი „სოფელი გორჯიმაჰალე“ (იდეის ავტორი და მკვლევარი: ქობრა იაზდი; რეჟისორი: მოჰამად-ჰოსეინ საფარი), რომლის ერთ-ერთი კონსულტანტი გახლდათ ფერეიდნელი ქართველი, ისპაჰანის უნივერსიტეტის მაგისტრი, ისტორიკოსი საიდ მულიანი. მართალია, ამ ფილმის ზოგიერთი სცენა ხელოვნურია და არ ასახავს რეალობას (მაგალითად, ქართული საზეიმო წითელი ჩოხა-ახალუხითა და კაბებით ბროწეულის კრეფა და ბროწეულის წვნის ხარშვა), მაგრამ, საერთო ჯამში, ფილმი ადგილობრივ ქართველებში ქართული იდენტობის გამოღვიძებას ემსახურება.

მანუჩეჰრ მოთაქის მოსაზრება კასპიისპირელ ქართველებზე

საყურადღებოა ირანის ისლამური რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის (2005-2010 წწ.) მანუჩეჰრ მოთაქის შეხედულება ირანის კასპიისპირეთში მოსახლე ქართველებზე. ბ-ნი მ.მოთაქი წარმოშობით მაზანდარანის ბეჰშაჰრისა და ქორდქუის მეზობლად მდებარე ქალაქ ბანდარ-გაზიდან არის. იგი კარგად იცნობს იქაურ ქართველებს. ქართულ დელეგაციებთან ოფიციალური მოლაპარაკებების დროს მანუჩეჰრ მოთაქი მათ ახასიათებდა, როგორც ღირსეულ და მშრომელ ხალხს (ნახუცრიშვილი 2014ბ: 7).

თავი მეოთხე

ირანში მიმოფანტული ქართული დასახლებები

- ქართველები დასავლეთ ირანში
(ლურისტანი, ქურთისტანი, ქერმანშაჰი, ჰამადანი)

ლურისტანის ქართველები

ირანის დასავლეთ ნაწილში, ლურისტანის ოსთანში დღესაც არსებობს რამდენიმე დასახლება, რომელთა სახელწოდებები მათ ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს. მათი მკვიდრები ამ სტრიქონების ავტორთან პირადი თუ წერილობითი ურთიერთობებისას ხაზს უსვამენ თავიანთ ქართულ წარმომავლობას. ქ-ნმა როჟინა ხოდარაჰში-რუზბაჰანიმ, რომელიც ამჟამად საქართველოში ცხოვრობს და ირანში მყოფმა მისმა და-ძმამ – როჟან ხოდარაჰში-რუზბაჰანიმ და ფარსა ხოდარაჰში-რუზბაჰანიმ სპარსულ ენაზე ფრიად ემოციური, მაგრამ საქმიანი წერილი მომწერეს. ავტორები ხაზს უსვამენ ისტორიული სამშობლოს მხრიდან ირანის ქართულენადაკარგული ქართველობის მიმართ ისეთივე ყურადღების გამოჩენის აუცილებლობას, როგორც ეს ხდება ფერეიდნელი ქართველების შემთხვევაში. მკითხველს ვთავაზობ ამონარიდებს მათი წერილიდან:

„ქართულ“ – ქართველებით დასახლებული დავიწყებული სოფელი

„მთავარი მიზეზი, რამაც ეს წერილი დაგვაწერინა, გახლავთ ის ფუნდამენტური ცვლილებები, რომლებმაც დროთა განმავლობაში გამანადგურებელი გავლენა იქონია ქართული მოდემის ენაზე, კულტურასა და იდენტობაზე იმდენად, რომ ქართველებით დასახლებულ ზოგიერთ რაიონში

შენარჩუნებულია მხოლოდ მოგონება იქ ქართველ ემიგრანტთა ბინადრობის შესახებ...

... ტანჯულმა, მაგრამ კეთილშობილმა ქართველობამ საკუთარი სამშობლოსგან დაშორებისა და ირანის ფაღიშაპების მიერ მათი სხვადასხვა ადგილას გაფანტვის გამო... დაკარგა თავისი კულტურა, ენა, ისტორიული იდენტობა და შეერწყა ახალი ადგილსამყოფლის კულტურასა და ენას.

ახლა, როდესაც საქართველომ აღიდგინა დამოუკიდებლობა, მოველით, რომ ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლება რაიმეს იღონებს ქართველი ერის სიამაყის შენარჩუნების, ირანის სხვადასხვა მხარეში მიმოფანტული ამ გამოჩრეული მოღმის დაკარგული იდენტობის შესაცნობად და შეიმუშავებს საგანგებო პროგრამას.

ერთი მომენტი იმსახურებს ყურადღებასა და კრიტიკას: ისპაჰანის ფერეიდუნშაჰრის რაიონში მცხოვრებ ქართველებს მონოპოლიურად მინიჭებული აქვთ „ქართველობა“, რის გამოც ირანის სხვა რაიონებში მცხოვრები ქართველები დავიწყებულები არიან, ეს კი მთელ ირანში ქართველთა ერთიანობაზე ზეგავლენას ახდენს. ზემოხსენებული მიზეზების გამო ახლა ძალიან ძნელია ძირძველი ქართველებით დასახლებული იმ რაიონების იდენტიფიცირება, სადაც უკვე აღარ ლაპარაკობენ ქართულად, მაგრამ წარსულიდან დღემდე დარჩენილი მდიდარი კვალი ამ რაიონებში მათ [ქართველების] ბინადრობაზე მიუთითებს.

გასულ წლებშიც და ახლაც ქართველებით დასახლებული ადგილების სახელწოდებათა მასობრივი შეცვლის მოწმენი გახლავართ. ამის მრავალი ნიმუშის დასახლება შეიძლება... მაგალითად, სიტყვა „**ქართულ**“, რომელიც ქართული ენიდან მოდის, ირანში ქართველებით დასახლებული რაიონების მრავალი პუნქტის სახელწოდებაში შეიმჩნეოდა. გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატიც კი საქართველოს გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებთან მათი მსგავსებით აირჩა, რაც ამ რაიონებში ქართველთა ყოფნის დამატებითი მტკიცებულებაა. მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ადგილობრივი ხელისუფლება ამ სახელწოდებებს ცვლის და ერთგვარად მიმდინარეობს ამ რაიონებში ქართველობისა და ქართულობის კვალის გაქრობის პროცესი. **სარაბე ქართულ** ბორუჯერდის აშთარინანის თემის სოფელ თუღეზანთან გარინის მთაგრეხილის კალთებზე მდებარეობს და მდინარე საზარს უღებს სა-

თავეს. ეს შეურყვნელი, ბუნებრივი რაიონი ერთადერთია, სადაც თვით მდინარისა და მთების სახელები (**გარინ – საზარ – ქართულ**) არ შეცვლილა. იქ ნახავთ მიწათმოქმედებას, მეცხენეობას, მესაქონლეობას, ოთხასწლოვან (ირანში ქართველთა ყოფნის პერიოდია) კაკლის ბაღებს, რაც საქართველოს ლამაზ და მომაჯადოებელ ადგილებს მოგაგონებთ. ქართველთა იდენტობისაგან დარჩენილია მხოლოდ მათ მიერ გარდაქმნილი ეს ბუნება. ზოგიერთი ქართული სიტყვაც, კერძოდ, Deda (დედა ან უფროსი და), Ena (ენა), Me (მე), Ise (კვლავ, ასევე), რომელიც ადგილობრივ მეტყველებაში გაისმის, შეიძლება ქართული ტომის კვალის ისტორიულ მტკიცებულებად ჩაითვალოს.

კიდევ ერთი სოფელი, რომელსაც ბოლო წლებში შეეცვალა სახელი, გახლავთ სოფელი **ქართულ** ლურისტანის ოსთანის ქალაქ ბორუჯერდიდან ხუთ კილომეტრში. მას ახლა **ასადხანი** ჰქვია. ძველად ეს სოფელი ცნობილი იყო, როგორც **ქართულ**. წლების წინათ ბორუჯერდის მთავარი გზის გადასახვევთან დაინახავდით აბრას „**ქართულ**“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აბრა გაქრა... იმ რაიონში ქართული ტომის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი აღარ არსებობს, რადგან ზოგი იქიდან სხვაგან გადასახლდა, ზომაც კი უნებლიეთ, უმცირესობაში ყოფნის გამო, შეიცვალა კულტურა და ენა.

ერთი ქართული დასახლება, რომელიც ლურისტანის ოსთანში მდებარეობს და მისი მოსახლეობა ქართველთა შთამომავალია, გახლავთ **აზნას** (**აზნაურის**) შაჰრესთანის სოფელი **გორჯი**.

ამ წერილის ავტორებს ქართული ძირები გვაქვს და **აზნაურის** რაიონიდან გახლავართ. ჩვენ იმ იძულებითი მიგრაციის კულტურული და ისტორიული მსხვერპლი ვართ, რომელიც მოჰყვა ქერიმ-ხანის ჯარის შეტევას ფერეიდუნშაჰრის ციხის მთაზე (ქუჰ-ე სიხე). ჩვენი წინაპრები გმირობებისა და ღირსეული ბრძოლის, ძვირფასი ადამიანების დაღუპვის, საკუთარი სახლ-კარის, ქონების, მეურნეობის, საქონლისა და ფრინველის და ა.შ. დაკარგვის შემდეგ გაუბედურებულ-დადარდინებულები გადასახლდნენ აზნას რაიონში, ხოლო შემდგომ განგებამ მათ ლურისტანის ოსთანის სხვა ადგილებში გადასვლაც არგუნა. ყველგან კულტურის ელჩებად მათ მისვლას აღმშენებლობა, ეკონომიკური და კულტურული აყვავება მოჰყვა. მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის

ადათ-წესები ამ ადგილებში ...ძალიან ჰგავს ირანის სხვა ქართული და-
სახლებებისას, რაც კულტურული ერთიანობის ნიშანია და უნდა აღდგეს
და გაძლიერდეს...

დაბოლოს, საქართველოს ბრძენ და გულთბილ ხალხს ვუძღვნით ჩვენი
საყვარელი მამის მიერ საქართველოს სახოტბოდ სპარსულად დაწერილ
ლექსს:

საქართველო

გაზაფხული, სატრფო, სანთელი, ღვინო და ტკბილეული
ქართველებთან „7 სინის“ (ირანული ახალი წლის ტრადიციული სუფრა-
ნ.ნ.) სუფრის გვერდითაა.

დარდის ჯანლი დატოვებს შენს გულს ამ ქვეყანაში,
ქართველ ხალხთან თუ დაჯდები.

ყმაწვილი თუ მოხუცი, ყველა მზიარულია და მომდიმარი.
ამ მხარეში არ მინახავს დაღვრემილობა და მოწყენილობა.

გეგონება, რომ სამოთხეა საქართველო.

ყველგან ხედავ ყვავილნარს, სოსანს და ვარდს.

საითაც არ გაიხედავ, ყველგან ამწვანებულ-აყვავებულია და სილამაზეა,
ხეების, ბალისა და მდელოების ფერადი სუფრებია.

სადაც არ უნდა მიხვიდე, ყვავილთა სურნელს შეიგრძნობ.

იფიქრებ, რომ თავად ხარ ყვავილთა გარემოცვაში.

თუ გაეშურები საქართველოში,

ამ ქვეყნის ყველა მოსახლეს მოყვარულს იხილავ.

მარნებში ვერცხლისტანა მერიქიფეებს

ხელთ უპყრიათ ღვინის თასი, ოქროს ჯამები.

შედი მარანში და ღვინის ფიალას მიმართე,

რადგან ფიალაში შეგიძლია დაინახო მთვარე და ვარსკვლავები.

თასის, მერიქიფისა და მოქეიფის მეგობარი იყავი,

გინდ მდიდარი და გინდ გაჭირვებული მათხოვარი იყო.

წადი, ნაკადულის პირას დაჯექი ღვინით, სალამურიტ, დაფითა და თარით,

პირმშვენიერისა და შავნაწნავიანის გვერდით დაჯექი.

რა სჯობს იმას, რომ ლალისფერლაწვიანის გვერდით იყო

და ტალახის მაგიერ, მისი ღაწვებიდან ყვავილი კრიფო?
ჰეი, საჯედ, გაზაფხულზე გადი მთა-ბარში,
ერთი წამითაც არ არჩიო განდევნილობა.“

მოჰამად-ჰასან ხოდარაჰმი-რუზბაჰანი (საჯედ ბორუჯერდი)
(წერილის დასასრული).

ქ-ნ როჟინა ხოდარაჰმი-რუზბაჰანის ინფორმაციით, ეს ლექსი შესულია მამამისის ახლახანს დაბეჭდილ პოეტურ კრებულში. წარმოდგენილ წერილს თან ახლავს დასახელებული ადგილების (ქართულ, სარაბე ქართულ, გორჯი) და იქაური ქართველების ფოტოები. ორ ფოტოზე ჩანს წარწერა „ხიბანე ქართილ“ („ქართილის ქუჩა“) და „დეჰიარე გორჯი“ („სოფელ გორჯის გამგეობა“).

ლურისტანელი ქართველების წერილში ჩამოთვლილი გეოგრაფიული პუნქტები შესულია „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მე-6 ტომში:

ასადხანი (Asadxāni)

ბორუჯერდის შაჰრესთანის ჩალან-ჩულანის დეჰესთანის სოფელი. 12 კმ.-ზე ბორუჯერდის სამხრეთ-დასავლეთით. 1 კმ.-ზე ბორუჯერდ-ხორამბადის დასავლეთით. 248 მცხოვრები. შიიტები. ენა – ლურული, სპარსული (იგლ 6: 15).

გორჯი (Gorji)

ბორუჯერდის შაჰრესთანის ალიგუდარზის ბახშის სილახორის დეჰესთანის სოფელი ალიგუდარზის დასავლეთით 20 კმ.-ზე, აზნა-დორუდის გზის სამხრეთ-აღმოსავლეთით 6 კმ.-ზე. 1032 მცხოვრები. შიიტები. ენა – ლურული, სპარსული. (იგლ 6: 312).

ქ-ნმა როჟინა ხოდარაჰმი-რუზბაჰანიმ დამიდასტურა, რომ ლურისტანის ოსთანში მცხოვრები ქართველებიც ადგილობრივ (ლურულ) კილოზე მეტყველებენ, რომელიც სპარსული ენის დიდ გავლენას განიცდის. მოსახლეობის განათლებული ნაწილი კარგად ფლობს სპარსულს.

წერილის ავტორების მხრიდან ლურისტანის ოსთანის ქალაქ აზნას დასახელების „აზნაურთან“ დაკავშირება ქართული კვალის გაძლიერების სურვილს უფრო ჰგავს. „ირანის გეოგრაფიული ენციკლოპედიის“ მიხედვით, ლურისტანის ოსთანში კიდეც ორი სოფელია აზნას სახელწოდებით. გარდა ამისა, იძებნება სოფ. ეზნა (ცენტრალური ოსთანი), აზნაბ და აზნაბე ფაინ (ზანჯანის ოსთანი), აზნავ (ჰამადანის ოსთანი), აზნავლე (ბოინ-მიანდაშთის ბახში, ისპაჰანის ოსთანი), ეზნავე (ქაშანის შაჰრესთან, ისპაჰანის პროვინცია) (გითა 1384:66-67). ლურისტანელი ქართველების მიერ მითითებულ დასახლებებს ა.ჰეიდარი-გორჯის გამოკვლევა არ იცნობს.

სარაბე ქართულ (Sarāb-e Kartul)

მის შესახებ ინტერნეტში უხვი ტურისტული ინფორმაცია მოიპოვება. ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო IRNA ბორუჯერდის სარაბე ქართულის უბადლო ტურისტულ მიმზიდველობაზე წერს.⁷¹ ამ ინფორმაციაში „ქართულ“-ის პარალელურად გვხდება „ქართილ“ ფორმა.

ქართილანი (Kartilān)

ლურისტანის ოსთანის აზნას შაჰრესთანში არის კიდეც ერთი დასახლება „ქართილან“, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა (ლურები) „ქართილუნ“-საც უწოდებენ.⁷² იქ მხოლოდ 165 ადამიანი ცხოვრობს. ეს ტოპონიმი არც „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ გვხდება და არც ა.ჰეიდარი-გორჯის ნაშრომში. როჟინა ხოდარაჰში-რუზბაჰანი აღასტურებს, რომ იქაც ბინადრობენ ეთნიკური ქართველები.

დასავლეთ ირანის სხვა ქართული დასახლებები:

სოფ. გორჯი (Gorji) (ქურთისტანის ოსთანის დივანდარეს შაჰრესთან) ამ სოფელს არც ერთი ავტორი არ ახსენებს. სოფელი დივანდარე კი იძებნება „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“: „ქურთისტანის ოსთანის

71. <https://www.irna.ir/news/82583034>

72. <https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%A9%D8%B1%D8%AA%DB%8C%D9%84%D8%A7%D9%86>. <https://www.picuki.com/tag/%DA%A9%D8%B1%D8%AA%DB%8C%D9%84%D8%A7%D9%86>.

სანანდაჯის შაჰრესთანის დივანდარეს ბახშის ცენტრალური დეჰესთანის სოფელი, დაახლოებით 1000 მოსახლე“ (იგლ 5: 198-199).

ინტერნეტ-რესურსებში სოფელი გორჯი ამჟამად წარმოდგენილია, როგორც ქურთისტანის ოსთანის დივანდარეს შაჰრესთანის სარაღის ბახშის სოფელი 64 მცხოვრებით. 2006 წელს აქ 92 მოსახლე იყო.

სოფ. გორჯიბაიანი (Gorji-bayān)

სოფელ გორჯიბაიანს, რომელიც ნახსენები აქვს პროფ.მ.თოდუას, ვხვდებით „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“, სადაც აღნიშნულია: „გორჯიბაიან – ქერმანშაჰანის შაჰრესთანის სონყორის ბახშის ქოლიაის დეჰესთანის სოფელი, 535 მცხოვრები, შიიტი. ენა – ქურთული, სპარსული (იგლ 5: 394, შდრ. გითა 1384:1081; ფაფოლი 1367: 491).

სოფ. ქართილაბადი (Kartilābād)

პროფ. მ.თოდუას მასალებში ნახსენებია სოფელი ქართილ-აბადი, რომელიც „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ თანახმად, მდებარეობს ქერმანშაჰანის ოსთანის მაღაიერის შაჰრესთანის აგარზამანის დეჰესთანში მაღაიერ-ჰამადანის გზაზე. 1084 მოსახლეა, რომლებიც შიიტები არიან. ლაპარაკობენ სპარსულად (იგლ 5: 355). დღეს ეს სოფელი ჰამადანის ოსთანის მაღაიერის შაჰრესთანის სამენის ბახშში შედის და ხუთი წლის წინანდელი აღწერის მონაცემებით, 858 მოსახლეს ითვლის.⁷³

სოფ. ყალ'ეიე ქართილაბადი (Qal'e-ye Kartilābād)

ინტერნეტ-რესურსები იცნობს ასევე პატარა სოფელს ყალ'ე ქართილაბად, რომელიც ქართილაბადის სიახლოვესა და სულ 69 მოსახლეს (25 ოჯახი) ითვლის. ქართილაბადის ინტერნეტფორუმის ერთ-ერთი მომხმარებელი, ფარჰად სოლთანი „ქართილს“ ქურთულ სიტყვად მიიჩნევს („ქარ“ – „ვაჟიშვილი“, „თილ“ – „ერთი, ცალი“) და ასკვნის, რომ ეს სიტყვა „ერთი კარგი ვაჟის პატრონს“ უნდა ნიშნავდეს, რაც ხალხურ ეტიმოლოგიად უნდა ჩაითვალოს.

73. <https://dictionary.abadis.ir/fatofa/%DA%A9%D8%B1%D8%AA%DB%8C%D9%84-%D8%A2%D8%A8%D8%A7%D8%AF/>

სოფ. გორჯაი (Gorjāi)

პროფ. მ. თოდუას მიერ მითითებული სოფელი „გორჯი“ მაღაიერის შაჰრესთანის ქამაზანის დეჰესთანში, მაღაიერიდან 36 კმ-ის დაშორებით, გეოგრაფიულად ემთხვევა „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონში“ ფიქსირებულ სოფელ „გორჯაის“, რომელიც მაღაიერ-არაქის გზიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 30 კმ.-ზე მდებარეობს. იქ 187 მოსახლეა, შიიტი და სპარსულ ენაზე მოლაპარაკე (იგლ 5:394). ჰამადანის ოსთანის სოფელი გორჯაი მოცემულია როგორც „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ (გითა 1384:1080), ასევე, „ქვეყნის დასახლებული პუნქტებისა და რელიგიური ადგილების ლექსიკონში“ (ფაფოლი 1367: 491).

სოფ. არზანფუთი/არზანფუდი (Arzānfut/Arzānfud)

ა.ჰეიდარი-გორჯი არაფერს ამბობს ქართულადღის, გორჯაისა და გორჯიბაიანის შესახებ, სამაგიეროდ ქართულ დასახლებად მიიჩნევს ჰამადანის ოსთანის ჰამადანის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზნის სოფელ არზანფუთს. არზანფუთი „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, მდებარეობს ქურთისტანის ოსთანის მაღაიერის შაჰრესთანის თორქის დეჰესთანში, მაღაიერ-ჰამადანის გზის დასავლეთით 12 კმ-ის დაშორებით. 2124 მცხოვრებია, შიიტი. ენა – თურქული, სპარსული (იგლ 5:7-8). „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედია“ ამ დასახლებას „არზანფუდს“ უწოდებს. ბოლო აღწერით, არზანფუთის მოსახლეობა 2402 ადამიანია.

ა.ჰეიდარი-გორჯი არზანფუთს ასე ახასიათებს: „ეს სოფელი მდებარეობს ჰამადანის ჩრდილოეთით, ექბათანის კაშხლის ზემოთ... სოფელს დიდი ფართობი უკავია. მისი მოსახლეობაც მრავალრიცხოვანია. ამ სოფელში დაახლოებით ორი ათასი ქართველი ცხოვრობს. მათ თავისი ენა დაკარგული აქვთ და ადგილობრივ ენაზე ლაპარაკობენ. მხოლოდ რამდენიმე ქართული სიტყვა შეიმჩნევა მათ მეტყველებაში, განსაკუთრებით, მოხუცების საუბარში, რომლებიც უფრო მეტ [ქართულ] სიტყვას იყენებენ... გარდა ამისა, არზანფუთის ახლოს მდებარე სოფელ აბშინეშიც ბინადრობს ქართველთა გარკვეული რაოდენობა... სოფლის უბნებია გორჯიმაჰალე, თორქმაჰალე და მაჰალეიე ვარმაზაირი“ (ჰეიდარი-გორჯი 1389:379-380).

თუკი არზანფუთის მოსახლეობა დაახლოებით 2400 ადამიანია, მაშინ 2 ათასი – ქართული მოსახლეობის რაოდენობა, რომელსაც უთითებს ა. ჰეიდარი-გორჯი, გაზვიადებული ჩანს.

ქართველებით დასახლებული სოფელ „ჰარზანფუთის“ შესახებ ლადო აღნიაშვილი შემდეგს წერს: „ჰამადანის ახლო ყოფილა რამდენიმე სოფელი, ქართული არ იცინაო, მაგრამ ერთმა სომეხმა მეგობარმა მითხრა თეირანში, რომ, როდესაც მე ვიყავ ერთ იმათ სოფელში, „ჰარზანფუთში“, სადაც ასი კომლი ქართველობა მოსახლობს, ასე მითხრეს, რომ დღევანდლამდე ქართული იცინაო და ეხლა თუ დაივიწყეს, ეგეც არ ვიციო“ (აღნიაშვილი 1896: 219).

სოფ. აბშინე (Ābšīne)

ა.ჰეიდარი-გორჯის მიერ მითითებულ სოფელ აბშინეს „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონი“ ასე ახასიათებს: „ჰამადანის შაჰრესთანის სიმი-ნერუდის ბაზშის ჩაჰარ-ბოლუქის დეჰესთანის სოფელი. 733 მცხოვრები. შიიტი. ენა – სპარსული“ (იგლ 5:3-4. შდრ. ფაფოლი 1367: 34; გითა 1384:10). ახალი მონაცემებით, აბშინე სანგესთანის დეჰესთანს ეკუთვნის და 1429 მოსახლეს ითვლის.

• ქართველები ხუზისტანში

ხუზისტანელი ქართველების შესახებ საუბარი აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელმა მკვლევარმა ამინ ყეზელბაშანმა ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა ორი ნაშრომი ხუზისტანში ბარათაშვილების საგვარეულოს წარმომადგენელთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: „ხუზისტანის ქართველთა ერთი მოღმის საგვარეულო ხე“ (ყეზელბაშან 2016) და „ბირთვისიდან ბანდებალამდე: ირანში ქართველი ბარათაშვილების საგვარეულოს ხუთასწლიანი ისტორია“ (ყეზელბაშან 2018). პირველი ნაშრომის გამოსვლის შემდეგ ფერეიდნელმა ქართველებმა საიდ მულიანიმ და ჰამიდ-რეზა ასლანიმ 2016 წელს მოაწვეეს ექსპედიცია ხუზისტანში იქაური ქართველების გაცნობის მიზნით. 2019 წელს ხუზისტანელმა ქართველებმა ჩაატარეს სამეცნიერო სხდომა, რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი იაპონელი მკვლევარი, ირანისტი და ქართველოლოგი ჰიროტაკე მადეა (www.irna.ir/news/83238510/).

უკანასკნელი ინფორმაციით, 2020 წელს ამინ ყეზელბაშანმა გამოსცა კიდევ ორი წიგნი: „დავიწყებული საგვარეულოები“, (ტომი.1 - სეფიანთა პერიოდის ირანი) (ყეზელბაშან 2020ა) და „სტატიები ხუზისტანელი ქართველების შესახებ“ (ტომი 1) (ყეზელბაშან 2020ბ), რომელთა გაცნობაც კიდევ უფრო გააფართოებს ჩვენს წარმოდგენას ხუზისტანში ქართული კვალის შესახებ.

ხუზისტანელი ბლოგერი რეზო ბარათაშვილი ვებგვერდის „ხუზისტანელი ქართველების“ შესავალ სტატიაში წერს: „ქართველების ერთი ჯგუფი დასახლდა ხუზისტანში და ისინი ახლაც ბინადრობენ აპკაზში, შუშთარში, დეზფულში, მასჯედ-სოლეიმანში და, დიდი ალბათობით, ხუზისტანის სხვა ქალაქებშიც.“ ამავე გვერდზე დევს მრავალი საყურადღებო ინფორმაცია. მათ შორის აღსანიშნავია ხუზისტანის ოსთანის ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ აპკაზის ბეჰეშთაბადის სასაფლაოზე ქართულწარწერიანი საფლავის ქვების არსებობა. წარმოდგენილია სამი საფლავის ფოტო, სადაც განიხილეთ: ქოჰზად გორჯიანი (მასჯედ-სოლეიმანელი სახელოვანი ქართველი მოჭიდავე), მისი ვაჟი იუნუს გორჯიანი და მეუღლე, ნოსრათ გორჯიანი. ინტერნეტში მოიძებნა მოკლე კლიპი ქოჰზად გორჯიანის შესახებ, რომელსაც ასევე ახლავს ქართული ტექსტი და მუსიკა: <https://www.youtube.com/watch?v=IFXpFqFJeuQ>.

● ხორასნის ქართული დასახლებები

1949-1954 წლებში, როდესაც „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ ათტომეული გამოიცემოდა, ირანი ჯერ კიდევ ათ ოსთანად იყო დაყოფილი. ხორასანი მეცხრე ოსთანში შედიოდა. შემდეგ ის ხორასნის ოსთანად იწოდებოდა, 2006 წლიდან კი ეს უზარმაზარი ოსთანი სამად გაიყო და შეიქმნა ჩრდილოეთ ხორასნის (ხორასანე შომალი, ადმ. ცენტრი – ქ.ბუჯ-ნურდი), ხორასანე რაზავისა (ადმ.ცენტრი – ქ. მეშქედი) და სამხრეთ ხორასნის (ხორასანე ჯონუბი, ადმ.ცენტრი – ქ.ბირჯანდი) ოსთანები. „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“ ხორასანში „გორჯის“ შემცველ ორ გეოგრაფიულ პუნქტს იცნობს:

სოფ. გორჯანი (gorjān)

ბირჯანდის შაჰრესთანის ხუსფის ბახშის ცენტრალური დეჰესთანის სოფელი. მდებარეობს ხუსფის დასავლეთით, 8 კმ-ზე. 20 მცხოვრები, შიიტი. ენა – სპარსული (იგლ 9: 359). ეს დასახლება პროფ. მ.თოდუას ბარათებშიც იძენება („გორჯან-ი ხორასანში, ქუსაფის დასავლეთით 8 კმ-ზე“). როგორც ჩანს, ეს ინფორმაცია მან სწორედ ამ ლექსიკონიდან აიღო. ამჟამად ეს სოფელი სამხრეთ ხორასანის ოსთანშია მოქცეული.

ირანულ ინტერნეტ-რესურსებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქალაქი ხუსფი დაარსეს ქართველებმა, რომლებიც საქარავნო გზებით საგაჭროდ დადიოდნენ ინდოეთში და მიზეზთა გამო იქ შერჩნენ. გაურკვეველია ამ ინფორმაციის წყარო, დაუზუსტებელია თარიღიც – ისლამამდელი ირანიდან ირან-რუსეთის გოლესთანის ზავის დადებამდე⁷⁴ (1813 წ.).

ზოგიერთი ირანელი ბლოგერი „ხუსფს“ ქართული წარმოშობის სიტყვად მიიჩნევს და იმოწმებს ალი-აქბარ დეჰხოდას ლექსიკონს, თითქოს „ხუსფ“ ჩავარდნილ მიწას ნიშნავდეს. როგორც ირკვევა, ა.დეჰხოდას ხუსფის შესახებ ინფორმაცია მთლიანად „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონიდან“ აქვს აღებული, სადაც ეტიმოლოგია მითითებული არ არის (დეჰხოდა, ტ. 7).

სოფ. გორჯი (Gorji) მეშჰედთან

მეშჰედის შაჰრესთანის გარეუბნისა და არდაქის ბახშის თაბადქანის დეჰესთანის სოფელი. მეშჰედის ჩრდილო-აღმოსავლეთით 5 კმ.-ზე. 198 მცხოვრები, შიიტი. ენა – სპარსული (იგლ 9:359). პროფ.მ.თოდუას ჩანაწერებში მოხსენიებულია როგორც „სოფ.გორჯი მეშჰედთან“.

ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით, ხორასანე რაზავის ოსთანის დედაქალაქ მეშჰედის სიახლოვეს, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს ორი სოფელი:

გორჯიე სოფლა (გორჯიე ფაინ ანუ ქვემო გორჯი) (Gorji-e sofla// Gorji-e pāyin):,

გორჯიე ოლია (გორჯიე ბალა ანუ ზემო გორჯი – Gorji-e oliyā// Gorji-e bālā

74. <http://khoosfiha.blogfa.com/post/1>; <https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%AE%D9%88%D8%B3%D9%81>

ორივე სოფელი აღნიშნულია რუკებზე და მათ შესახებ ინფორმაცია იკითხება ირანის ინტერნეტ-მედიაში. მაგალითად, ირანის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო IRNA 2019 წლის 8 ივლისის ინფორმაციაში⁷⁵ მეშჰედის მეგაპოლისთან მიბმულ 19 მეგასოფელთან ერთად, რომელთა მოსახლეობა 3 ათას ადამიანს აჭარბებს, იხსენიებს მეგასოფელ **გორჯიე სოფლსაც**. ამ ინფორმაციის მიხედვით, იქ 15 163 ადამიანი ცხოვრობს.

2019 წლის 27 აპრილს სოფელი **გორჯიე ოლია** მოინახულა ირანის ვიცე-პრეზიდენტმა ქ-ნმა მასუმე ებთეჟარმა.⁷⁶ ამ ინფორმაციის თანახმად, ეს სოფელი მეშჰედიდან 7 კმ-ის დაშორებით მდებარეობს და იქ 2 400 ადამიანი ცხოვრობს.

დიდი ალბათობით, „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონში“ შეტანილი სოფელი გორჯი დღევანდელი გორჯიე სოფლა უნდა იყოს, რომელიც ბევრად დიდია გორჯიე ოლიაზე და მეშჰედთან უფრო ახლოსაა.

სოფ.სადრაბადი (?)

ამ სოფელს ახსენებს პროფ.მ.თოღუა: „სადრაბადი – ხორასანში“. წყაროს არ უთითებს. „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ ხორასანის ოსთანში ორი სადრაბადია – ნიშაბურისა და ფერდოუსის შაჰრესთანებში (იგლ 9: 255). ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვითაც ხორასანე რაზავის ოსთანში არსებობს სოფ.სადრაბადი (ნიშაბურის შაჰრესთან), მეორე სოფ. სადრაბადი კი სარახსის შაჰრესთანშია, რომელიმე ამ დასახლების საქართველოსთან შესაძლო კავშირის შესახებ ინფორმაციას არ იძებნება.

სოფ.გორჯი Gorji თორბათე ჰეიდარიესთან

ამ დასახლებას იცნობს 1952 წელს დაბეჭდილი ლექსიკონი „ქვეყნის გეოგრაფია და სოფლები“, რომლის მონაცემებით, ის მეცხრე ანუ ხორასანის ოსთანს ეკუთვნის და თორბათე ჰეიდარიეს შაჰრესთანის ზავეს ღეჰესთანში მდებარეობს (ქეთაბე ჯოყრაფია 1331:145). ეს გეოგრაფიული პუნქტი არ არის აღნუსხული „ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონსა“ და „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“. ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, ხორასანე რაზავის ოსთანის ზავეს შაჰრესთანის

75. <https://www.irna.ir/news/83386021>

76. <https://sobhmashhad.ir/1398/02/07/20398/>

ცენტრალური ბაზმის ზავეს დეჰესთანში მდებარეობს სოფელი გუჯი (გუ-ჯიქ). ამ ტოპონიმის ლათინური ტრანსლიტერაციის რამდენიმე ვარიანტი არსებობს: Gowji, Gowjik, Gorji, Gubi. „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ დაფიქსირებულია სოფ. **გოჯი (Gōji)**, რომელსაც მსგავსი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს (გითა 1384:1123). საგარაუდოდ, ეს უნდა იყოს იგივე სოფელი გორჯი თორბათე ჰეიდარიეს ზავეს დეჰესთანში.

სოფ. ესმაილაბადე გორჯი (Esmā'ilābād-e Gorji)

ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, **ესმაილაბადე გორჯი** შედის ხორასანე რაზავის ოსთანის თორბათე ჯამის შაჰრესთანის ცენტრალურ ბაზმში. აქ 776 მცხოვრებია.

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, მეცხრე (ხორასნის) ოსთანში 19 სხვადასხვა ესმაილაბადია და არც ერთს არ გააჩნია დამატებად „გორჯი“ (იგლ 9: 20-21). ესმაილაბადი, რომელიც მდებარეობით ზემოხსენებულ ესმაილაბადე გორჯის შეესაბამება, ამ ლექსიკონის მიხედვით მეშვედის შაჰრესთანის თორბათე ჯამის ბაზმის მიან-ჯამის დეჰესთანის სოფელია, 133 მცხოვრებით, შიიტი მოსახლეობით; ენა – სპარსული (იგლ 9: 20). ამასვე ადასტურებს სხვა წყარო: „ესმაილაბადი – ხორასნის ოსთანის თორბათე ჯამის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის მიან-ჯამის დეჰესთანის ცენტრი“ (გითა 1384:80).

ჰასანაბადე გორჯი (Hassanābād-e Gorji)

ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობის მიხედვით, ჰასანაბადე გორჯი ეკუთვნის ხორასანე რაზავის ოსთანის მეშვედის შაჰრესთანის ცენტრალური ბაზმის მიან-ველაიათის დეჰესთანს. 2006 წლის აღწერის მონაცემებით, აქ 181 მოსახლე იყო.

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ თანახმად, მეცხრე (ხორასნის) ოსთანში 50 ჰასანაბადია და არც ერთს არ აქვს დამატებული „გორჯი“ (იგლ 9: 127-128). მათგან დღევანდელ ჰასანაბადე გორჯისთან ყველაზე ახლოს მეშვედის შაჰრესთანის თებიანის ბაზმის ნოუ-ბალა-ველაიათე ბახარზის დეჰესთანის სოფ. ჰასანაბადია 180 მოსახლით. ისინი შიიტები არიან, მათი ენა სპარსულია (იგლ 9: 128).

„ირანის გეოგრაფიული ენციკლოპედია“ ირანში 75 დასახლებას იცნობს ჰასანაბადის სახელწოდებით. არც ერთი მათგანი ტერიტორიულად არ შეესაბამება სოფ. ჰასანაბადე გორჯის (გითა 1384: 421-425).

ირანიტმა ბაკურ კიკაძემ, რომელიც 2015 წლის გაზაფხულზე ქართველ გეოლოგებთან (აკად. ა. თვალჭრელიძე, ზ. ქუთელია) ერთად იმყოფებოდა სამხრეთ ხორასნის ოსთანის ადმინისტრაციულ ცენტრ ბირჯანდში, საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა: როდესაც ირანელ მასპინძლებს შეუტყვევიათ სტუმრების ქართველობის შესახებ, უთქვამთ, რომ ბირჯანდისა და მეშქედის სიახლოვეს არის ქართული სოფლები. საკარაუდოდ, ისინი ზემოხსენებულ დასახლებებს გულისხმობდნენ.

ხორასანში ქართულ დასახლებებზე საუბრისას აუცილებლად სახსენებელია მეზობელ ავღანეთში ქართული კვალიც საკითხიც. იური ბოსინი გამოკვლევაში „ავღანეთი: პოლიეთნიკური საზოგადოება და სახელმწიფო ხელისუფლება ისტორიულ კონტექსტში“, ქვეთავში სახელწოდებით „ეროვნებები, რომელთა არსებობის დადგენა თანამედროვე ავღანეთში შეუძლებელია“, წერს: „გ.პ.ეჟოვის ინფორმაციით, რომელიც 1970-იანი წლების შუა ხანების დროინდელია, მაზარი-შარიფის დასავლეთით არსებობდა ქართული სოფელი გორჯი. მის მოსახლეობას შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ენა, ყოფა და ტრადიციები. სამწუხაროდ, წყაროებსა და ლიტერატურაში ვერ წავაწყდით ავღანელი ქართველების ხსენების კვალს“ (ბოსინი 2002:78).

ავღანეთის ომის მონაწილე ქართველი გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი თავის მემუარებში, რომელიც ჟურნალ „თბილისელებში“ გამოქვეყნდა (N25, 17.06.-23.06.2013. გვ.74-75), წერს ავღანეთში ქართველების შესახებ.⁷⁷ თ. ეპიტაშვილის მონათხრობს ეყრდნობა ფერეიდნელი ვახტანგ ონიკაშვილი (ონიკაშვილი 2004: 5-9).

ავღანელ ქართველებზე საუბრობს ავღანეთის ომში თარჯიმნად მომუშავე ქართველი ირანიტი სერგო ლუტიძე, რომელსაც ქაბულში ერთ-ერთ მათგანთან კონტაქტიც კი ჰქონია, მაგრამ მიზეზთა გამო ქართულ სოფლებში ჩასვლა ვერ მოუხერხებია.⁷⁸

77. <https://sputnik-georgia.com/people/20170419/235657737/giorgi-gurji.html>

78. <https://gmas.ge/2019/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AF%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A/>

სამწუხაროდ, ავღანეთში დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციების გადამოწმება ან ახალი მასალის მოპოვება შეუძლებელია.

● სემნანი

სოფ. გორჯი (Gorji) შაჰრუდთან

ამ სოფელს ახსენებს მაზანდარანელი მკვლევარი ა.ჰეიდარი-გორჯი: „შაჰრუდის სოფელი გორჯი შაჰრუდის გარეუბანში, ბასთამის ბახშში მდებარეობს. აქ საქართველოდან მიგრირებული ქართველები ცხოვრობენ. მშობლიური ენა დავიწყებული აქვთ და იმ მხარის ადგილობრივი ენაზე მეტყველებენ. სოფლის მოსახლეობა 230 ადამიანს შეადგენს“ (ა.ჰეიდარი-გორჯი 1389:366).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ეს სოფელი მდებარეობს მეცხრე ოსთანის შაჰრუდის შაჰრესთანის ყალე-ნოვის ბახშის ფოშთებასთამის დეჰესთანში შაჰრუდ-გორგანის გზიდან 3 კმ.-ზე. 170 მცხოვრებია. შიიტები. ენა – სპარსული (ივლ 3:253). ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით კი სოფელი შედის სემნანის ოსთანის შაჰრუდის შაჰრესთანის ბასთამის ბახშის ხარყანის დეჰესთანში. 2006 წლის აღწერით იქ 196 მოსახლე ცხოვრობდა.

ირანში მეორე დიპლომატიური მივლინების დროს თეირანში გაიმართა სემნანის ოსთანის კულტურის კვირეული. იქ შევხვდი და ვესაუბრე ამ ოსთანის კულტურის სფეროს მესვეურებს. ერთი მათგანის ნაამბობით, შაჰრუდთან არსებობს სოფელი გორჯი, რომელიც ცნობილია გამორჩეული ტრადიციული ფეხსაცმლის კერვით. ამ ფეხსაცმელებს „ქაფშ-ე გორჯი“-ს (kafš-e gorji) ანუ ქართულ ფეხსაცმელს უწოდებენო. მათგან მივიღე მიწვევა სემნანის ოსთანის, კერძოდ, ამ სოფლის მოსახლეებლად. სამწუხაროდ, ჯერჯერობით იქ არ ვყოფილვარ.

სოფ. აბასაბადი (Abbāsābād)

ა.ჰეიდარი-გორჯი ქართულ დასახლებებს შორის მოიხსენიებს შაჰრუდის სოფელ აბასაბადს, რომელიც „მდებარეობს შაჰრუდ-საბზევარის სახელმწიფო დანიშნულების ტრასის შუაში, შაჰრუდიდან 135 კმ.-ზე და საბზევარიდან 125 კმ.-ზე. შედის სემნანის ოსთანის მეიამეისა და დავარ-

ზანის ბასში (ავტორის შეცდომა: დავარზანი ამჟამად ხორასანე რაზანის ოსთანის ქალაქია – ნ.ნ.). ამ სოფელში ცხოვრობს 431 ადამიანი. მათ დაკარგული აქვთ მშობლიური ენა. შაჰ-აბასმა ქართველები აქ გადმოსახლა და საკუთარ სახელზე დააარსა სოფელი. სოფელი ქართველების აშენებულია. წინათ აქ სხვა გვარისა და ტომის ხალხი არ ცხოვრობდა, მაგრამ ბოლო წლებში მიგრანტებიც მოვიდნენ. ამ სოფელში მოსახლე გვარებია: მოჰამად ჰოსეინი-გორჯი, ქაზემი-გორჯი, ხალეყი-გორჯი, ჯაფარი-გორჯი (ჰეიდარი-გორჯი 1389: 366-367).

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, აბასბადი შაჰრუდის შაჰრესთანის მუიამეის ბასშის ფორუმადის დეჰესთანის სოფელია. მუიამეის აღმოსავლეთით 72 კმ-ზე, შაჰრუდ-საბზევარის გზატკეცილის პირას მდებარეობს. 750 მცხოვრებია. შიიტები. ენა – სპარსული (იგლ 3: 194).

სოფ. გორჯილუ (Gorjilu)

„ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ ნახსენებია სემნანის ოსთანის სემნანის შაჰრესთანში მდებარე სოფელი გორჯილუ (გიტა 1384: 1081). მის შესახებ ინფორმაცია არ მოიძებნა.

● აზერბაიჯანული ოსთანები (არდებილი, აღმოსავლეთი აზერბაიჯანი, დასავლეთი აზერბაიჯანი)

„ირანის გეოგრაფიულ ლექსიკონში“ არ იძებნება ტოპონიმები **გორჯი** (აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ოსთანის აჰარის შაჰრესთან) და **გარჯან/გორჯანი** (არდებილის ოსთანის არდებილის შაჰრესთანის ცენტრალური ბასშის სარდაბეს დეჰესთან). ერთადერთი ტოპონიმი, რომელიც წარმოდგენილია ჩვენს ხელთ არსებულ სამივე წყაროში („ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“, „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედია“ და „ირანის დასახლებების ლექსიკონი“) არის ტოპონიმი **დეჰგორჯი** („ქართული სოფელი“).

სოფ. დეჰგორჯი (Dehgorji)

რეზაიეს (დღევანდელი ურუმიეს) შაჰრესთანის ოშნევიეს ბასშის სოფელი. 261 მოსახლე. სუნიტი. ენა – ქურთული (იგლ 4: 227). ამჟამად დასავლეთ აზერბაიჯანის ოსთანის ოშნევიეს შაჰრესთანს ეკუთვნის.

სოციალურ ქსელებში ირანის ქართველი ბლოგერები მიუთითებენ დასავლეთ აზერბაიჯანის ოსთანის მარაყეს შაჰრესთანში მდებარე სოფელ **გერჯაბადს (Gerjābād)**⁷⁹, თუმცა ამ და ზემოთ დასახელებულ სხვა სოფლების ქართველობასთან კავშირი ადგილზეა საძიებელი და დამატებით კვლევას მოითხოვს.

ამ კონტექსტში საყურადღებოა პ.გიქოშვილის სტატია „ძველი ჯარისკაცის ნაამბობი“, რომელიც ახალციხის გაზეთ „წითელ დროშაში“ (1962, 19 დეკემბერი) გამოქვეყნდა. წერილში გადმოცემულია პირველი მსოფლიო ომის დროს ირანში დისლოცირებული რუსული საჯარისო შენაერთის რიგითის, ახალციხის რაიონის სოფელ არლის მცხოვრები 74 წლის პეტრე ვარდიძის მოგონება:

„ჩვენი ნაწილი ქ. არდებილში იდგა. ეს ქალაქი საკმაოდ მოზრდილი დასახლებული პუნქტია და თავრიზის აღმოსავლეთით 300 კილომეტრზე მდებარეობს. ცხენებს საკვები შემოაკლდათ და ნაწილის მეთაურმა მისი კერძოდ შოვნა დაავალა ჩვენი ოცეულის მეთაურს მირიმანოვს, რომელიც წარმოშობით თბილისიდან იყო და ქართულ ენას კარგად ფლობდა.

მირიმანოვმა ჩემთან ერთად ერთ სხვა ჯარისკაცსაც გამოუძახა და თან წაგვიყვანა, გავედით არდებილიდან და დავადექით გზას სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. ორ სოფელში გავიარეთ, მაგრამ ვერაფერი ვიშოვეთ და გზა გავაგრძელეთ. მესამე სოფლის შესავალში, გზისპირზე, წყარო იყო და იქით მარტო გადავუხვიე. წყაროსთან ქალებს მოეყარათ თავი და ლაპარაკობდნენ. პირველად ყურს არ ვენდე, მაგრამ მალე გარკვევით მოვისმინე ქართული საუბარი და სახტათ დავრჩი. მირიმანოვმა აღელვება შემნიშნა და მომიახლოვდა. ეს ქალები ქართულად ლაპარაკობენ-მეთქი, – ვუთხარი მეთაურს. პირველად არ დამიჯერა, მაგრამ როცა თავისი ყურით მოისმინა, გაოგნებული დარჩა და ჩაილაპარაკა: „აი საკვირველება, აქ ქართველებს რა უნდათ!?“

ამის თქმა იყო და, ქალები კივილ-ჟრიაშულით სოფლისკენ გაიქცნენ. თხუთმეტი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ თითქმის მთელი სოფლის მოსახლეობა ჩვენსკენ გამოიხილა, წინ მოდიოდა მაღალ-მაღალი კაცი,

79. <http://gorjiboy.blogfa.com/post/4>.

რომელსაც ეტყობოდა შუახნის იქნებოდა და სოფლისთავი უნდა ყოფილიყო. შეკრთომა შეგვნიშნეს, მაგრამ ნაბიჯს არ მოუკლეს და თავდახრით მოგვესალმნენ. ბოლოს ჩვენ მიერ თავკაცად მიჩნეულმა ტკბილი ქართულით მოგვმართა:

„ცუდი განზრახვით როდი მოვსულვართ. თქვენი სახით მივესალმები დიდი საქართველოს წარმომადგენლებს!“

უადრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ გულთბილმა შეხვედრამ, რომელიც ჩვენთვისაც და მათთვისაც მოულოდნელი იყო. გამოგვკითხეს ვინაობა და მისვლის მიზანი. შეკითხვებით არც ჩვენ ვასვენებდით. თავკაცმა სახლში მიგვკავატიჟა და ჩვენთან ერთად რამდენიმე ახლობელიც წამოიყვანა. უნდა გენახათ, როგორ მოგვჩერებოდა ასობით აცრემლებული თვალი! უმთავრესად ქართულად ლაპარაკობდნენ და აქა-იქ სპარსულ სიტყვებსაც ურევდნენ...

მირიდანოვმა მასპინძელს სოფლის სახელი ჰკითხა, მაგრამ თავკაცმა ამ კითხვაზე პასუხი უცბად არ გასცა და ასე დაიწყო:

„ნახევარი საათის წინ წყაროზე მყოფმა ქალებმა შემატყობინეს სამი რუსის ჯარისკაცი მოვიდა, რომლებიც ქართულად ლაპარაკობენო. მე აღარ დამიყოვნებია და თქვენს შესახებდრად, ვინც თვალში მომხვდა, ყველა წამოვიყვანე“.

მასპინძელმა სადილის მოლოდინში განაგრძო:

„ჩვენი წინაპრები საქართველოდან, მესხეთიდან არიან. ჩვენს დიდ სამშობლოს როცა სპარსელები შესვეიან, ქართლიდან, კახეთიდან და მესხეთიდან მოსახლეობა აუყრიათ და სპარსეთში გადმოუსახლებიათ. თავრიზსა და არდაბილს („არდებილს“ მასპინძელი სწორად ვერ ამბობდა) შორის მდებარე ტერიტორიაზე ახლაც არის 67 ქართული სოფელი, ხოლო ჩვენი სოფლის დღევანდელი მცხოვრებლების წინაპრები სოფელ უდიდან ყოფილან. ამ სოფლის სახელიც უდუა. სამშობლო დაგვარგეთ და სევდად ესეც გვეყოფა, რომ სოფლის სახელიც და ენაც არ დაგვარგოთ“.

მასპინძელმა როცა გაიგო, რომ ჩემი სოფელი უდიდან სამ კილომეტრზეა, მღელვარებისაგან თავი ვერ შეიკავა და აცრემლებული გადამეხვია...

—...სოფლის თავკაცმა მოსაწონი მასპინძლობა გაგვიწია. ამ ღამეს არ გაგვიშვა (30 კილომეტრი სახიფათო გზა გვქონდა გასავლელი) და მეორე დღეს განშორების სევდით მოცულმა ჯორ-აქლემებზე დატვირთული ნაჩუქარი ქერით და შემდეგი სიტყვებით გამოგვისტუმრა:

„კმადლობ ალახს, რომ ჩემს სახლში დიდი სამშობლოს შვილები მომივლინა!“

შესადლოა, ეს ინფორმაცია სწორედ ირანის აზერბაიჯანულ ოსთანებში მდებარე ზოგიერთ სოფელში (გორჯანი, გორჯი, გერჯაბადი, დეკ-გორჯი) ქართული კვალის მანიშნებელი იყო.

● თეირანი, ალბორზი

ქ.თეირანის უბნები

ირანის დედაქალაქ თეირანში და მის გარეუბნებში დღესაც შემორჩენილია ქართული ოჯახების კომპაქტურად დასახლების კვალი. პირველ რიგში, ეს ეხება ამ მეგაპოლისის სამხრეთით მდებარე ქალაქ რეის (შაჰრე რეი) Rey (Shahr-e Rey), რომლის ერთ უბანში ისპაჰანის ოსთანიდან ჩასახლებული ქართველები ცხოვრობენ. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს პირველი ელჩი პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი მნიშვნელოვან შიიტურ რელიგიურ დღესასწაულებზე აკითხავდა მათ და ქართველების ჰოსეინიეში სამგლოვიარო რიტუალებს ესწრებოდა. იგი აღნიშნავდა, რომ რეის ქართველები ამ საქმიანობაში სხვა ერის მუსლიმ თანამორწმუნეებს აჭარბებდნენ და განსაკუთრებული ფანატიზმით გამოირჩეოდნენ.

ქართულ კვალზე საუბრისას არ უნდა გამოვგრჩეს თეირანის ჩრდილოეთით მდებარე უბნები, ყოფილი სოფლები: ნიავარანი, ჩიზარი, ზარვანდე, დეზაშიბი, აბასაბადი, სადაც ასევე კომპაქტურად უცხოვრია რამდენიმე ქართულ ოჯახს. ამის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია რაჰელე აბდოლ-ჰოსეინის სტატიაში, რომელიც 06.06.2020-ში გამოქვეყნდა გაზეთ „ჰამ-შაჰრი-ონლაინის“ ინტერნეტგვერდზე: <https://www.hamshahrionline.ir/news/517428/>. ირანელი კოლეგების ინფორმაციით, იქ დღემდე შენარჩუნებულია ტოპონიმი „თაფეიე გორჯიჰა“ (Tappe-ye gorjihā) – „ქართული გორაკი“.

ყასემაბადე გორჯი (Qāsemābād-e Gorji)

„ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ეს სოფელი მდებარეობს თეირანის შაჰრესთან ქარაჯის ბანშის აფშარიე-სავაჯბოლაციის

დექესთანში. 135 მცხოვრებია. შიიტი. ენა – თურქული, სპარსული (იგლ 1:165). ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით კი ის ალ-ბორჯის ოსთანის საგავებოლავის შაჰრესთანის ჩაჰარბაყის ბაზშის რამჯინის დექესთანს ეკუთვნის. 2006 წლის აღწერის მონაცემებით იქ 1126 მოსახლეა.

- ფარსი, იაზდი, ქერმანი

ასუფასი (ასოფასი, ასფასი) (Asupās//Asopās//Aspās)

ამ გეოგრაფიულ პუნქტში ქართველების დასახლებისა და შემდგომი ასიმილაციის ისტორიას აქ არ შევეხები, რადგან ეს საკითხი არაერთ ნაშრომში საკმაოდ კარგად არის გაშუქებული (მაგ.: შარაშენიძე 1979; ქაზემზადე 2013). „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მიხედვით, ასფასის (Āspās) თემში შიიტები სახლობენ და გაგრცელებული ენებია: სპარსული, თურქული და ლურული (იგლ 7: 9-10). „ირანის გეოგრაფიულ ენციკლოპედიაში“ ეს დასახლება გახმოვანებულია, როგორც Āsopās (გითა 1384: 22). აღსანიშნავია, რომ იმავე დასახელების სოფელი მდებარეობს ზანჯანის ოსთანის აბჰარის შაჰრესთანშიც.

ქ.იაზდი

ამ ოსთანში ქართველების კვალზე მიუთითებს პროფ.მ.თოდუა. მისი ინფორმაციით, „იეზდში 1930 წლისთვის ცოცხალი იყვნენ:

1. ჰაჯი ჰოსეინ გორჯი
2. ჰაჯი ალაქარ გორჯი
3. ჰაჯი ალასლან შაეზადე გორჯი
4. ნაზარ ხან გორჯის ჩამომავლები.“

ა.ჰეიდარი-გორჯიც თავის ნაშრომში წერს ქ.იაზდში ქართველთა უბნისა (**გორჯიმაჰალე იაზდ – Gorjimahalle-ye Yazd**) და ქართული სახლის (**ხანეიე გორჯი – Xāne-ye Gorji**) არსებობაზე, რომლის ამგები და მფლობელი იყო ჰაჯი მოჰამად იუსეფ გორჯი. მკვლევარი ასევე აღნიშნავს, რომ იაზდში მოსახლე ქართველების რაოდენობა დაუდგენელია (ჰეიდარი-გორჯი 1389:374-379).

ირანის ქართველობაზე საყურადღებო ინფორმაცია მოცემულია საინფორმაციო საიტ „ჯადიდონლაინზე“ გამოქვეყნებული სტატიის ერთ კომენტარში (02.01.2015). კომენტარის ავტორი უცნობია. იგი წერს: „იაზდის [ოსთანის] ბაფყის [შაჰრესთანის] სოფელ ხუსფისა და სამხრეთ ხორასნის [ოსთანის] ქალაქ ხუსფის მოსახლეობაც ქართული წარმოშობისაა“.⁸⁰

ირანის დღევანდელი ადმინისტრაციული მოწყობით, **სოფელი ხუსფი (ხუსფი) Xusf/Xusef** შედის ბაფყის შაჰრესთანის ცენტრალური ბახშის საბზღაშთის დეჰესთანში. 2006 წლის აღწერის მონაცემებით, იქ 77 მოსახლეა. „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონის“ მე-10 ტომში ეს სოფელი ნახსენები არ არის. „ირანის დასახლებული პუნქტების ლექსიკონის“ მიხედვით კი სოფელი ხუსფი ზარანდის შაჰრესთანს ეკუთვნის (ფაფოლი 1367: 229), რომელიც ამჟამად ქერმანის ოსთანის ნაწილია.

ქერმანის ოსთანის ანარის შაჰრესთან

„ჯადიდონლაინის“ ზემოხსენებული სტატიის კომენტარებში ერთ-ერთი მომხმარებელი (28.07.2015) წერს: „სალამი ირანის ყველა ძვირფას ქართველს. ჩვენ, ქერმანის ოსთანის ანარის შაჰრესთანის ქართველები ძალიან მივიწყებულნი ვართ. ჩვენ არც გვახსენებთ. ანარის შაჰრესთანის ქართველებს განათლების მაღალი დონე აქვთ და გამორჩეულად მაღალი ავტორიტეტი საზოგადოებაში. ჩვენი წინაპრების მსგავსად, ისინი ახლაც იკავებენ მნიშვნელოვან სამხედრო და ადმინისტრაციულ პოსტებს“.⁸¹

ამ უკანასკნელი მოსაზრების დამადასტურებელია სააგენტო Mehrnews-ის არაერთი ინფორმაცია ქერმანის ოსთანის მეჩეთების კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრების საკოორდინაციო შტაბის ხელმძღვანელის პოსტზე ჰოჯათოლესლამ მოსთაფა გორჯვის საქმიანობის შესახებ.⁸² მანამდე კი მას ასევე ეკავა მაღალი თანამდებობა იაზდის ოსთანში.⁸³

80. https://www.jadidonline.com/story/22082008/frnk/georgians_in_iran

81. https://www.jadidonline.com/story/22082008/frnk/georgians_in_iran.

82. <https://www.mehrnews.com/news/4891619/>

83. <https://khabarban.com/a/19135709>.

* * *

როგორც წარმოდგენილმა მასალამ გამოავლინა, ქართულ-ირანული ერთობლივი პროექტების ფარგლებში ადგილზე სავსე სამუშაოების წარმოებისა და ირანის დასახლებული პუნქტების შესახებ გამოქვეყნებული მრავალფეროვანი ლიტერატურის შესწავლის პარალელურად, სპარსულენოვანი ინტერნეტ-რესურსების, ირანის ქალაქებისა და სოფლების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების მიზნობრივი კვლევით მომავალში შესაძლებელია და სასურველიც არის ირანის სხვადასხვა მხარეში ქართული კვალის ძიების გაგრძელება..

RESUME

Nikoloz Nakhutsrishvili
Georgian Language-lost settlements in Iran
(Materials and Research)

This work is a part of the three-year project – **A Georgian Language Island in a Trans-Ethnic Area (GLITEA) – Fereydanian Dialect in the IR of Iran**, sponsored by Shota Rustaveli National Science Foundation (N 217438).

Initial goal of the project was to investigate the problems of the city of Afus (Isfahan province) and some Georgian settlements of Mazandaran province that have lost their native language decades ago. But during the process of investigation new materials and information on Georgian trace in different regions of Iran have emerged. Eventually the work covered majority of Iranian provinces as much as possible.

The data obtained furnishes opportunity for appropriate and purposeful researches in specific regions and settlements of Iran, where Georgians' residence can yet be traced.

On the Georgian linguistic island existing in Fereydan region of Isfahan province the city of Afus is considered to be the only settlement that lost Georgian language. There is a strong probability that approximately a hundred years ago the situation similar to present case in Afus took place in the Georgian settlements of the province of Mazandaran where the trace of Georgian dialect completely faded away.

Unlike Mazandaranians, a small part of Afus residents yet hold some elements of Georgian language. One part of Afus toponyms is still Georgian. Afus residents still remember some Georgian toponyms, zoonyms and names of traditional games.

The work also gives an information on settlements located

in different regions of Iran that can be thought of as a native language-lost Georgians' former or present dwelling places.

These settlements are stretched over many Iranian provinces: Gilan, Mazandaran, Golestan, Khorasan-e Razavi, South Khorasan, Semnan, Lorestan, Kordestan, Khuzestan, Ardabil, East Azerbaijan, West Azerbaijan, etc.

The work contains a great deal of new information gathered by the author.

A thorough and comprehensive study of each of these settlements within the group of the joint Georgian-Iranian projects seems to be perspective and urgent.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულ ენაზე

აღნიაშვილი 1896 – ლაღო აღნიაშვილი. სპარსეთი და იქაური ქართველები (მეზავრის წერილები). ტფილისი, 1896.

აჰმედზიანოვი 1971 – ა.აჰმედზიანოვი. ირანის ქართულ სოფლებში. წერილი თეირანიდან. გაზეთი „კომუნისტი“. 1971, 23 მარტი.

ბერიძე-ბაკურაძე 2020 – მარინა ბერიძე, ლია ბაკურაძე. ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი. „მერიდიანი“. თბილისი, 2020.

გიქოშვილი 1962 – პ. გიქოშვილი. ძველი ჯვარისკაცის ნაამბობი. ახალციხის რაიონული გაზეთი „წითელი დროშა“. 1962 წელი, 19 დეკემბერი.

გრიგოლია 1971 – ყასემ-აბადელი ქართველები. გაზეთი „თბილისი“. 1971, 19 მაისი.

თოღუა 1975 – მაგალი თოღუა, მაია მაჭავარიანი. ფერეიდნული ტექსტები, ლექსიკონი. სპარსულ-ქართული ეტიუდები, II. გვ. 29-126. თბილისი: მეცნიერება. 1975.

კიკნაველიძე 2003 - კიკნაველიძე, ანდრო. თოხისმუშიდან აკადემიკოსობამდე. თბილისი. 2003.

კიკნაველიძე 1917 – კიკნაველიძე, ყარამან. ქართველები სპარსეთში. გაზეთი „სახალხო საქმე“, N 27; N28, 1917 წელი, 17-18 აგვისტო.

კუტალაძე 1990 – კუტალაძე, მარინა. ფერეიდანი და ფერეიდნელი ქართველები (დისერტაცია). თბილისი. 1990.

ლაჩინანი 1386 – ნუგზარ ქართულ-სპარსული ლექსიკონი (დ-რ ბაჰრამ ამირაჰმადიანის წინასიტყვაობით). ისპაჰანი: Sepahān. 1386 (2007).

ლაჩინანი 1394 – ნუგზარ ლაჩინანი – სპარსულ-ქართული ლექსიკონი (პროფ.ჯემშიდ გიუნაშვილის წინასიტყვაობით). ისპაჰანი: ავტორისეული გამოცემა). 1394 (2015).

ნახუცრიშვილი 2008 – ნახუცრიშვილი, ნიკოლოზ. ახალი ინფორმაცია ირანელი ქართველების შესახებ (ქართველები მაზანდარანში). ჟურნალში: „ქართველოლოგია“, 2008, №:5, გვ.100-103

ნახუცრიშვილი 2014 ა – ნახუცრიშვილი ნიკოლოზ, ქართული წარმომობის მაზანდარანელი მწერალი აბდოლაჟი ჰეიდარი-გორჯი. ჟურნალი „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“. N8. გვ.126-132.

ნახუცრიშვილი 2014ბ – ნახუცრიშვილი ნიკოლოზ. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრები: მანუჩეჰრ მოთაჰის საგარეო საქმეთა მინისტრობის 5 წელი. ელექტრონული ჟურნალი „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“, 2014, N1(6). გვ.3-14.

ონიკაშვილი 2004– ონიკაშვილი, ვახტანგ. ფერეიდანი. თბილისი. 2004.

ორჯონიკიძე 2012 – ორჯონიკიძე, ბუნუტი. კიკნაველეთი ანუ მიწის ყივილის სადღეგრძელო. თბილისი. 2012

ქდკ – ქართული დიალექტური კორპუსი. www.corpora.co

შარაშენიძე 1969 – შარაშენიძე, ზურაბ. ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ. „მეცნიერება“. თბილისი, 1969

შარაშენიძე 1979 – შარაშენიძე ზურაბ. ფერეიდნელი „გურჯები“. „მეცნიერება“. თბილისი, 1979

ჩხუბიანიშვილი 2012 – ჩხუბიანიშვილი, დარეჯან. საენათმეცნიერო წერილები. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 2012.

ჭელიძე 2011 – ჭელიძე, ამბაკო. ფერეიდნელი ქართველები. თბილისი. 2011.

ჯაფარიძე...2008 – პაატა ჯაფარიძე, ზვიად ცხვედიანი. ქართველების დასახლება მაზანდარანში (გორჯი მაჰალე). ჟურნალში: პერსპექტივა-XXI, N8. გვ.70-73.

ჯაფარიძე...2017 – პაატა ჯაფარიძე, გრიგოლ ბერაძე, გიორგი გოცირიძე, თამარ დემეტრაშვილი, დავით შავიანიძე, ზვიად ცხვედიანი. მაზანდარანის ქართული წარმოშობის მოსახლეობის მეტყველება, ყოფა-ცხოვრება და კულტურა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი, 2017.

ინგლისურ ენაზე

ქაზემზადე 2013 – Kazemzadeh, Hamed. The latest status of linguistic and geographic dispersion of Iranian Georgians. Pro Georgia, 2013, t.23, pp255-261.

რუსულ ენაზე

ბოსინ 2002 – Ю.В.Босин, Афганистан: Полиэтническое общество и государственная власть в историческом контексте. Москва: Издательство «Гуманитарий». 2002.

სპარსულ ენაზე

აზარლი 1387 – Âzarli, Qolāmrezā. Farhang-e vāžegān-e guyešhā-ye Irān. Tehrān: Našr-e Hezār-e Kermān. 1387. (2008)

აქბარფურ 1394ა/ზ – Akbarfur, Ja'far. Ganjine-ye guyešhā-ye Irāni (Ostān-e Māzandarān). Dar 2 jeld. Tehrān: Našr-e Âsār. 1394 (2015)

ალიიარი 1396 – ‘Āliyāri-Bābolqāni, Salmān. Ganjine-ye guyešhā-ye Irāni (haft guyeš az hāšiye-ye Zagros. Tehrān: Našr-e Âsār. 1396 (2017).

აჰმადი 2016 – Ahmadi-Miāndāšti, Abolqāsem. Mohājerat va kuč, zendegi, zabān va farhang-e ‘āme-ye gorjiān-e Irān. Le Linguiste, Revue internationale en sciences du langage, N 16, 2016, pp.59-70).

ბადი’ი 1391 – Badi’I, Zeynab-Xātun. Anvā’-e adabi-e tabari. Tehrān: Resāneš-e novin. 1391 (2012).

ბაშირნეჟად 1391- Baširnežād. Māzandarāni – lahje, guyeš yā zabān. Resāneš-e novin. 1391 (2012)

ბეჰნამ 1338 – Behnām, ‘Isā. Lebās-e mardom-e Irān dar qarn-e 12 hejri. Majalle-ye Naqš va Negār. N6. 1338 (1959). ss.5-13.

ბორჯიან 1394 – Borjiyān, Habib. Ganjine-ye guyešhā-ye Irāni (Ostān-e Esfahān – daftar-e dovvom). Tehrān: Našr-e Âsār. 1394. (2015)

გიტა 1384 – Gitāšenāsi-e Irān. Jeld-e 3. Dāerat-ol-ma’āref-e joqrāfiyāi-e Irān. Nevešte-ye mohandes Abbās Ja’fari. Tehrān: Gitāšenāsi. (čāp-e dovvom). 1384. (2005)

დეჰხოდა – Dehxoda, ‘Aliakbar. Loqatnāme.

ესმაილი 1390 – Esmā’ili, Mohammad-Mehdi. Ganjine-ye guyešhā-ye Irāni (Ostān-e Esfahān – daftar-e avval). Tehrān: Našr-e Âsār. 1390.(2011)

ესჰაყი (მოჰამად-სადეკ) 1393 – Eshāqi-Gorji, Mohammad-Sadeq. Negāhi jāme’ešenāxti be musiqi-e Māzandarān. Nekā: Mehrebān-e Nikā. 1393. (2014).

ესჰაყი (ჰოსეინ-ალი) 1391ა – Eshaqi-Gorji, Hosseyn-Ali. Âmuzeš-e daf. Tehrān: Čāng. 1391 (2012)

ესჰაყი (ჰოსეინ-ალი) 1391ბ – Eshaqi-Gorji, Hosseyn-Ali. Âmuzeš-e tombak. Tehrān: Musiqi-e ‘āref. 1391 (2012)

ზაქერი 1391ა – Zākeri, Mohammad Sāleh. *Āyande-ye zabān-e Māzandarāni. Neshne-hāye xatar*. Tehrān: Resāneš-e novin“. 1391 (2012)

ზაქერი 1391ბ – Zākeri, Mohammad Sāleh. *Āyande-ye zabān-e Māzandarāni. Peyāmad-hā va bāvar-hā*. Tehrān: Resāneš-e novin. 1391 (2012)

ზაქერი 1391გ – Zākeri, Mohammad Sāleh. *Āyande-ye zabān-e Māzandarāni. Rāhkār-hā*. Tehrān: Resāneš-e novin. 1391 (2012)

იპაყი 1396 – Yāhaqi, Mohammad-Ja'far. *Vāženāme-ye guyeš-e Tun* (Ferdous). Tehrān: Našr-e Āsār. 1396. (2017).

იფლ – Farhang-e Joqrāfiyāi-e Irān. Tehrān: Enteshārāt-e dāere-ye joqrāfiyāi-e setād-e arteš. 1328-1332 (1949-1954).

ირფელ – Farhang-e Joqrāfiāi-e ābādi-hā-ye kešvar-e Jomhuri-e Eslāmi-e Irān. Sāri. Jeld-e 28. Tehran: Sāzmān-e joqrāfiāi-e niruhā-ye mosallah. 1368 (1989)

მირნია 1369 – Mirniā, Seyyed-Ali. Farhang-e mardom (Folklor-e Irān). Tehrān: Našr-e Pārsā. 1369 (1990).

მიქელანი 1395 – Mikelāni, Hosseyn. Pesvebi – xodāmuz-e zabān-e gorji barāye fārsizabānān. Tehrān: Jangal. 1395 (2016).

მულანი 1379 – Muliāni, Said. Jāygāh-e gorjihā dar tārix, farhang va tamaddone Irān. Esfahān: Yektā. 1379 (2000).

ოჯაქე 1382 – Ojākeh, Aliakbar. *Tārixč-e rustā-ye Gorji-mahalle va dāstān-e Mohammad-e Jabbeh*. Sāri: Našr-e Mehr-e Sājjadeh. 1382 (2003)

ოჯაქე 1390 – Ojākeh, Aliakbar. Farhang-e gorjihā (guyeš-e ahāli-e Gorji-mahalle-ye Behšahr. Sāri: Enteshārāt-e Ide-e ayyām. 1390 (2011)

სალამი 1383-1390 – Salāmi, ‘Abdolnabi. Ganjine-ye guyeššenāsi-e Fārs (dar 6 jeld). Tehrān: Našr-e Āsār. N1 -1383. N2 – 1384, N3 -1385. N4 – 1386. N5 – 1388. N6 – 1390. (2004-2011)

სარმადი 1350 – Sarmadi, Mohammad-Hassan. Dehkade-ye Afus. Majalle-ye „Honar va mardom“, 1350 (1972), doure-ye 10, jeld-e 112-113. ss.38-43.

სეიდ...1391 – Seyyed Eskandar Seydāi, Rozi Qāsemyān. Barresi-e ravande taqiirāt-e kār-kardi-e xānehā-ye rustāi (nemune-ye mouredi: rustā-ye Gorji-mahalle, šahrestān-e Behšahr, Māzandarān). Majalle-ye ‘elmi-taxassosi-e barnāmerizi-e fazāi. 1391 (2012). N1. ss.87-106.

სეფიანი-მ 1358 – Sepiāni, Mohammad. Irāniān-e gorji. Esfahān: Ketābforuši-e Āraš. 1358 (1979).

სეფიანი-რ 1396 – Sepiāni, Ruhollah. *Guše-guše zādgāh-e gorjiān-e Irān*. Fereyduṣṣahr, 1396 (2017). ავტორისეული გამოცემა.

სოთუდე – Sotudeh, Manučehr. *Az Āstārā tā Astarābād* (dar 10 jeld). Tehrān: Anjoman-e Āsār va mafāxir-e farhangi.

ფაიანდე 1375 – Mahmud Pāyandeh (Langerudi). *Farhang-e Gil va Deylam* (Fārsi-Gilaki). Tehran: Amir Kabir. 1375 (1996).

ფაფოლი 1367– Pāpoli-Yazdi, Mohammad-Hosseini. *Farhang-e ābādihā va makānhā-ye mazhabi-e kešvar*. Mašhad: Boniyād-e pezuhešhā-ye Āstān-e Qods-e Razavi. 1367. (1988)

შირზად...1390 – Bājigol Širzād-Kebriyā, Parirox ‘Enāyati-Āhangar. *Farhang-e vāzegān-e Māzandarāni*. Sāri: ‘Asr-e māndegār. 1390 (2011)

ქაზემი-გორჯი 1392 – Kāzemi-Gorji, Ali-Akbar. *Azgilhā-ye vahši* (Mohammad-e Jabbe – mobārez-e xastegināpazir). Qom: Mo’assesseye Bustān-e ketāb. 1392. (2013)

ქეთაბე-ჯოყრაფია 1331 – Ketāb-e Joqrāfiyā va asāmi-e dehāt-e kešvar. Tehrān: Edāre-ye koll-e Āmaār va sabt-e ahvāl. 1331. (1952).

ყალანი 1389 – Qalāni, Nasrin. *Pesv* (Gozari mardomšenāxti bar gorjiān-e Irān. Esfahān: Enteshārāt-e Golbon. 1389. (2010)

ყეზელბაშან 1395 – Qezelbāšān, Amin. *Nasabnāme-ye selsele-ye goruhi az Gorji-tabārān-e Xuzestān va barxi aqvām-e vābaste*. Tehrān: Armāqan. 1395 (2016)

ყეზელბაშან 1397 – Qezelbāšān, Amin. *Az Birtvisi tā Bandebāl*. Tehrān: Armāqan. 1397 (2018)

ყეზელბაშან 2020ა - Qezelbāšān, Amin. Dudemānhā-ye farāmuš-šode. Jelde 1 (Irān-e ‘asr-e safavi). Tehrān: Mirās-e farhixtegan, 1399 (2020).

ყეზელბაშან 2020ბ - Qezelbāšān, Amin. Goftārha-i dar bāb-e gorjiyān-e Irān (majmu’e-ye maqallāti dar bāreye tārix-e gorjihā-ye Xuzestān, tārix-e mahalli-e Dezful, safaviyan va mouzu’āt-e vābaste. Jelde 1. Tehrān: Mirās-e farhixtegan, 1399 (2020).

ყეზელაიყ 1379 – Qezel-Ayāq, Sorayyā. *Rāhnemā-ye bāzihā-ye Irān*. Tehrān: Daftare pezuhešhā-ye farhangi/Kommisiyon-e melli-e UNESCO dar Irān. 1379 (2000).

ჯაჰანფურ – Farāmuš-šodegān-e Undilādze. (გამოუქვეყნებელი ნაბეჭდი ნაშრომი).

ჰეიდარი-გორჯი 1385ა – Heydari-Gorji, Abdolali. *Sāyeh kel*. Rasht: Arnavāz. 1385 (2006)

ჰეიდარი-გორჯი 1385 – Heydari-Gorji, Abdolali. *Soze Gelām. Dobeysi-e Māzandarāni*. Rasht: Arnavāz. 1385 (2006)

ჰეიდარი-გორჯი 1386 – Heydari-Gorji, Abdolali. *Neša*. Rasht: Arnavāz. 1386 (2007)

ჰეიდარი-გორჯი 1389 – Heydari-Gorji, Abdolali. *Tārix-e Gorji-hāye Irān*. Tehrān: Negāh-e Bideh. 1389 (2010)

ინტერნეტ-რესურსები

<http://aryanews.com/News.aspx?code=20140822102130339&sv=59>

<http://asiabsarema.blogfa.com/>
<http://corjehposhtdiyaram.blogfa.com/>
<http://delavargroup.blogfa.com/post/2868>
<http://gorjiboy.blogfa.com/post/4>
<http://gorjimahale2013.persianblog.ir>
<http://gorjimahalleh.blogfa.com/>
<http://khoosfiha.blogfa.com/post/1>
<http://korjehposht.mihanblog.com/>
<http://musiceiranian.ir/52115-eshaghi.htm>
<http://roostamincc.blogfa.com/post/29>
<http://shoorab.blogspot.com>
<http://www.abask.blogfa.com/category/8>
<http://www.adambarfiii.blogfa.com/1387/12>
<http://www.citypedia.ir/%D8%AC%D8%B4%D9%86-%D8%AD%DA%A9%D9%88%D9%85%D8%AA-%D8%B2%D9%86-%DB%8C%D8%A7-%D8%AC%D8%B4%D9%86-%D9%85%D8%AD%D8%B5%D9%88%D9%84/>
<http://www.gorjian-khz.loxtarin.com/>
<http://www.mazandnume.com/fullcontent/6384/>
<http://www.mazandnume.com/fullcontent/68761/>
<http://www.tishineh.com/touritem/1812>
http://yousefgorji.ir/?page_id=22
<https://bahnamirshora.ir/>
<https://dictionary.abadis.ir/fatofa/%DA%A9%D8%B1%D8%AA>

%DB%8C%D9%84-%D8%A2%D8%A8%D8%A7%D8%AF/

https://en.wikipedia.org/wiki/Esmailabad-e_Gorji

https://en.wikipedia.org/wiki/Gorji_Kurdistan

https://en.wikipedia.org/wiki/Gorji_Semnan

https://en.wikipedia.org/wiki/Gorji-ye_Olya

https://en.wikipedia.org/wiki/Gorji-ye_Sofla

<https://en.wikipedia.org/wiki/Gowji>

https://en.wikipedia.org/wiki/Hasanabad-e_Gorji

https://en.wikipedia.org/wiki/Khusef_Yazd

https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%A7%D8%B3%D9%85%D8%A7%D8%B9%DB%8C%D9%84%E2%80%8C%D8%A2%D8%A8%D8%A7%D8%AF_%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C

<https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%A7%D9%81%D9%88%D8%B3>

https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%AD%D8%B3%D9%86%E2%80%8C%D8%A2%D8%A8%D8%A7%D8%AF_%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C

<https://fa.wikipedia.org/wiki/%D8%AE%D9%88%D8%B3%D9%81>

<https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%A9%D8%B1%D8%AA%DB%8C%D9%84%D8%A7%D9%86>

https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C_%D8%B3%D9%81%D9%84%DB%8C;

https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C_%D8%B9%D9%84%DB%8C%D8%A7;

[https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C_\(%D8%AF%DB%8C%D9%88%D8%A7%D9%86%D8%AF%D8%B1%D9%87\)](https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C_(%D8%AF%DB%8C%D9%88%D8%A7%D9%86%D8%AF%D8%B1%D9%87))

[https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C_\(%D8%B4%D8%A7%D9%87%D8%B1%D9%88%D8%AF\)](https://fa.wikipedia.org/wiki/%DA%AF%D8%B1%D8%AC%DB%8C_(%D8%B4%D8%A7%D9%87%D8%B1%D9%88%D8%AF))

<https://fa.wikipedia.org/>

wiki/%DA%AF%D9%88%D8%AC%DB%8C
<https://gmas.ge/2019/>
<https://khabarban.com/a/19135709>
<https://seeiran.ir/>
<https://sobhmashhad.ir/1398/02/07/20398/>
<https://sputnik-georgia.com/people/20170419/235657737/giorgi-gurji.html>
https://www.aparat.com/v/f8Ulo/%D9%85%D8%B3%D8%AA%D9%86%D8%AF_%D8%A7%D9%81%D9%88%D8%B3
<https://www.hamshahrionline.ir/news/517428/>
<https://www.irna.ir/news/80770981/>
<https://www.irna.ir/news/82583034>
<https://www.irna.ir/news/82874973/>
<https://www.irna.ir/news/83386021>
<https://www.isna.ir/news/mazandaran-26777>
<https://www.jadidonline.com/story/22082008/>
<https://www.mazandnume.com>
<https://www.mehrnews.com/news/3871286/>
<https://www.mehrnews.com/news/4891619/>
<https://www.picuki.com/tag/%DA%A9%D8%B1%D8%AA%DB%8C%D9%84%D8%A7%D9%86>

<https://www.yjc.ir/fa/news/6468442/>
<https://www.youtube.com/watch?v=IFXpFqFJeuQ>
<https://www.youtube.com/watch?v=mLiqUt7bdY8>
<https://www.youtube.com/watch?v=uxidVveHR7I>
www.irna.ir/news/83238510/

გეოგრაფიული სახელების ინდექსი

იმის გამო, რომ ნაშრომში ნახსენებია უამრავი გეოგრაფიული პუნქტი (პროვინცია, ქალაქი, რაიონი, ქვერაიონი, სასოფლო თემი, სოფელი, მდინარე, მთა და ა.შ.) წარმოდგენილ ინდექსში შეტანილია მხოლოდ ის დასახლებები და სხვა ტოპონიმები, რომლებშიც ამა თუ იმ ფორმით ვკერ კიდეც შერჩენილია ქართული კვალი და განმარტებულია ტექსტში.

- აბასაბადი (ბეკშაპრის) 64, 71, 79, 108, 163
აბასაბად (შაპრუდის) 59, 66, 135, 136
აბასაბად (თეირანის უბანი) 139
აბას-აბატ – იხ. აბასაბად (შაპრუდის) 55, 56, 59
აბრაგ (ქალაქი) – აბრანგ? 58, 61
აბრანგ 59
აბშინე 128, 129
აზნა 18, 32, 123, 125, 126
აღამლე – იხ. აღამოლ 57, 60, 93
აღამოლ 60, 93
ამოლ 57, 60, 62, 67, 68, 70, 83, 86, 87, 88, 109
ანგრო – იხ. ანგურან 57, 59, 93
ანგურან 59, 93
არაყის თემი – იხ. ერა 57, 59, 93
არზანფუდ/არზანფუთ 128, 129
ასადხანი 123, 125
ასიამსარ 72, 74, 77, 79, 80, 81, 82, 95, 96, 99, 165, 166
ასტარაბად – იხ. გორგან 61, 70
ასუფასი (ასოფასი, ასფასი) 69, 140
ასფიურდ – იხ. ესფივარდ 68
აფრა 73
აფუს 5, 9, 13-31, 33, 34, 36-39, 42-44, 47-52, 94, 160, 162
აღჩე 9, 13, 27, 37
აშრაფ – იხ. ბეკშაპრ 61, 68, 79, 106
აშტრაბადის თემი – იხ. ასტარაბად 58, 61
აშტრაფო – იხ. აშრაფ 54, 58, 61
ახორ იხ. ახურდ 57, 60, 92
ახორე – ფარიდანის შაჰრესთანის
ახორეს ბაზმის ცენტრალური დაბა 13, 34
ახორე – ფარიდანის შაჰრესთანის
ბაზში 13, 14
ახორე ფაინ 13
ახურდ 60, 92
ბაგრ 57, 60
ბაგრუმ 57, 60
ბადეჯან-ახორე 14
ბადრუდ 52
ბაზიარე ფაინ 86
ბალა ბაზიარ 87
ბალა ჩალომეშ 153
ბაშუსტა – იხ. ბეშ-იუსყე. იხ. ფანჯ-ფეიქარ 58, 61

ბერეხილ/ბერეხილ 79, 81
 ბეშ-იუსე – იხ. ფანჯ ფეიქარ 61
 ბეჰშაჰრ 11, 12, 60-62, 67, 68, 71-73, 75, 78-80, 87, 95, 97-102, 104-109, 111, 120
 ბოინ/ბუინ 14, 37
 ბოინ-მიანდაშთი 9, 16, 20, 27, 29, 30, 32, 52, 126
 გარჯან – იხ. გორჯან (არღებლის) 11, 12, 136, 139
 გარჯანსუ – იხ. გორჯანსუ 11, 69, 117, 118
 გარჯეფოშთ – იხ. გორჯეფოშთ 117, 118
 გონბადე ქავუს 58
 გონბადე ყაბუს – იხ. გონბადე ქავუს 58, 61
 გორგან 11, 58, 61, 70, 73, 115, 116, 135
 გორჯანნი 66, 67, 131
 გორჯაი 10, 12, 128
 გორჯან (არღებლი) 12, 136, 139
 გორჯან (ბირჯანდი) 11, 131
 გორჯანსუ 69
 გორჯემაჰალე 11, 118
 გორჯეფოშთ 11, 118
 გორჯეჟე 11, 12
 გორჯი (ალიგუდარზი) 11, 12, 125
 გორჯი (ამოლის) 68
 გორჯი (აჰარი) 11, 136
 გორჯი (თორბათე ჰეიდარიესთან) 132, 133
 გორჯი (მაზარი-შარიფის) 134
 გორჯი (მეშჰედი) 11, 67, 131

გორჯი (სანანდაჯი) 11, 12
 გორჯი (შაჰრუდი) 11, 12, 135
 გორჯიბად 11, 12, 82
 გორჯიბაიან 11, 12, 69, 127, 128
 გორჯიდარე 73
 გორჯიე 69, 118
 გორჯიე ოლია / გორჯიე ბალა 131, 132
 გორჯიე სოფლა / გორჯიე ფაინ 131, 132
 გორჯილუ 12, 136
 გორჯი მაჰალე 66-68, 95, 146
 გორჯიმაჰალე (აბშინე) 128
 გორჯიმაჰალე (ამოლის უბანი) 87
 გორჯიმაჰალე (ბეჰშაჰრთან, სოფელი) 10-12, 53, 60, 62, 64, 72-79, 81, 94-105, 107, 108, 111, 114, 120
 გორჯიმაჰალე (ბეჰშაჰრის უბანი) 72, 79, 80, 87
 გორჯიმაჰალე (იაზდი) 140
 გორჯიმაჰალე (მირზაი) 70
 გორჯიმაჰალე (მირზეინალი) 70
 გორჯიმაჰალე (რეინე) 70
 გორჯიმაჰალე (სირქარი) 70
 გორჯიმაჰალე (ქიაქოლა) 88
 გორჯიმაჰალე (ქორდქუი, გორგანი) 11, 70, 73, 115, 116
 გორჯიმაჰალეიე ჯონუბი (სამხრეთი გორჯიმაჰალე) – იხ. ასიამსარი 72
 გორჯისარა 11, 73
 გორჯიფოლ 11, 73, 74
 გორჯიქალა/გორჯიქოლა 11, 72, 74, 84
 გორჯიქოლან – გორჯიქოლა? 68
 გორჯიქუჰ 68

გორჯიჩალ 11
 გორჯიხელი 11, 68, 88, 90, 91
 გორჯხან 11
 გოჯი – იხ. გორჯი (თორბათე ჰეიდა-
 რიესთან) 133
 გურჯი მაჰალე – იხ. გორჯიმაჰალე
 (სოფელი ბეჰშაჰრთან) 67
 გურჯი მეჰალე – იხ. გორჯიმაჰალე
 (სოფელი ბეჰშაჰრთან) 58, 60
 გუშთიქალა 89
 გუშთი ქელერდ/ქოლარდ 88
 დალირ/დელირ 59, 94
 დანგელან 73, 115, 116
 დანგელან-ხაჯე 117
 დაფგან 14, 34
 დარან 13, 14, 18
 დარუნქოლაიე ყარბი 89
 დარუნქოლაიე შარყი 10, 72, 74, 89,
 167
 დაშქასან/დაშქესან 9, 14
 დეზაშიბ 139
 დეჰგორჯი 10, 12, 136, 139
 დეჰესთანე გორჯი 9, 47
 დილირ – იხ. დალირ/დელირ 57, 59, 94
 დოგალ 90-92
 დუნდი კაბუნი- იხ. გონბადე ქავუს 54,
 58
 ემაფთ 90, 92
 ერა 59, 93
 ესმაილაბადე გორჯი 133
 ესფივარდ 83-85
 ვაშლოვანი – იხ. სიბაქი 9
 ვერესქ 67, 90
 ზავად – იხ. ზავათ 57, 59, 94
 ზავათ 59, 94
 ზარგანდე 139
 ზიარქოლა 88
 ზირაბ 67
 თამოსქ 87
 თაფეიე გორჯიჰა 139
 ისთგაჰე დოგალ 92
 მაჰფორუჯაქ 85
 მეჰლეზან 83
 მიანდამთ 14
 მიანდე 79, 81
 მოჰამად თასქი 79, 81
 ნიავარან 139
 ნოუსარ/ნოუსარე 90, 92
 ორანგ – იხ. აბრანგ 57, 59, 93
 რეი 139
 როსთამქოლა 76-78, 95, 104
 საამი – იხ. სარი? 57, 59
 სადრაბად 67, 132
 სავადქუჰ 67, 132
 სავდიკურის თემი – იხ. სავადქუჰ 57,
 60
 სალემალ 60, 94
 სარა – იხ. სარი? 58, 60
 სარაბე ქართულ 122, 125, 126
 სარი 11, 59-62, 67, 68, 72, 73, 75, 83-
 85, 93, 97, 105, 109
 სეფიდთურ 82, 83
 სიბაქ 9, 14
 სოლომლე – იხ. სალემალ 57, 60, 94
 სორზაბადი 72
 სურაბის თემი – იხ. ზირაბ? 68
 ფაინ ჩალომეშ 90
 ფაინ ბაზიარ – იხ. ბაზიარე ფაინ 86

ფანჯ ფეიქარ 61, 62
 ფაშაქალა ენთეყალი 83-85
 ფაშაქოლა (ყაემშაპრის) 72
 ფერეიდუნშაპრ 9, 21, 22, 24, 27, 51, 73, 122, 123
 ქართილბად 127, 128
 ქართილ-აბადი 69, 127
 ქართილან 126
 ქართულ – იხ. ასადხანი 123, 125
 ქიაქოლა 88, 89
 ქორჯეფოშთ – იხ. გორჯეფოშთ 118
 ქუსან – იხ. ქუპესთან 76, 80, 81
 ქუსანე გორჯი – იხ. ასიბსარ 80
 ქუსაფი – იხ. ხუსფი 66, 131
 ქუპესთან 76, 80, 81, 93-96
 ყაემშაპრ (ყოფილი შაჰი) 11, 60, 72, 73, 86
 ყალ'ეიე ქართილბად 127
 ყარმარაზ 97
 ყარო/ყარუ 95, 97
 ყასემაბად 118, 119
 ყასემაბადე გორჯი (აღბორზის) 10, 139
 ყასემაბადე ფაინ 118
 ყოიძან 57, 60, 93

შანაბარ 57, 60, 93
 შაჰი – იხ. ყაემშაპრ 60, 68, 86, 88-92
 შაჰიურდ 9, 14
 შაჰრერეი – იხ. რეი 139
 შეშვავან 14
 შირხარქოლა 88
 შურაბ 10, 64, 67, 72, 74, 83-85, 90-92, 160, 162
 ჩალუმის წყალი – იხ. ჩალუს 57, 59
 ჩალუს 59, 60, 93, 94
 ჩამაზქოთი 12, 86
 ჩიზარ 139
 ჩოყიურთ 14
 ჩუღრუთ 27, 42
 ხანსარ 37, 39
 ხომეინშაპრ 23
 ხუსფ (ბირჯანდთან) 131, 141
 ხუსფ (იაზდთან) 141
 ჯაყჯაყ 9, 14
 ჰასანაბადე გორჯი 133
 ჰაჯიქალა 83
 ჰელიბაყ 85
 ჰოსეინაბად 88
 ჰარზანფუთ 129

ფოტოდაწართები



ყარამან კიკნაველიძე



პროფ. მაგალი თოდუა




(მარცხნიდან მარჯვნივ) ჰელაიათ ფარაჰბაზში, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი, აბოლყასემ აჰმადი-მიანდაშთი (აფუსი, 2017)



ჰასან ჯაგანმარდ-გორჯი (მარჯვნივ) შურაბელ ქართველთან ერთად (შურაბი, 2014)



აბდოლალი ჰეიდარი-გორჯისთან (ბეჰშაჰრი, 2014)



აბდოლალი ჰეიდარი-გორჯის წიგნი
„ირანის ქართველების ისტორია“



ზაიანდერულის სათავესთან (აფუსი, 2017)



სოფელი შურაბი



მოჭამად-რეზა ესპაყი-გორჯის
ოჯახური ანსამბლი (ბეჭშაჰრის აბასაბადი, 2008)



მოჭამად-სადეყ ესპაყი-გორჯი (ნეჟა, 2014)



ბეჰშაჰრელ ქართველებთან (ბეჰშაჰრი, 2008)



ქართველების მეჩეთი (გორჯი-ბალა, ბეჰშაჰრი, 2014)



ასიამბსარელი უხუცესი (ასიამბსარი, 2014)



გორჯიმაჰალელი გოგონები (გორჯიმაჰალე, 2014)



ხეზრ ელიასი-გორჯი (მარცხნივ) და
ასიაბსარელი ქართველი (ასიაბსარი, 2014)



გორჯიმაჰალეს ქუჩა ასიაბსარში (ასიაბსარი, 2014)



ქ-ნ სადიჯე გორჯის საფლავის ქვა
(აღმოსავლეთი დარუნქოლა, 2014)



ტრადიციული სახლი გორჯიმაჰალეში (2014)



ძველებური კარი (გორჯიმაძე, 2014)



ნიკოლოზ ნაზუცრიშვილი

დაბ. 1955 წელს თბილისში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი, აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი. 1994-1999 და 2005-2013 წლებში იყო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს დიპლომატი.

სამეცნიერო კვლევის სფერო: სპარსული ენა; ქართულ-სპარსული ენობრივი ურთიერთობები; საქართველო-ირანის ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები.

ISBN 978-9941-25-784-1



9 789941 257841